ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

**25 იანვრიდან!**
„ახალი თაობა“ +
სერია „დიდი ქართველები“
**ნიკო ფიროსმანი**
ფასი გაზეთთან ერთად 3 ლარი




ხუთშაბათი, 24 იანვარი, 2013 | №19 (6020) | ფასი: 30 თეთრი

# ალასანიასა და ივანიშვილს შორის ურთიერთობა დაიძაბა

რატომ დაატოვებინეს თავდაცვის მინისტრს ვიცე-პრემიერის პოსტი





გვ.3

## ოცნებასა და ნაციონალებს შორის ჰარმონია უნდა დაირღვეს

გვ.5



## გახდება თუ არა საქართველო საპარლამენტო რესპუბლიკა

გვ.7

## გია თორთლაძე: „ახალმა ხელისუფლებამ 81 529 ლარი წამართვა“

გვ.3





გვ.2

## ილია II-მ რუსეთის პრეზიდენტს საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოკითხვა გადასცა



გვ.4

## დავით სერგეენკო: „საყოველთაო დაზღვევის ამოქმედება თებერვლის ბოლოდან დაიწყება“



## მიხეილ სააკაშვილი: „ყოველთვის, როდესაც რუსეთი ნეიტრალურს თამაშობს, ეს ცუდად მთავრდება“

გვ.5

გვ.6

## პატრიარქის მოსკოვში ვიზიტი უკვე წარმატებულია



**23 იანვრიდან!**
„ახალი თაობა“
+
**მარია კიური**
8 ლარი




**6** ანზორ აბრალავა: „სააკაშვილის გუნდი ეკონომიკურ საბოტაჟს ეწევა“

**4** ნოდარ ხადური: „ხელისუფლება ბიუჯეტიდან მოპარული თანხების ვინმესთვის ჩუქებას არ აპირებს“

**2** ბაჩო ახალაიას პროცესი უკვე მეორედ გადაიდო

**4** რამაზ საყვარელიძე: „ნაკლებ სავარაუდოა, რომ ალასანიას გათავისუფლების მიზეზი შეუთანხმებელი ქმედებები იყოს“

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ილია II-მ რუსეთის პრეზიდენტს საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოკითხვა გადასცა



საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის მოკითხვა გადასცა.

„მინდა, ჩვენი ახალი პრემიერ-მინისტრის მოკითხვა გადმოგცეთ. ის ყველაფერ აუცილებელს და შესაძლებელს გააკეთებს რუსეთთან ურთიერთობების დასამყარებლად. ვფიქრობ, რომ ის პრობლემები, რომელიც ჩვენ შორის არსებობს, აღმოფხვრილი იქნება და კვლავინდებურად ძმები ვიქნებით“, – ბრძანა უწმინდესმა რუსეთის პრეზიდენტთან შეხვედრისას.

თავის მხრივ, პუტინმა საქართველოს პატრიარქს დაბადებიდან 80 და აღსაყდრებიდან 35-ე წლისთავი და მართლმადიდებელი ქრისტიანების ერთობის საერთაშორისო საზოგადოებრივი ფონდის ჯილდოს მიღება მიულოცა.

„განსაკუთრებული მადლობა მინდა, გითხრათ იმისთვის, რომ თქვენ დღეს არსებულ რთულ პირობებში, მხედველობაში მაქვს, რუსეთ-საქართველოს შორის არსებული რთული სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები, ყველაფერს აკეთებთ მოძმე ერებს შორის ჰუმანიტარული, სულიერი და კულტურული კონტაქტებისთვის“, – განაცხადა პუტინმა.

შეხვედრაში მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი კირილიც მონაწილეობდა.

**პირველი**

# იუსტიციის მინისტრი დაკარგული გოგიტა აბულაძის ოჯახის წევრებს შეხვდა



იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, გუშინ, 2012 წელს გაუჩინარებული გოგიტა აბულაძის ოჯახის წევრებს შეხვდა. დაკარგულის ნათესავები მინისტრთან შეხვედრას რამდენიმე დღის მანძილზე ითხოვდნენ. მათი განცხადებით, საქმის გამოძიება ჭიანურდება, ახლობლებმა კი იმის დადგენაც ვერ მოახერხეს, ცოცხალია თუ არა აბულაძე.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, თეა წულუკიანმა აბულაძის მშობლებსა და დას მოუსმინა და დაწვრილებით გამოჰკითხა იმ პრობლემების შესახებ, რაც, მათი აზრით, საქმეზე სიმართლის დადგენას აჭიანურებს. იუსტიციის მინისტრმა მათ განუმარტა, რომ გამოძიება რთული და შრომატევადი პროცესია, რომელიც ფრთხილ მიდგომას საჭიროებს, აჩქარებამ კი, შეიძლება, გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს დაზარალებულის ინტერესებს. თეა წულუკიანი აბულაძეებს დაჰპირდა, რომ პირადად დაინტერესდება საქმის მიმდინარეობით.

„როდესაც მოქალაქის სიცოცხლის ხელყოფის ან მისი გაუჩინარების ფაქტები ხდება, ეს სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. მე მათ დავპირდი, რომ საქმე დაეკისრება იმ გამომძიებელს, რომელსაც თავად ოჯახი ენდობა, რომ ყველა მოწმე დაიკითხება თავიდან. იმედი მაქვს, მალე მივაკვლევთ გოგიტა აბულაძის კვალს“ – განაცხადა იუსტიციის მინისტრმა შეხვედრის შემდეგ.

გოგიტა აბულაძე გასული წლის 18 იანვარს გაუჩინარდა.

**ნიუსპრესი**

# ბაჩო ახალაიას პროცესი უკვე მეორედ გადაიდო

ბაჩო ახალაიას მეუღლის ანი ნადარეიშვილის ინფორმაციით, ბაჩო ახალაიას სასამართლო პროცესი, რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლოში 30 იანვარს უნდა ჩატარებულიყო, 21 თებერვლისთვის გადაიდო.

დაცვის მხარის ინფორმაციით, პროცესის განხილვის გადადების მიზეზი პროკურატურის მიერ დაყენებული შუამდგომლობა გახდა, რომელმაც საგამოძიებო მოქმედებების ვადის გახანგრძლივება ითხოვა.

პროცესის გადადების შესახებ გავრცელებულ ცნობას ადასტურებს ახალაიას ადვოკატი დავით დეკანოიძე, რომელმაც „მედიანიუსს“ განუცხადა, რომ მას ეს ცნობა პროკურატურაში გამომძიებელმა მაიწოდა.

„ახლა ვცდილობ, გავარკვიო სიმართლე“, – განაცხადა მან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს პრესსამსახურში კი „მედიანიუსს“ უთხრეს, რომ ამ ინფორმაციას ისინიც აზუსტებენ.

ადვოკატი დეკანოიძე ფიქრობს, რომ პროკურატურა ახალაიას პროცესის დასაწყებად მზად არ არის და ამიტომ აყენებს მისი გადადების შუამდგომლობას.

„უკვე მეორედ გადადეს პროცესი“, – აღნიშნა მან.

ახალაიას საქმეზე სასამართლო განხილვა ჯერ კიდევ 25 დეკემბერს უნდა დაწყებულიყო, თუმცა იგი 30 იანვრამდე ასევე პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე გადაიდო.

ახალაიას მეუღლე მიიჩნევს, რომ პროკურატურას მისი ქმრის წინააღმდეგ მტკიცებულებები არ აქვს და საგამოძიებო მოქმედებების წარმოებისათვის ვადებს ამიტომ იხანგრძლივებს. როგორც ცნობილია, ახალაიას ბრალი რამდენიმე მუხლით აქვს წაყენებული, მას სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტებასაც ედავებიან.

**მედიანიუსი**

# 68-ე სკოლაში უსახლკაროები შეიჭრნენ

გულიკო ბალაძე

**გუშინ 68-ე საჯარო სკოლის კუთვნილ შენობაში უსახლკარო ადამიანები შეიჭრნენ.**

**შენობაში შეჭრილები აცხადებენ, რომ აქ ისინი მერიამ გამოუშვა.**

**მათ მერიაში უთხრეს, თითქოს შენობა მერიის ბალანსზე იყო და შესულიყვნენ საცხოვრებლად. თუმცა მოგვიანებით მერიის წარმომადგენელი მოვიდა და განაცხადა, რომ შენობა მერიის ბალანსზე არ იყო. სხვა კომენტარის გაკეთება არ ისურვა.**



შენობაში სასწავლო პროცესი მას შემდეგ აღარ მიმდინარეობდა, რაც გასული წლის ზაფხულში სააკაშვილმა შენობის წართმევა და მისი ორბელიანების სასახლისთვის მიერთება მოინდომა.

თუმცა, 1 ოქტომბერს ნაციონალური მოძრაობა დამარცხდა და სააკაშვილსაც გეგმები ჩაეშალა.

ოქტომბრის დასაწყისივე 68-ე საჯარო სკოლის დირექტორმა განათლების ახალ მინისტრს მიმართა, რომ სტატუსი და სკოლის შენობა, რომელიც თავისუფალი იყო, დაებრუნებინათ.

სამინისტრო ჰპირდებოდა, რომ სკოლას დაუბრუნებდნენ, თუმცა, პროცესი ადგილიდან არ დაძრულა.

68-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებისა და მათი მშობლებისთვის კი ცნობილი იყო, რომ შენობას რემონტი ჩაუტარდებოდა და ისევ ჩაბარდებოდა პატრონს. ეს შენობა ძეგლთა დაცვის ნუსხაშია შეტანილი და სკოლას ეკუთვნის.

შეჭრილი უსახლკარო ოჯახები აცხადებენ, რომ ბინა არ აქვთ და სკოლის შენობაში იმიტომ შემოვიდნენ.

თავდაპირველად, 68-ე საჯარო სკოლაში შეჭრილები აგრესიულად შეგვხვდნენ. ცხადია, მათი პრობლემებიც მოსაგვარებელია. სამწუხაროდ, წინა ხელისუფლებამ უამრავი პრობლემა დატოვა, უფრო მეტიც, თავისი მოქმედებებითა და გადაწყვეტილებებით ხელს უწყობდა ახალი და ახალი პრობლემების წარმოქმნას.

სააკაშვილის პირობებში ეს ხალხი დათრგუნული იყო და ხმას ვეღარ იღებდა, მაგრამ იგრძნეს თუ არა თავისუფლება, თავიანთი პრობლემების მოგვარებისთვის ბრძოლა დაიწყეს.

სკოლის შენობაში შეჭრილი ადამიანები თავდაპირველად აგრესიულად შეხვდნენ ჩვენს კითხვას.

– აქ რატომ შემოხვედით?

– ბინა არ გვაქვს.

– მაინცდამაინც აქ რატომ შემოხვედით? მერიას რატომ არ მიაკითხეთ?

– პროვოკაციისთვის მოხვედით? უგულავას გამოგზავნილი ხართ?

– უგულავამ, ეტყობა, თქვენ გამოგაგზავნათ. მე, უბრალოდ, აზრს გეკითხებით, – ამ სიტყვა-პასუხის შემდეგ ერთ-ერთმა მათგანმა ნიკოლოზ ხევსურიშვილმა ისურვა თავის პრობლემებზე საუბარი, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ.

– ჩვენი ყველაზე დიდი პრობლემაა უბინაობა და მთავრობის მხრიდან ჩვენი მოტყუებაა. 2004 წლიდან გვატყუებენ. ვარ უბინაო, თბილისში დაბადებული და გაზრდილი. სამი შვილი მყავს. ჩვენი მთავრობა პირდაპირ გვატყუებს, წელს მოგცემთ ბინას, მომავალ წელს მოგცემთო. მეუბნებიან, კი, ბატონო, თბილისელი ხარ, გეკუთვნისო, მაგრამ არ გვაძლევენ.

– პირადად ვისთან იყავით?

– პირადად ვიყავი მერიაში უგულავასთან, ქაცარავასთან. მათ ორშაბათობით ყოველთვის ვხვდებოდით. რადგან მოგვატყუეს, შევიკრიბეთ და თავისუფალ შენობაში შევედით.

– რამდენი კაცი ხართ?

– 300 ოჯახი ვიყავით. მაშინ შევიჭერით ნახალოვკაში. დადიანის ქუჩაზე, ძველი გამგეობის შენობაში. იქ მოვიდა ახლანდელი ჯანდაცვის მინისტრი და გვთხოვა, აქედან გადით და მოგხედავთ, გიპატრონებთო.

– კონკრეტულად, რას შეგპირდათ?

– ბინის ქირის გადახდას შეგვპირდა. დავთანხმდით. მას პირადად მე შევხვდი. ვუთხარი, რომ ჩვეულებრივად, ქირით გადავიდოდი. ოღონდ, ჩვენ არ გვითხრა მინისტრმა, თითო სულზე რამდენს გამოყოფდა, ან როგორ მოხდებოდა გადახდა. 7-სულიანი ოჯახი მაქვს და 200 ლარად სად ვიქირაო ბინა. თვითონ იქირაოს 200 ლარად, ბინის ქირაობა თუ არის შესაძლებელი. აქ დაბადებული და გაზრდილი ვარ, მაგრამ რაიონშიც წავალ, იქაც რომ მიქირაოს 200 ლარად. 7-სულიანი ოჯახი რომ დამაკმაყოფილოს.

– ახლა ქირას გიხდიან?

– ქირას მიხდიან, მაგრამ ვერ ვიხდი ქირას. რა აზრი აქვს, არ ჰყოფნის.

– ანუ იმ ფასში ბინას ვერ ქირაობ?

– იმ ფასში ვერ ვქირაობ ისეთ ბინას, რომ ცხოვრება შესაძლებელი იყოს. 7-სულიანი ოჯახი ოთახნახევრიან ბინაში ხომ მაინც უნდა შეხვიდე. ბინის ქირა 350 ლარზე ნაკლები არ ღირს, თბილისში. სადაც გინდა, ნებისმიერ ადგილზე რომ მიხვიდე, ასეა. მით უმეტეს, ბავშვები აქ სწავლობენ. აქ დავიბადე და რაიონში არსად არაფერი მაქვს.

– თქვენი შვილიც ხომ არ სწავლობდა ამ სკოლაში?

– ამ სკოლაში არა, თემქაზე სწავლობენ. დადიანის ქუჩაზე მდებარე შენობის შემდეგ შევედით რკინიგზის პირველ საავადმყოფოში, მაგრამ ვინაიდან იქ უკვე იმდენი ვიყავით, რომ ყველანი ვერ დავკმაყოფილდით (ვშიმშილობდით კიდევაც, ივანიშვილთანაც ვიყავით, გვითხრეს, რომ იმ შენობით დაკმაყოფილდითო, მაგრამ ვერ დავკმაყოფილდით), მივმართეთ ისევ მერიას. მივმართეთ ასევე მინისტრსაც. გვითხრეს, ნახეთ ცარიელი შენობა და შებრძანდითო.

– მინისტრმა გითხრათ?

– მერიაში გვითხრეს, ნახეთ ცარიელი შენობა და შებრძანდითო. ვინაიდან ვიცით, რომ ეს შენობა არის მერიის ბალანსზე და ამ შენობის გაყიდვა უნდოდათ.

– ჩვენ ვიცით, რომ ეს შენობა მერიის ბალანსზე კი არა, განათლების სამინისტროს ბალანსზეა, 68-ე საჯარო სკოლისაა და ბავშვები სწავლობდნენ აქ გასულ სასწავლო წელს და ახლა გარემონტებას ელოდებიან.

– სახელმწიფო ბალანსზეა. ჩვენი ბავშვები წვიმაში და ზამთარში ქუჩაში არიან. ახალ წელს შვილებთან ვერ შევხვდი. ბავშვები ნათესავთან მყავდა და ბავშვისთვის ახალი წელი რომ მიმელოცა, არ შემეძლო. ჩვენი ბავშვები ბავშვები არ არიან?

– თქვენი ბავშვიც ბავშვია და ყველა ბავშვი ბავშვია, ამიტომ სკოლის შენობაში უნდა შეხვიდეთ საცხოვრებლად? ახლა რას მოითხოვთ?

– საცხოვრებელ ფართს მოვითხოვთ. ჩვენ მაინცდამაინც ეს სკოლა არ გვაინტერესებს, დაგვაკმაყოფილონ იმ ფართით, რაც გვჭირდება. არ გვინდა მაინცდამაინც ცენტრში.

სხვების პრობლემები იდენტურია.

სააკაშვილმა და მისმა ხელისუფლებამ სახელმწიფო დანიშნულების შენობები, სადაც სამინისტროები და სასწავლო დაწესებულებები იყო განთავსებული, ბიზნესის საგნად აქცია და ყიდვა-გაყიდვა ჰქონდა გაჩაღებული. შექმნა ისეთი გარემო, რომ ქვეყანაში რაც შეიძლება მეტი უსახლკარო ოჯახი გაჩენილიყო და არ იზრუნა მათთვის საბინაო პრობლემების მოგვარებასა და ახალი საბინაო ფონდის შექმნაზე, რომ უსახლკაროების მთელი არმია არ გაჩენილიყო.

ოპტიმიზაციის საფარქვეშ ხელისუფლებამ მოსწავლეებს სკოლები წაართვა და გაუყიდა. სხვადასხვა შენობების გაყიდვით შემოსული ფულით რაღაც გაუაზრებელ პროექტებს აფინანსებდნენ.

68-ე საჯარო სკოლის გაყიდვა ვერ მოასწრეს, მაგრამ ახლა ის უსახლკაროებმა დაიკავეს.

68-ე საჯარო სკოლის პედაგოგები აცხადებენ, რომ მათი ინფორმაციით ეს შენობა მე-20 საჯარო სკოლის ბალანსზე იყო გადასული.

– დღეს დილით ტელევიზიით გავიგეთ, რომ ჩვენი სკოლის შენობაში სხვები შევიდნენ. ჩვენ ვიცოდით, რომ ეს შენობა იყო მე-20 სკოლის ბალანსზე და გაგვიკვირდა. უბრალოდ, სამინისტრომ ვერ დააყენა საშველი, რომ ოფიციალური საბუთი გადმოგვცეს. დირექტორი მივიდა, განცხადება ჩავაბარეთ, მაგრამ, ჯერჯერობით, არ უპასუხიათ. ახლა ზეპირად გვითხრეს, შენობა თქვენს ბალანსზეაო. ჩვენ მოვითხოვთ სკოლის დაბრუნებას, – გვითხრა პედაგოგმა მარინა გელაშვილმა, – ადგილობრივი ბავშვები რატომ უნდა დადიოდნენ სხვა სკოლაში. ძველისძველი სკოლაა, ყოფილი ქალთა გიმნაზიაა, ძეგლთა დაცვის ნუსხაშია შეტანილი. ჩვენთანაც არიან უსახლკარო მასწავლებლები. მე პირადად ქირით ვცხოვრობ. ჩვენ გვინდა ჩვენი სკოლა დაგვიბრუნდეს.

კონკრეტულად, 68-ე საჯარო სკოლის პრობლემები კი იმის ბრალია, რომ სააკაშვილმა ვერ დაიოკა რეზიდენციების მშენებლობის ჟინი და ორბელიანების სასახლის პრემიერ-მინისტრის რეზიდენციად გადაკეთებისთვის კაპიტალური რემონტი დაიწყო.

სააკაშვილს ორბელიანების სასახლეში თავისი ერთგული ვანო უნდა დაესვა, ნაციონალების გამარჯვების შემდეგ, როცა გააპრემიერებდა, სკოლის შენობის ხარჯზე უნდა გაფართოებულიყვნენ, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. თუმცა, უამრავი პრობლემა დატოვეს.

ახლა გამრუდებულ საქმეს სასწრაფო გამოსწორება სჭირდება. კერძოდ, 68-ე და სხვა საჯარო სკოლების პრობლემების გადაჭრის ვალდებულება განათლების სამინისტროს აკისრია.

ჩვენ შევეცადეთ განათლების მინისტრს პირადად დავკავშირებოდით, მაგრამ მან ტელეფონზე არ გვიპასუხა. თუმცა, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, მან ამ პრობლემის თაობაზე იცის. რატომ არ ჩქარობს განათლების სამინისტრო ამ პრობლემის გადაჭრას, უცნობია.

მერია, რომელიც მუდმივად ცდილობს ცენტრალურ ხელისუფლებას დაუპირისპირდეს და პრობლემები შეუქმნას, ამ შემთხვევაშიც, რაღაცნაირად უსახლკარო ადამიანების წამქეზებლის როლში გამოდის. ამის დასტურია, თუნდაც ჩვენი რესპონდენტის განცხადება, რომ მერიის წარმომადგენლებმა მიუთითეს ამ შენობის თაობაზე, რომ აქ შემოსულიყვნენ.

ნათქვამია, უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონებიანო. 68-ე საჯარო სკოლის პედაგოგები და მოსწავლეები შენობის დაბრუნებას ელოდებიან, რომ სასწავლო პროცესის ნორმალურად წარმართვის საშუალება ჰქონდეთ, სამ ცვლაში არ უწევდეთ სასწავლო პროცესის წარმართვა მე-20 სკოლის ერთ პატარა კორპუსში. ამ დროს შენობას სხვები იკავებენ.

ამჟამად, ორბელიანების სასახლის გადაკეთება-გადმოკეთების პროცესიც შეჩერებულია.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ალასანიასა და ივანიშვილს შორის ურთიერთობა დაიძაბა

## რატომ დაატოვებინეს თავდაცვის მინისტრს ვიცე-პრემიერის პოსტი



შორენა მარსაგიშვილი

**საქართველოში საინტერესო პოლიტიკური პროცესები იწყება. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მალე ნაციონალების სანუკვარი ოცნება ახდება და მეოცნებეები ერთმანეთს დაერევიან. ნაცმოძი ამ ნანატრი დილის გათენებას ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლის დღიდან ელოდება. არჩევნებში ჩაფლავების შემდეგ კი ამ სურვილმა უფრო მწვავედ შეუღიტინათ.**

**23 იანვრის დილა მათთვის სასიამოვნო ცნობით დაიწყო. ბიძინა ივანიშვილის ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნდა პრემიერის ბრძანებულება, რომლის თანახმადაც ირაკლი ალასანიას ვიცე-პრემიერის უფლებამოსილება შეუწყდა. თავდაცვის მინისტრობის პარალელურად, ალასანიას ეს თანამდებობაც ეკავა.**

1 ოქტომბრის შემდეგ ნაციონალებს ასე არაფერი გახარებიათ. ბედნიერი სახეებით დაიწყეს განცხადებების გაკეთება, ოცნება აირიაო. დაფაცურდნენ ნაცკოორდინატორები და სასწრაფოდ მოირბინეს თავისი „სამწყსო“. ერს ოცნებაში რღვევის ნიშნების შესახებ ამცნეს.

ალასანიას თავს რაღაც რომ ხდებოდა, ეს 22 იანვარს საზოგადოებრივ მაუწყებელზე გამოჩნდა. იქ ირაკლი ალასანიამ განაცხადა, რომ მას პრემიერთან მძიმე ლაპარაკი ჰქონდა. შეგახსენებთ, რომ ირაკლი ალასანია საპრეზიდენტო კანდიდატად მოიაზრება. მართალია კოალიციაში ჯერ საბოლოოდ არ არიან ჩამოყალიბებული, მაგრამ მისი და ვახტანგ ხმალაძის კანდიდატურებზე საუბრობდნენ.

გუშინ დილით კი გაირკვა, რომ ალასანია ვიცე-პრემიერობიდან გაათავისუფლეს. პრემიერ-მინისტრის აპარატში განმარტავენ, რომ ბიძინა ივანიშვილის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია ვიცე-პრემიერის თანამდებობიდან გათავისუფლდა, ამ უკანასკნელის მიერ 22 იანვარს გადაცემა „აქცენტებში“ გაკეთებულ განცხადებებს არ უკავშირდება.

როგორც „მედიანიუსს“ პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის წარმომადგენელმა მანანა თოქმაჯიშვილმა განუცხადა, ივანიშვილმა ეს გადაწყვეტილება ჯერ კიდევ ორი დღის წინ, 21 იანვარს გამართულ მთავრობის სხდომაზე მიიღო, შესაბამისად, ალასანიას გუშინდელ ეთერს ფიზიკურადაც ვერ დაუკავშირდება. მისივე თქმით, აღნიშნული გადაწყვეტილება მინისტრთა კაბინეტთან შეთანხმებულია.

თოქმაჯიშვილის განცხადებით, ალასანიას ამ დროისთვის აქვს ძალიან დიდი პასუხისმგებლობა, რომელიც ქართული ჯარის მშენებლობას და მის ნატოს სტანდარტებთან დაახლოებას უკავშირდება, შესაბამისად, რთული და გამორიცხული იქნებოდა მის მიერ ორი თანამდებობის შეთავსება.

სკანდალებით განებივრებულმა ერმა და ნაციონალებმა ეს განმარტება არაფრად ჩააგდეს. ნაციონალებმა უკვე „დალნები“ ჩართეს და მომავლის განჭვრეტა დაიწყეს. იმედს გამოთქვამენ, რომ მალე კოალიცია ქართული ოცნება მოქკავშირივით დაიშლება.

საპარლამენტო უმცირესობის წევრის აკაკი ბობოხიძის განცხადებით, ირაკლი ალასანიასთვის ვიცეპრემიერობის მოვალეობის შეწყვეტა, შესაძლოა, ნიკოლოზ ვაშაკიძის განცხადებასთან იყოს კონტექსტში. ბობოხიძის თქმით, ალასანიას პოზიცია ძალიან ახლოს დგას ვაშაკიძის პოზიციასთან.

— ალასანია არსებული მთავრობის შემადგენლობიდან ერთადერთი ადამიანია, რომელიც მკაფიოდ აფიქსირებს, რომ პროდასავლური კურსი შეუცვლელია. ალასანია ასევე ერთმნიშვნელოვნად აცხადებს, რომ ტერმინი ,,ოკუპაცია“



ყველა დოკუმენტში უნდა იყოს ნახსენები, განსხვავებით ლევან ბერძენიშვილისგან, რომელიც მიიჩნევს, რომ ტერმინებს მნიშვნელობა არ აქვს. ალასანიას პოზიცია ძალიან ახლოს დგას ვაშაკიძის პოზიციასთან, — აცხადებს ბობოხიძე.

საპარლამენტო უმცირესობის ერთ-ერთ ლიდერ მიხეილ მაჭავარიანისთვის პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას ვიცეპრემიერობა შეუწყდა, მოულოდნელი არ ყოფილა.

— ჩვენ მანამდეც ვამბობდით, რომ ალიანსის შიგნით პრობლემები იყო და ეს არჩევნების შემდეგ გამოჩნდებოდა, — აცხადებს მაჭავარიანი.

საპარლამენტო უმცირესობის წევრი ნუგზარ წიკლაური არ გამორიცხავს, რომ ალასანიას გათავისუფლება მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებს უკავშირდება.

— ალასანიას გათავისუფლება შესაძლოა ორ ფაქტორს უკავშირდებოდეს. ვიცით, რომ მისი გუნდი პრეზიდენტის პოსტზე თავად ალასანიას განიხილავდა. შემდეგ კი, მოგეხსენებათ, „ქართულ ოცნებაში“ დაიწყო საუბრები იმასთან დაკავშირებით, რომ კანდიდატი უნდა იყოს პარლამენტის მიერ არჩეული, რაც შემდგომ პოლიტიკურ ცხოვრებაში თვითონ პრეზიდენტის გავლენას ამცირებს. როგორც ჩანს, ამას მოჰყვა მძიმე საუბარი ალასანიასა და ივანიშვილს შორის, — განაცხადა ნუგზარ წიკლაურმა „ნიუსპრესთან“ საუბარში.

წიკლაურის განცხადებითვე, გამორიცხული არაა, რომ ალასანიას გათავისუფლება შესაძლებელია ევროპისა და ამერიკის მიერ „ქართული ოცნების“ მიმართ გამოთქმულ კრიტიკას უკავშირდებოდეს, რაზეც ალასანია მგრძნობიარედ რეაგირებდა.

— ირაკლი ალასანიას გუნდს გაცილებით უფრო მგრძნობიარე დამოკიდებულება აქვს იმ კრიტიკასთან დაკავშირებით, რასაც „ქართული ოცნება“ დღეს როგორც ევროპიდან, ისე ამერიკის შეერთებული შტატებიდან იღებს. მათ ჰქონდათ და აქვთ გაცილებით უფრო მეტი კონტაქტები თავისუფალ სამყაროსთან, ვიდრე „ქართული ოცნების“ სხვა წარმომადგენლებს და ამიტომ, მათთვის უფრო მძიმე მოსასმენია ის უპრეცედენტო კრიტიკა, რომელიც ამ პოლიტიკური გუნდის მიმართ გამოითქმება. მე ვფიქრობ, რომ ამ ორი ფაქტორის კომბინაცია გახდა საფუძველი ბიძინა ივანიშვილისთვის, რათა ალასანია თანამდებობიდან გადაეყენებინა. პოლიტიკური ლოგიკა მიგვითითებს იმისკენ, რომ იმ პოლიტიკური გუნდების გზები, რომლებიც არიან ეკლექტურები და რომლებიც, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ იყვნენ გაერთიანებულნი ერთ პოლიტიკურ ძალაში, რომ წარმატებებისათვის მიეღწიათ, რაც დრო გავა უფრო მეტად დაიშლება, — განაცხადა წიკლაურმა.

ალასანიას ამბავს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი და მეორე ვიცე-პრემიერი კახი კალაძეც გამოეხმაურა. მან პრემიერის გადაწყვეტილებაში უცნაური ვერაფერი დაინახა. მისი განცხადებით, ირაკლი ალასანიას აქვს ძალიან საპასუხისმგებლო თანამდებობა.

— ის არის თავდაცვის მინისტრი. ჩემი აზრით, ძალიან ბევრია გასაკეთებელი იმისთვის, რომ ქართული ჯარი დაემსგავსოს ჯარს და ჩვენ ძალიან მალე შევიდეთ ევროატლანტიკურ სივრცეში. ამისთვის მას უფრო მეტი დრო ექნება და მე დარწმუნებული ვარ, წარმატებით გაართმევს თავს, — აღნიშნა კალაძემ.

ვიცე-პრემიერის მოვალეობის შესრულების შეწყვეტის შესახებ კომენტარი თავად ალასანიამაც გააკეთა.

— ჩვენ გვქონდა საუბარი პრემიერთან ორი დღის წინ. მან მიიღო გადაწყვეტილება, რომ იმდენად მნიშვნელოვანია თავდაცვის სტრუქტურა, თავდაცვის მიმართულება, რომ მე მომეხსნას სხვა, დამატებითი — ვიცე-პრემიერის ფუნქციები. ამ გადაწყვეტილებას მეც მივესალმები და არ მინდა ვინმემ არასწორი დასკვნები ან ინსინუაციები გააკეთოს. ეს იყო შიდა საუბარი მთავრობაში. ხელმძღვანელმა მიიღო გადაწყვეტილება, რაც მისაღებია პირველ რიგში ჩემთვის და თავდაცვის სამინისტროსთვის, რომ მთლიანად კონცენტრირებულები ვიყოთ თავდაცვის რეფორმაზე, აღმშენებლობაზე. ეს იყო ჯანსაღი საუბარი, რაც უნდა იყოს ხელმძღვანელსა და მისი გუნდის წევრს შორის. მე მინდა ერთხელ და სამუდამოდ დაესვას წერტილი ამაზე საუბარს. არანაირი გაუგებრობა, ყველა კითხვა მოხსნილია. აქედან გამომდინარე, გაგრძელდება მუშაობა და კიდევ უფრო მეტი ძალისხმევით თავდაცვის რეფორმების განხორციელება, — განაცხადა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა.

ოცნებაში დატრიალებულ ამბებს თითქმის ყველა რესპუბლიკელებს აბრალებს. ამ ამბავში რა წვლილი მიუძღვის რესპებს, ვერ გეტყვით, მაგრამ სადაც კი ეგენი არიან, ყველგან ინტრიგა ტრიალებს ხოლმე.

ამჯერად ვარაუდობენ, რომ ალასანიას რესპები მოახლოებული საპრეზიდენტო არჩევნების გამო აუმხედრდნენ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის განცხადებით, რესპუბლიკურ პარტიას მომავალი საპრეზიდენტო არჩევნებისთვის პრეზიდენტობის კანდიდატი არ ჰყავს. რესპუბლიკელები მხარს დაუჭერენ „ქართული ოცნების“ მიერ შერჩეულ კანდიდატს. მან ამ საკითხზე ატეხილ აჟიოტაჟს სრულიად უსაფუძვლო უწოდა.

მისი მტკიცებით, რესპუბლიკელებს ბოლო ხანებში განვითარებულ მოვლენებთან კავშირი არ აქვთ.

— ჩვენ ამ მოსაზრებებს შევაჯერებთ და კოალიცია ერთიანი პოზიციით, პირველ რიგში, ქვეყნის მოწყობის მოდელის და შემდგომ უკვე კანდიდატის თაობაზე ერთიანი პოზიციით წარდგება. ეს საკითხი მალე, ალბათ, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის ფარგლებში გადაინაცვლებს და ის არავითარ შემთხვევაში არ იქნება რომელიმე პარტიის, ან თუნდაც მმართველი პარტიის გადასაწყვეტი. ახალმა მთავრობამ ქვეყნის მოწყობის ისეთი მოდელი უნდა შექმნას, რომ ყოველწლიურად კონსტიტუციის „ჭრა-კერვა“ აღარ მოხდეს. კონსტიტუცია უნდა იყოს სტაბილური და მას უნდა ჰყავდეს მხარდამჭერები როგორც პოლიტიკურ სპექტრში, ისე საზოგადოებაში. 15-20 წელი საქართველომ ამ მოდელით უნდა იცხოვროს, რადგან სხვანაირად სტაბილური სახელმწიფო ვერ შეიქმნება, — განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

# გია თორთლაძე: „ახალმა ხელისუფლებამ 81.529 ლარი წამართვა“

შორენა მარსაგიშვილი

**ამ დღეებში „ინფორმაციის განვითარებისა და თავისუფლების ინსტიტუტმა“ გამოაქვეყნა ის ღონისძიებები, რომელიც კულტურის სამინისტრომ დააფინანსა. დაფინანსებულთა შორის აღმოჩნდა გია თორთლაძეც. ეს უკანასკნელი ლამის ყველას ფულის აღებაში ადანაშაულებდა. ახლა კი გაირკვა, რომ მას 350 ათასი აუღია. ამან ქვეყანაში დიდი ჟრიამული გამოიწვია. ამ ალიაქოთს გია თორთლაძეც გამოეხმაურა.**

ყოფილი დეპუტატი „ინფორმაციის განვითარებისა და თავისუფლების ინსტიტუტს“ დეზინფორმაციაში ადანაშაულებს.

— ამ ინსტიტუტმა ინფორმაცია გამოაქვეყნა, იმის შესახებ, რომ თითქოს მე კულტურის სამინისტროსგან 350 ათასი ლარი მივიღე. კულტურის სამინისტრომ თანხა არა პირადად მე, არამედ „საქართველოს დეოკუპაციის ცენტრს“ ჩაურიცხა. მე მაქვს გადარიცხვის ფურცელი, სადაც წერია, რომ ეს თანხა საქართველოს კულტურის სამინისტრომ „დეოკუპაციის ცენტრს“ გადაურიცხა. ინსტიტუტი არც იმით დაინტერესებულა და ის ინფორმაცია არ გაუვრცელებია, რომ ახალმა ხელისუფლებამ 81 529 ლარი უკან წაიღო ბიუჯეტში. მე ასევე მაქვს ხელმოწერილი და ბეჭედდარტყმული მიღება-ჩაბარების აქტი, რომლითაც დასტურდება, რომ კულტურის სამინისტროს ცენტრთან პრეტენზია არ აქვს, — განაცხადა გია თორთლაძემ.

თორთლაძე განმარტავს, რომ კულტურის სამინისტროდან გადარიცხული ფული სხვადასხვა მწვერვალზე მის ასვლასა და დროშის „საქართველო ოკუპანტების გარეშე“ ატანის გადაღებას მოხმარდა.

მისი თქმით, ასევე დაიბეჭდა რუსეთ-საქართველოს ომის დაწყების ისტორიაზე ბროშურა. თორთლაძეს პრეტენზია აქვს ასევე „ინფო 9“-სა და „გურია ნიუსის“ მიმართ, რადგან მედიასაშუალებებმა „ინფორმაციის განვითარებისა და თავისუფლების ინსტიტუტის“ მონაცემები მისი პოზიციის გარეშე გაავრცელეს.

2012 წლის ყველაზე ძვირადღირებული პროექტი, რომელიც კულტურის სამინისტრომ დააფინანსა, მიუზიკლი ვერის უბნის მელოდიებია, რომელიც 1 მილიონ 700 ათას ლარზე მეტი დაჯდა. მილიონ 356 ათასზე მეტი დაჯდა ახალციხეში კონცერტის ორგანიზება.

ინფორმაციას, სამინისტროს მიერ დაფინანსებულ პროექტებთან დაკავშირებით, ოპენდატა აქვეყნებს. საჯარო ინფორმაციის ანალიტიკური ბლოგის ინფორმაციით, გასულ წლის მანძილზე მათ არაერთხელ გამოითხოვეს სამინისტროსგან საჯარო ინფორმაცია პროექტების ხარჯებთან დაკავშირებით. ოპენდატამ 2012 წლის პროექტების ხარჯები და მათი მიმღებების შესახებ საჯარო ინფორმაცია ახლა მიიღო და ოფიციალურ გვერდზეც გამოაქვეყნდა.

**თებერვალი:**

მიუზიკლი ,,ქეთო და კოტე’’-ს ორგანიზება — 384 500 ლარი.

ბათუმის ჯაზფესტივალი — 460



000 ლარი.

ლუჩია დი ლამერმურის კონცერტი — 412 800 ლარი.

**მარტი:**

ნინო ანანიაშვილის ,,30 წლის აღსანიშნავი ღონისძება — 310 000 ლარი.

ვახტანგ კიკაბიძის საქველმოქმედო ფონდ ,,ბუბას“ საკონცერტო ტურნე პოლონეთსა და ბულგარეთში — 180 000 ლარი.

შპს ,,ისთერ ფრომმოუშენის“ ორგანიზებით კაროლინა კემპბელის კონსულტაციების ჩატარება — 57 817 ლარი.

**აპრილი:**

არტგენის ჩატარება — 30 000 ლარი.

თბილისის მოდის კვირეული — 20 000 ლარი.

პროექტ ,,პუნქტუნ ცონტრა პუნქტუნ“ განხორციელება — 17 538 ლარი.

**მაისი:**

26 მაისის კონცერტის ორგანიზება — 564 971 ლარი.

ქართველი და ლიტველი პინისტების კონცერტი ბათუმში — 298 705,94 ლარი.

საერთაშორისო ფესტივალი თბილისი ოპენ აირ ალტერვისიონ — 500 000 ლარი.

მუზიკლი ,,ქეთო და კოტე“-ს ორგანიზება — 265 211 ლარი.

**ივნისი:**

ახალციხეში კონცერტის ორგანიზება — 1 356 800 ლარი.

პროექტ ,,მე მიყვარს საქართველო“ ორგანიზება — 480 000 ლარი.

**გაგრძელება მე-4 გვერდზე**

# დავით სერგეენკო: „საყოველთაო დაზღვევის ამოქმედება თებერვლის ბოლოდან დაიწყება“

ნათია ხურცილავა

**შრომის, ჯანმრთელობისა და სოცუზრუნველყოფის მინისტრმა დავით სერგეენკომ გუშინ პრესას პირობა მისცა, რომ ყოველ ოთხშაბათს ჟურნალისტებს შეხვდება და საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე ამომწურავად ისაუბრებს.**

**ერთ-ერთი აქტუალური კითხვა უფასო მშობიარობას შეეხებოდა, რომელიც 1 ივლისიდან უფასო იქნება. მინისტრის განცხადებით, უფასო პირობითია, რადგან ხარჯის დაფარვა სახელმწიფო ბიუჯეტიდან მოხდება. თუმცა, გუშინ გამართულ შეხვედრაზე ჟურნალისტების კითხვებზე პასუხისას მინისტრს უფასო მშობიარობისთვის საჭირო კონკრეტული ციფრები არ დაუსახელებია. მისივე თქმით, ჯერ შეხვედრები არც სამშობიარო დაწესებულებების მენეჯმენტთან გამართულა.**



სერგეენკოს განცხადებით, 1 ივლისიდან უფასო მშობიარობა განხორციელდება სადაზღვევო პაკეტით. მინისტრის განმარტებით, სამინისტრო ხელშეკრულებას გააფორმებს იმ დაწესებულებებთან, რომლებიც ხარისხის მოთხოვნებს დააკმაყოფილებენ.

სერგეენკოს თქმით, დაწესებულება უზრუნველყოფილი უნდა იყოს ორსულობისა და მშობიარობის მართვის შესაბამისი ხარისხით, ინფრასტრუქტურით, კვალიფიციური სამედიცინო პერსონალითა და აღჭურვილობით. მინისტრის განმარტებით, განფასების მოდელს სამომავლოდ გააცნობენ უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულების მენეჯმენტს.

– ჩვენ გვაქვს ჩვენი შეთავაზება, განსაზღვრული ფასები, რომელიც, არსებული წესით, ლოგიკითა და მეთოდით სრულად უნდა აკმაყოფილებდეს მშობიარობის მართვის ხარჯებს. თუ მშობიარეს ექნება სურვილი, რომ საბაზო პაკეტს ზევით ვიპმომსახურება მიიღოს, მოუწევს, თავად გადაიხადოს საბაზო პაკეტს ზევით თანხა, მაგრამ ანაზღაურებითი ნაწილი სავსებით საკმარისი იქნება იმისთვის, რომ სრულად უზრუნველყოს ყველა ის პირობა, რაც ორსულობის მონიტორინგსა და მშობიარობის უსაფრთხო და კვალიფიციურ მიღებას სჭირდება, – განმარტა სერგეენკომ.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრ დავით სერგეენკოს განცხადებით, თუ მშობიარეს ვიპმომსახურების სურვილი ექნება, მას საბაზისო პაკეტზე ზევით თანხის გადახდა თავად მოუწევს.

მინისტრმა აქვე დასძინა, რომ ანაზღაურების ნაწილი სავსებით საკმარისი იქნება იმისთვის, რომ სრულად უზრუნველყოს ყველა ის პოზიცია, რაც ორსულობის მონიტორინგსა და მშობიარობის უსაფრთხო და კვალიფიციურ მიღებას სჭირდება.

მინისტრის თქმით, მშობიარობის დაფინანსება მიმდინარე წლის 1 ივლისიდან არა სახელმწიფო პროგრამით, არამედ სადაზღვევო პაკეტით დაფინანსდება.

– შესაბამისი სამედიცინო დაწესებულება უზრუნველყოფილი უნდა იყოს ორსულობის მართვისა და მშობიარობის შესაბამისი ხარისხით. მასში იგულისხმება ინფრასტრუქტურა, სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაცია და ა.შ. და ეს არის ასევე სამედიცინო დაწესებულების აღჭურვილობითი ნაწილი, – განაცხადა მინისტრმა.

საქართველოს ჯანდაცვის მინისტრ დავით სერგეენკოს შეფასებით, საყოველთაო დაზღვევის ამოქმედება კერძო სადაზღვევო კომპანიებს საფრთხეს არ შეუქმნის.

მინისტრის თქმით, პირველ ეტაპზე, 2013 წლის თებერვლის ბოლოდან, მინიმალური სადაზღვევო პაკეტით უზრუნველყოფილი იქნებიან ის პირები, რომლებიც დაზღვევით არ სარგებლობენ. მისი განმარტებით, მინიმალური სადაზღვევო პაკეტი მოიცავს ორ მთავარ ბლოკს – ოჯახის ექიმთან ვიზიტს შეუზღუდავად თანაგადახდის გარეშე და გადაუდებელი შემთხვევების მართვას, როგორც ამბულატორიულ, ისე სტაციონარულ დონეზე.

სერგეენკოს განცხადებით, ჯანდაცვის სამინისტრო ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის მნიშვნელოვნად შეცვლას აპირებს.

– ხარისხზე ზრუნვა ჯანდაცვის სამინისტროს უპირველესი ამოცანაა. ხარისხის განუყოფელი ნაწილია სამედიცინო პერსონალი, ექიმების ექთნების კვალიფიკაცია. ამ ეტაპზე არსებული პარიტეტი და ცვლილებები, რაც მოიაზრებდა სამედიცინო სპეციალობების კვალიფიკაციას, აკრედიტაციას და ა.შ. ჩავთვალეთ, რომ არ იყო სრულყოფილი, ამიტომ რამდენიმე დღის წინ იმ ბრძანების ამოქმედება გადავწიეთ, რომელიც 2013 წლის 1 იანვრიდან უნდა ამოქმედებულიყო და ახალი სამედიცინო სპეციალობების აკრედიტაციასა და ასევე სხვა საკითხებს შეეხებოდა. გადავწიეთ იმიტომ, რომ უკეთესი გეგმა გავწეროთ, რომელიც მოიცავს ექიმების კვალიფიკაციის ამაღლებას, – განაცხადა სერგეენკომ.

მინისტრის თქმით, საყოველთაო დაზღვევის ამოქმედება თებერვლის ბოლოდან დაიწყება და პირველ ეტაპზე თებერვლის ბოლოდან 1 ივლისამდე პერიოდს მოიცავს.

ჯანდაცვის მინისტრის თქმით, პირველ ეტაპზე მინიმალური სადაზღვევო პაკეტით უზრუნველყოფილნი იქნებიან ისინი, ვისაც საერთოდ არანაირი დაზღვევა არ გააჩნიათ.

– მინიმალური სადაზღვევო პაკეტი ორ მთავარ ბლოკს მოიცავს. ესაა ოჯახის ექიმთან ვიზიტი შეუზღუდავად თანაგადახდის გარეშე და გადაუდებელი შემთხვევების მართვა, როგორც ამბოლატორიულ, ისე სტაციონარულ დონეზე. ამას ემატება ის დიაგნოსტიკური კვლევები, რომელიც ამბულატორიული პირველი შეფასებისთვისაა საჭირო. რაც შეეხება სტაციონარულ-ურგენტულ მომსახურებას, აქაც იგულისხმება იმ შემთხვევების გათვალისწინებით, რომელიც კონკრეტული დაავადების მიმდინარეობისას აუცილებელია. პირველი ივლისიდან კი საქართველოს ყველა მოქალაქე საბაზისო სადაზღვევო პაკეტს მიიღებს, ანუ არსებულ პაკეტს გეგმიური სერვისი დაემატება, როგორც ამბულატორიულ, ისე სტაციონარულ დონეზე. ასევე გაფართოვდება ამბულატორიული და დიაგნოსტიკური კვლევების ჩამონათვალი და ორსულობა და მშობიარობის დაფინანსება, – განაცხადა სერგეენკომ.

მისვე თქმით, უახლოეს თვეებში დაიწყება სამედიცინო დაწესებულების წარმომადგენლებთან შეხვედრა, რომელთაც გაეცნობა ორსულობის მონიტორინგისა და მშობიარობის მართვის განფასების მოდელი.

– ბოლო წლების განმავლობაში ბევრი ცვლილება განხორციელდა. შეიქმნა ახალი სამედიცინო დაწესებულებები და ნაწილი გაუქმდა. ჯანდაცვის სამინისტრო ამ ყველაფრის საქმის კურსში უნდა იყოს. ასევე კომისიის მიზანს წარმოადგენს სამედიცინო პროფილის დაწესებულებების პრობლემების შესწავლა, – განაცხადა სერგეენკომ.

როგორც სერგეენკომ ჟურნალისტებს შემდეგ განუცხადა, სადაზღვევო პაკეტი მოიცავს ოჯახის ექიმთან ვიზიტს და გადაუდებელი ამბულატორიული და სტაციონარული შემთხვევების მართვას.

– მინიმალური სახელმწიფო სადაზღვევო პაკეტის უზრუნველყოფა მოიცავს იმ ადამიანებს, რომლებიც ახლა არანაირი სადაზღვევო პაკეტით არ არიან უზრუნველყოფილნი, ანუ არსებული სადაზღვევო მომსახურება გრძელდება და დაახლოებით 2,2 მილიონი საქართველოს მოქალაქე იქნება ამ ახალი მინიმალური სადაზღვევო პაკეტით უზრუნველყოფილი, – განაცხადა სერგეენკომ.

მისივე ცნობით, უკვე მომავალი წლის ივლისიდან მინიმალური სადაზღვევო პაკეტი შეიცვლება საბაზო სადაზღვევო პაკეტით, რომელიც, ოჯახის ექიმის ვიზიტისა და გადაუდებელი შემთხვევების მართვის გარდა, გეგმიურ სამედიცინო მომსახურებასაც მოიცავს. მინისტრის განცხადებით, რეცეპტების სისტემის აღდგენაზე მუშაობა დაწყებულია.

– მუშაობა გვაქვს დაწყებული რეცეპტების სისტემის აღდგენაზე, როდესაც ექიმის დანიშნულებით მოხდება არა მარტო კონტროლდაქვემდებარებული, ანუ ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებების გამოყენება, არამედ ზოგადად გულსისხლძარღვთა დაავადებების მართვის, ანტიბაქტერიული პრეპარატების გამოყენება, რომ ეს იყოს სისტემაში მოყვანილი და დარეგულირებული. მე ახლავე ვგრძნობ ექსპერტების რეაქციას, ვადასტურებ, რომ მუშაობა მიმდინარეობს იმ მოდელით, რომელიც არამცდაარამც არ გამოიწვევს მედიკამენტების გაძვირებას, პირიქით, ეს გარკვეულ ჩარჩოებში ჩააყენებს ყველაფერს, – განმარტა სერგეენკომ.

## ნოდარ ხადური: „ხელისუფლება ბიუჯეტიდან მოპარული თანხების ვინმესთვის ჩუქებას არ აპირებს“

ფინანსთა მინისტრის ნოდარ ხადურის განცხადებით, ხელისუფლება ბიუჯეტიდან მოპარული თანხების ვინმესთვის ჩუქებას არ აპირებს.

ამის შესახებ ხადურმა გუშინ ჟურნალისტებს პრეზიდენტის იმ ინიციატივის კომენტირებისას განაცხადა, რომელიც ეკონომიკური დანაშაულის ამნისტიას ეხება.

მინისტრმა ნაწყვეტი მოიყვანა ვანო მერაბიშვილის მიერ პრემიერ-მინისტრის რანგში 2012 წლის 3 ივლისს, პარლამენტში გაკეთებული განცხადებიდან, სადაც ექს-პრემიერი აღნიშნავს, რომ „ბიზნესის მხრიდან გადასადახადის გადახდის კუთხით საჭიროა მკაცრი დისციპლინა და სწორედ ასეთი პოლიტიკის შედეგად 8 წლის განმავლობაში საქართველოს ბიუჯეტი 15-ჯერ გაიზარდა. ვიდრე საქართველოში ეს შეუქცევადი არ გახდება და გადასახადის გადახდის ტრადიცია ნებისმიერი მეწარმის სისხლში იქნება, თქვენს წინადადებას ვერ გავიზიარებ“.

ფინანსთა მინისტრმა მსგავსი შინაარსის ამონარიდები ასევე ექს-პრემიერ ნიკა გილაურისა და „ნაციონალური მოძრაობის“ წევრის პავლე კუბლაშვილის გამოსვლებიდანაც მოიყვანა.

„ეს განცხადებები მათ გააკეთეს არა თუ ეკონომიკური დანაშაულის დეკრიმინალიზაციაზე, არამედ საუბარი იყო იმაზე, რომ 50 ათასამდე გაზრდილიყო ის ზღვარი, რომლის ქვემოთაც არ მოხდებოდა ადამიანისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრება. ასე რომ, „ნაციონალურ მოძრაობას“ ჰქონდა სრული 9 წელი, რომ ამაზე ემუშავა. დღეს ეს წინადადება ემსახურება მხოლოდ ერთ რამეს – იმ კომპანიებს, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ღებულობდნენ ასეულობით მილიონ ლარს, არ იხდიდნენ გადასახადს, პრეზიდენტს უნდა, ვითომ ბიზნესზე ზრუნვის საბურველქვეშ, მიუხსნას ეს ვალდებულება. საქართველოს მოსახლეობა ძალიან კარგად ხვდება, რა მიზანს ემსახურება ეს ინიციატივა. არავითარ შემთხვევაში არ დავუშვებთ, რომ ადამიანებს, რომელთაც ბიუჯეტიდან მილიონობით ლარი მიითვისეს და გადასახადი არ გადაიხადეს, ყველაფერი ვაპატიოთ“, – განაცხადა მინისტრმა.

მისივე თქმით, ყველა ასეთი კომპანიის სია მალე გამოქვეყნდება. როგორც ხადურმა განმარტა, ბევრი მათგანის ხელმძღვანელის მიმართ სისხლის სამართლის საქმე უკვე აღძრულია.

როგორც მინისტრი განმარტავს, უწყებაში დავების განხილვის საბჭო მოქმედებს, რომელიც მზდაა, ამგვარ საკითხებთან დაკავშირებით ყველა საქმე ინდივიდუალურ რეჟიმში განიხილოს.

**პირველი**



### შოთა ხიზანიშვილი მერის მოადგილის თანამდებობაზე მუშაობას აგრძელებს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის ყოფილი უფროსი შოთა ხიზანიშვილი, დედაქალაქის მერის მოადგილის თანამდებობაზე მუშაობას აგრძელებს.

თბილისის მერიის მიერ მოწოდებული ინფორმაციიით, ხიზანიშვილი მუშაობას დღეიდან შეუდგა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის ყოფილი უფროსი, სამართალდამცველებმა რამდენიმე კვირის წინ დააკავს.

მოგვიანებით, მას აღმკვეთი ღონისძიება პატიმრობა, გირაოთი შეეცვალა.

მთავარი პროკურატურა ხიზანიშვილს, ბრალს რამდენიმე მუხლით უყენებს.

**ნიუსპრესი**

### შსს-მ ნათლისღების დღესასწაულზე მომხდარი ეკლესიის ქურდობის ფაქტი გახსნა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს თეთრიწყაროს პოლიციის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ქურდობის ფაქტზე, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი, 1982 წელს დაბადებული ვასილ მ-ვი დააკავეს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, დაკავებულმა, 2013 წლის 19 იანვარს, ნათლისღების დღესასწაულზე, თეთრიწყაროს რაიონში, წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიიდან ხატები, ჯვრები, ფსალმუნები და შესაწირავის ყუთიდან ფული მოიპარა. დანაშაული მან სამწლიანი პირობითი მსჯავრის პერიოდში ჩაიდინა. პირობითი სასჯელი მას ბინის ქურდობისთვის მიესაჯა.

მომხდარზე დაწყებულია გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით, რაც 3-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

**ნიუსპრესი**



### რამაზ საყვარელიძე: „ნაკლებ სავარაუდოა, რომ ალასანიას გათავისუფლების მიზეზი შეუთანხმებელი ქმედებები იყოს“

პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძის შეფასებით, ირაკლი ალასანიას ვიცე-პრემიერის თანამდებობიდან გათავისუფლება, თავდაცვის სამინისტროს პრობლემატიკით მეტად დაკავების სურვილით არის გამოწვეული.

„შესაძლებელია გუნდში შეუთანხმებელი ნაბიჯები გადაიდგა, რაც ყოველთვის მტკივნეული პროცესია და ხშირად ხდება, მაგრამ ეს უსიამოვნებათა ერთი მხარეა. მეეჭვება რომ თანამდებობიდან მისი გათავისუფლება უშუალოდ ამ შეუთანხმებლობის საკითხს უკავშირდებოდეს. ჩემი აზრით მისი გათავისუფლება თავდაცვის სამინისტროს პრობლემატიკით მეტად დაკავებითაა განპირობებული, რაზეც პრემიერს, ალასანიას მიმართ მაქსიმალურად პოზიტიური დამოკიდებულება აქვს“– განაცხადა რამაზ საყვარელიძემ „ნიუსპრესთან“ საუბრისას.

**ნიუსპრესი**

### 22 იანვარს პატიმრობიდან 408 ბრალდებული გათავისუფლდა

ამნისტიის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ინფორმაციით, 2013 წლის 22 იანვარს, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებიდან 408 ბრალდებული და მსჯავრდებული გათავისუფლდა.

საერთო სტატისტიკური მაჩვენებლით კი, 2013 წლის 22 იანვრის მონაცემებით, ამნისტიის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე არსებული პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები სულ 1858-მა ბრალდებულმა და მსჯავრდებულმა დატოვა, მათ შორის 175 პოლიტპატიმარია.

**ნიუსპრესი**

## გია თორთლაძე: „ახალმა ხელისუფლებამ 81.529 ლარი წამართვა“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

არტ გენის ჩატარება – 199 131 ლარი.

ანაკლიაზე ვიდეო კლიპის გადაღება – 129 900 ლარი.

რაჭაზე კლიპის გადაღება – 178 393 ლარი.

**ივლისი:**

მიუზიკლ ,,ვერის უბნის მელოდიების ორგანიზება – 1 716 985 ლარი

პროექტი მეამაყება საქართველო – 698 399 ლარი.

სვანეთზე კლიპის გადაღება – 244 860 ლარი.

ბათუმში ხოაკინ კორტესის კონცერტი – 550 000 ლარი.

გორან ბრეგოვიჩის კონცერტის ორგანიზება – 179 233,39

ანაკლიაში 33-ა კონცერტი – 104 229 ლარი.

პროექტი საქართველო ოკუპანტების გარეშე – 350 000 ლარი.

**აგვისტო:**

ლექსენის კონცერტი – 208 004 ლარი

მის საქართველო 2012 – 200 000 ლარი.

ჩიკ კორეას მონაწილეობა ჯაზ ფესტივალზე – 90 000 ლარი.

სექტემბერი:

თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი – 190 000 ლარი.

**ოქტომბერი:**

ილია მეორის საერთაშორისო კონფერენცია – 230 565 ლარი.

ვერაფერს იტყვი, ხელგაშლილობით ყოფილა გამორჩეული ჩვენი კულტურის სამინისტრო. თუმცა თუ კარგად ჩავიკითხავთ დაფინანსებულთა ნუსხას აღმოვაჩენთ, რომ მხოლოდ თავისიანებს აფინანსებდნენ. არჩევნებზე სხვა შედეგი, რომ დამდგარიყო კიდევ ბევრს დააფინანსებდნენ.

# ოცნებასა და ნაციონალებს შორის ჰარმონია უნდა დაირღვეს

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ ირინა სარიშვილთან

***— მიხეილ სააკაშვილი უღირსი მიტოვებული ქალივით იქცევა, — აცხადებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ირინა სარიშვილი და ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას აფასებს.***

— სააკაშვილს ვადა გაუვიდაო და ამ ქვეყნის უბედურება ის არის, რომ ამ კაცს საერთოდ ვადა ჰქონდა. იქიდან გამომდინარე, რომ ქვეყანა აღმოჩნდა ისეთ რთულ მდგომარეობაში, რომ მას ვადა მისცა, სულ უფრო ნაკლებად მოქმედებს ეს მასზე. რაც შეეხება სააკაშვილის საქციელს მთელი ამ ხნის განმავლობაში, რაც ისინი უმცირესობაში აღმოჩნდნენ, ამ შემთხვევაში ნაციონალების მდგომარეობა და სააკაშვილის მდგომარეობა სრულიად განსხვავებულია ერთმანეთისგან. ნაციონალური მოძრაობა, ნაცვლად იმისა, რომ როგორც ორგანიზაცია, საერთოდ აკრძალულიყო, უპრეცედენტოდ დიდი შედეგით უალტერნატივო ოპოზიციის ადგილი დაიკავა. ეს მათთვის ძალიან დიდი წარმატებაა და ამ წარმატებაში დღეს ლომის წილი, სამწუხაროდ, დღევანდელ უმრავლესობას უდევს. სააკაშვილს რაც შეეხება, სააკაშვილი, ასე თუ ისე, ყველა შემთხვევაში ვეღარ იქნებოდა პრეზიდენტი, შემდეგი ვადით ვეღარ აირჩევდა თავს. იმის გამო, რომ მისი საყრდენი ორგანიზაცია ვერ გავიდა პირველ ადგილზე, მისმა ახლო და შორეულმა მომავალმაც ძალიან დიდი დარტყმა განიცადა. თუმცა, ჯერ კიდევ საკითხავია, თვითონ ნაციონალები ჩაჰყვებოდნენ თუ არა უფსკრულში სააკაშვილს. სააკაშვილის დღევანდელი საქციელი ძალიან მოკლედ რომ შევაფასოთ — ეს არის მიტოვებული ქალის ისტერიკა, ოღონდ უღირსებო ქალის ისტერიკა, იმიტომ რომ, ღირსეული ამას არ გააკეთებს. რაც შეეხება უმრავლესობას, უმრავლესობა დღემდე აგრძელებს, ერთი მხრივ, თეა წულუკიანის აბსოლუტურად არაიურიდიული ენით დამნაშავე ნაციონალების შემკობას, მეორე მხრივ, თავის მართლების პოზიციიდან ის ვერა და ვერ გამოვიდა და ამაში ძალიან დიდი წვლილი მიუძღვით რესპუბლიკელებს. ჩემი აზრით, მდგომარეობა საკმაოდ სავალალოა.

***— ფიქრობთ, რომ საზოგადოება იმედგაცრუებულია?***

— სამწუხაროდ, ასეა. ყველაზე გულანთებული მომხრეებიც კი იმ ცვლილებებს, რაც ჩვენს ქვეყანაში მოხდა და ამ მომხრეებში ჩვენც უნდა ვიგულისხმებოდეთ, საკმაოდ ფრთხილად და ცოტა გაოცებულები უყურებენ, ანუ რეალურად მთელი ყურადღება, მთელი აქცენტი გადატანილია დაპატიმრებებზე, თან საკმაოდ უაზრო დაპატიმრებებზე, გადატანილია პოლიტპატიმრების გათავისუფლებაზე. თუმცა, კიდევ გასარკვევი იქნება ალბათ სამომავლოდ, რამდენად სამართლიანად დარიგდა პოლიტპატიმრის სტატუსები. აი, ამაზეა დღეს მთელი აქცენტი გაკეთებული, ყურადღების მიღმა რჩება სოციალური ფონი და ამ სოციალურ ფონსაც რომ თავი დავანებოთ, თუნდაც ეს პატიმრების საკითხი, აი, ეს თემაც არაიურიდიული ენით წარმოებულ პოლემიკას ეფუძნება, ვიდრე კონკრეტულად გადადგმულ ნაბიჯებს. ეს საკმაოდ ცუდია და ამას საკმაოდ ოსტატურად იყენებს დღეს ერთადერთი „ოპოზიცია“ — ნაციონალები. თუ ადრე ჩვენ შეგვეძლო, რომ გვყავდა მრავალფეროვანი ოპოზიცია, რომელიც ერთმანეთს ებრძოდა და ხელისუფლების დეფიციტი იყო ქვეყანაში, დღეს ხელისუფლების დეფიციტთან ერთად, ჩვენ, ფაქტობრივად, შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ საქართველოში პოლიტიკური ოპოზიცია არ არის. ქაღალდზე რეალურად ვარსებობთ, მაგრამ მოქმედებაში ეს ოპოზიცია მთლიანად პარალიზებულია და ოპოზიციის სადავეები ხელში ნაციონალურმა მოძრაობამ აიღო.

***— თქვენ ფიქრობთ, რომ ეს მიზანმიმართული ქმედება იყო?***

— აბსოლუტურად მიზანმიმართული ქმედება იყო და დღითიდღე ამაში არა მხოლოდ მე, ძალიან ბევრი ჩემთან ერთად რწმუნდება, რომ ეს არა მხოლოდ ნაციონალების, არამედ დღევანდელი ხელისუფლების ინტერესიც არის. იქიდან გამომდინარე, რომ ისინი ერთმანეთის არსებობას, ადგილმონაცვლეობის პრინციპით, სავარაუდოდ, დიდი ხნის განმავლობაში განაპირობებენ, თუ არ შეიქმნა რეალურად ძლიერი, მესამე პოლიტიკური ძალა. ამ მესამე პოლიტიკური ძალის შექმნას ერთნაირი ძალისხმევით უწევდნენ და უწევენ წინააღმდეგობას როგორც კოალიცია „ოცნების“, ასევე ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები, იმიტომ რომ ერთმაც და მეორემაც მშვენივრად იციან, ასეთი ძალის არსებობის შემთხვევაში, რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები იქნება ეს თუ რიგითი საპარლამენტო არჩევნები, ძალიან დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგება დღეს ამ ორი ორგანიზაციის ძველი მდგომარეობის შენარჩუნების საკითხი. დღესდღეობით რაც არ უნდა იმედგაცრუებული იყოს კოალიცია „ოცნების“ მოქმედებით მისი ამომრჩეველთა ნაწილი, ეს იმედგაცრუება არანაირად არ გადაიზრდება ნაციონალური მოძრაობის სასარგებლოდ. ისევე, როგორც ნაციონალური მოძრაობა, რომელიც მოთმინებით და საკმაოდ გეგმაზომიერად უგებს მახეს კოალიცია „ოცნებას“ და კარგადაც იყენებს მის შეცდომებს, კოალიცია „ოცნებისთვის“, მას სამომავლოდ არ ემუქრება იმის საფრთხე, რომ დაკარგოს მთავარი ოპოზიციონერის ფუნქცია. აი, ეს ინტერესთა თანხვედრა, რომელიც არანაირად არ ემთხვევა საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესებს, განაპირობებს იმ მდგომარეობას, რა მდგომარეობაშიც დღეს ვართ.



***— გამოდის, რომ დღეს არც ერთ მხარეს არ აწყობს ვადამდელი არჩევნები? არც „ოცნებას“ და არც ნაციონალებს?***

— მე ეჭვი არ მეპარება, რომ არც ერთს არ აწყობს, თუმცა ვადამდელი არჩევნების თემა ბუნებრივად იწევს წინ. როგორც ჩანს, „ოცნებას“ კარგი მრჩევლები ჰყავს და ისინი სიტყვიერად ამ განცხადებებს აკეთებენ, რომ აი შეიძლება მივიდეთ ვადამდელ არჩევნებამდე. არ აწყობთ არა ორგანიზაციულად, არამედ პიროვნულად. ხვალ, დავუშვათ, ჩატარდა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, ჯერ ერთი, ძალიან შემცირდება ამ არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რიცხვი, მაგრამ რეალურად ეს ძალთა თანაფარდობას არ შეცვლის. უბრალოდ, შეიძლება შეიცვალოს სიები და სხვა ადამიანებმა წამოიწიონ წინ. აქედან გამომდინარე, შემადგენლობებს არანაირი ინტერესი არ შეიძლება ჰქონდეთ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების. ახლა რაც შეეხება სწორ ინტერესს, ანუ ინტერესს, რომელიც გაჩნდა საზოგადოებაში, რომ ამის ასე გაგრძელება შეუძლებელია და საზოგადოება მოტყუებულად გრძნობს თავს, ამ ეტაპზე რომც დანიშნოს კოალიცია „ოცნებამ“ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, მე პირადად ვთვლი, რომ ამას არანაირი აზრი არა აქვს.

***— რატომ?***

— იმიტომ რომ, ვიმეორებ, არ შეიცვლება არაფერი, გარდა ამ ორი გუნდის პირადი შემადგენლობებისა. დარწმუნებული ვარ, ეს პირადი ცვლილებები ნამდვილად არ შეეხება იმ ბირთვს, რომელიც აღებული აქვს „ოცნებას“ რესპუბლიკური პარტიის სახით. აქედან გამომდინარე, სანამ არ შეიქმნება ძლიერი მესამე პოლიტიკური ძალა, არანაირ არჩევნებს ასეთ ვითარებაში არაფრის შეცვლა არ შეუძლია. რაც შეეხება რესპუბლიკური პარტიის მდგომარეობას, თუ „ოცნება“ გააგრძელებს ქვეყნის მართვას, მე საერთოდ ეჭვი მეპარება, რომ იგივე ირაკლი ალასანია იყოს „ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი.

***— სხვათა შორის, ამაზე მინიშნება ივანიშვილმაც გააკეთა.***

— დავაკვირდეთ ივანიშვილის გამონათქვამებს. სხვათა შორის, ეს დაიწყო უფრო ადრე, ვიდრე დღეს. მან ერთი-ორჯერ დაასახელა სრულიად კონკრეტული რესპუბლიკელი, რომელიც, მისი აზრით, იქნებოდა ძალიან კარგი საპრეზიდენტო კანდიდატი. ახლა კონკრეტულად რომელს აირჩევს ბიძინა ივანიშვილი, ძნელი სათქმელია, მაგრამ, არ არის გამორიცხული, რომ ადამიანი, რომელიც რამდენჯერმე დასახელდა მისი მხრიდან პრეზიდენტობის კანდიდატად, სწორედ ის იყოს პრეზიდენტობის კანდიდატად წარმოდგენილი. როდესაც ირაკლი ალასანია თავდაცვის მინისტრად დაინიშნა, უკვე იმ მომენტიდანვე ცხადი იყო, რომ, ყოველ შემთხვევაში, ბიძინა ივანიშვილი მის პრეზიდენტობას ნამდვილად არ გეგმავდა, იმიტომ არა, რომ თავდაცვის მინისტრი ცარიელი პოსტია, მაგრამ ეს არ არის ის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პოსტი საქართველოს მთავრობაში, რომელიც შეიძლება განვიხილოთ ტრამპლინად. აბსოლუტურად სხვა საქმე იქნებოდა, რომ დანიშნულიყო, ვთქვათ, ირაკლი ალასანია საგარეო საქმეთა მინისტრად. ეს ბევრად უფრო ლოგიკური ნაბიჯიც იქნებოდა და ძალიან ბევრ დღეს უკვე ჩადენილ და სამომავლოდ მოსალოდნელ სირცხვილს გადარჩებოდა საქართველოს მთავრობა დღევანდელი საგარეო საქმეთა მინისტრის გათვალისწინებით. თუნდაც ის, რომ საზღვარგარეთ ამხელა დიპლომატიური სტაჟის მქონე ადამიანი, ირაკლი ალასანია, არ დაინიშნა ბევრად უფრო მნიშვნელოვან პოსტზე (მისი პოლიტიკური კარიერიდან გამომდინარე) და დანიშნეს თავდაცვის მინისტრად, ეს უკვე ძალიან ბევრ რამეზე მეტყველებს. დღევანდელი უმრავლესობა და ხელისუფლება არა იმდენად მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე ზრუნავს, რამდენადაც მომავალი პრეზიდენტობის კანდიდატის გადათამაშებაზე. მე მგონი, ყველა კარგად ხვდება, რაშიც არის საქმე.

***— ცნობილია, რომ ოქტომბრიდან ახალი კონსტიტუცია შევა ძალაში და პრეზიდენტს აღარ ექნება იმდენი უფლებამოსილება, რამდენიც დღეს და ეს ფორმალური პოსტი იქნება.***

— გეთანხმებით, ნაკლებად მნიშვნელოვანი იქნება პრეზიდენტის პოსტი, მაგრამ, ასეა თუ ისე, თუკი მთელი სადავეები რესპუბლიკელების ხელშია, არ იქნება მიზანშეწონილი მასთან აბსოლუტურად შეუთავსებელი ირაკლი ალასანიას პრეზიდენტობა. მე ძალიან კარგად ვიცი და სრულიად არ არის ირაკლი ალასანია ამაში ორიგინალური, რა დამოკიდებულებაც აქვს მას ამ გუნდთან. აქედან გამომდინარე, ეჭვი არ მეპარება, რომ თვითონ საპარლამენტო უმრავლესობა, რომელიც ძირითადად რესპუბლიკელებისგან დაკომპლექტდა და ჩვენ მივიღეთ მთლიანად რესპუბლიკური მმართველობა, მინუს ბიძინა ივანიშვილი, მხოლოდ ერთი სხვაობით, რა თქმა უნდა, არ იქნება მოსურნე, რომ მასთან არცთუ კეთილგანწყობილი ადამიანი იყოს წარდგენილი პრეზიდენტის პოსტზე. ზოგადად, როგორც ცალკე აღებული, საკმაოდ სიმპათიური ადამიანია დასახელებული ბიძინა ივანიშვილის მხრიდან. ეს გახლავთ ვახტანგ ხმალაძე. რამდენჯერმე გამეორდა მისი გვარი. მე, პირადად, ამ ადამიანის საწინააღმდეგო ნამდვილად არაფერი მაქვს. ის მართლაც ძალიან კარგი ადამიანია, მაგრამ ის არის რესპუბლიკელი და ამ ნიშნით არის დასახელებული ბიძინა ივანიშვილის მიერ. რაც მთავარია, მომავალ საპრეზიდენტო პოსტს, რომელიც იქნება უფრო სიმბოლური ნიშნის მატარებელი, განსაკუთრებით, თუ იმავე პარტიიდან იქნება, რომელიც დღეს მმართველი პარტიაა პარლამენტში, აი, ასეთ პოსტს, ნახევრად უფლებადაცლილს, ძალიან კარგად შეესაბამება ინტელიგენტი ვახტანგ ხმალაძე, რომელსაც ალბათ აქამდე აზრადაც არ მოსვლია ქვეყნის მართვაში ასეთი დოზით მონაწილეობის მიღება.

***— როგორ ფიქრობთ, ბიძინა ივანიშვილი რესპუბლიკელების გავლენის ქვეშ მოექცა თუ რასთან გვაქვს საქმე?***

— ივანიშვილი არავის გავლენის ქვეშ არ არის, მერწმუნეთ. ივანიშვილმა პოლიტიკაში შემოსვლის პირველივე დღიდან შესანიშნავად იცოდა, ამჯერად უკვე ვერსიების გარეშე შეიძლება საუბარი, თუ რა ნაბიჯსაც დგამდა. რა თქმა უნდა, მე აქ ვგულისხმობ არა კონკრეტულად ივანიშვილის შეხედულებებს, არამედ იმ „ინსტრუქციებსა“ და „რჩევა-დარიგებებს“, რომლებიც მას, როგორც ჩანს, მისცეს. მან გადადგა ნაბიჯი ისეთი ადამიანებისკენ, რომლებიც არანაირი პოპულარობით არ სარგებლობდნენ მოსახლეობაში და მთელი წინასაარჩევნო კამპანია დაფუძნებული იყო, ერთი მხრივ, ბიძინა ივანიშვილის სრულიად დამსახურებულ მაღალ რეიტინგზე საქართველოში და, მეორე მხრივ, ძალიან დიდი დოზის სიძულვილზე ნაციონალური ხელისუფლების მიმართ. აი, ამ ორმა ფაქტორმა, ფაქტობრივად, ორთქლმავლის პრინციპით გაიყვანა ისეთი ხალხი ხელისუფლებაში, რომელიც ვერც ერთი სხვა განლაგებით, ვერც ერთი სხვა გეგმით ვერათუ ხელისუფლებაში, ოპოზიციის სტატუსითაც კი ვერ მოხვდებოდა პარლამენტში დამოუკიდებლად.

***— რა პროცესების განვითარებას ელით სამომავლოდ?***

— პროცესები წავა დუნედ, მაგრამ უარესისკენ. სამწუხაროდ, ეს ის რეალობაა, რასაც ვხედავთ და ერთადერთი გამოსავალი, რომ ასე არ მოხდეს და თუნდაც არჩევნების გარეშე დღევანდელი ხელისუფლება ვაიძულოთ, რომ ის ნაბიჯები გადადგას, რაც გადასადგმელია, ან მართლაც რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები დაინიშნოს, საჭიროა, ეს ჰარმონია დაირღვეს ამ ორ ძალას შორის, კოალიცია „ოცნებასა“ და ნაციონალურ მოძრაობას შორის. ჰარმონიის რეალურ რღვევაზე მაქვს ლაპარაკი და არა ქვედა ეშელონებიდან კონკრეტული ადამიანების დაპატიმრებაზე და შემდეგ მათ გირაოთი გამოშვებებზე. ამ ჰარმონიის დარღვევა შეუძლია მესამე პოლიტიკურ ძალას, ოღონდ არა იმ სახით, როგორითაც დღეს ცალ-ცალკე ორგანიზაციები არსებობენ, არამედ რეალურად ძლიერ მესამე პოლიტიკურ ძალას. დრო არც ისე ბევრია, მაგრამ სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ თუნდაც ზაფხულამდე ჩვენ ყველამ გონებაც მოვიკრიბოთ, ძალებიც მოვიკრიბოთ, რაღაც-რაღაცები გადავლახოთ და სერიოზულად ვიფიქროთ ასეთი ტიპის მესამე ძალის შექმნაზე. მე სხვა გამოსავალს მდგომარეობიდან ვერ ვხედავ. ვისაც დღევანდელი მდგომარეობა მოსწონს, რასაკვირველია, მას არც სჭირდება გამოსავლის ძიება, მაგრამ მე ამას ასე თამამად იმიტომ ვამბობ, რომ ძალიან კარგად ვიცი, ძალიან ბევრი ადამიანისთვის ეს მდგომარეობა მიუღებელია და, თუ კიდევ ძალიან ბევრი დღეს ხმას არ იღებს, არ იღებს იმიტომ, რომ მას კიდევ დარჩა იმედის ნაპერწკალი, რაღაცა დროის განმავლობაში დღევანდელი ხელისუფლება რეალურად დაიწყებს დანაპირებების ასრულებას. ცოტა უფრო ნაკლებმა რაოდენობამ ვიცით, რომ ეს ასე არ არის და მას აუცილებლად „დახმარება“ სჭირდება გარედან. ასეთი დახმარება კი შეიძლება იყოს მესამე პოლიტიკური ძალა, რომელმაც ან სხვა შედეგი უნდა დადოს ახალ საპარლამენტო არჩევნებზე, ან თავისი არსებობით, ყოველგვარი არჩევნების გარეშე, განაპირობოს დღევანდელი ხელისუფლების უფრო სწორი მიმართულებით სვლა.

## მიხეილ სააკაშვილი: „ყოველთვის, როდესაც რუსეთი ნეიტრალურს თამაშობს, ეს ცუდად მთავრდება“



საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, „ყოველთვის, როდესაც რუსეთი ნეიტრალურს თამაშობს, ეს ცუდად მთავრდება“.

ამის შესახებ სააკაშვილმა „რუსთავი 2“-თან ინტერვიუში განაცხადა.

„რუსეთის დიპლომატია სულ გვეუბნება ერთსა და იმავეს, რომ რათ გინდათ ეს დასავლეთი და საერთაშორისო ორგანიზაციები, მოდით, დავილაპარაკოთ ერთმანეთთან. ერთიდაიგივე ხაფანგში თითქოს არ უნდა ვებმოდეთ, ხომ?! ასე მოაწერინეს შევარდნაძეს ხელი დამღუპველ სამშვიდობო ხელშეკრულებაზე. 1994 წელს რომ არ მოეწერა ხელი სამშვიდობო ხელშეკრულებაზე, აფხაზები როგორ შეინარჩუნებდნენ თუნდაც გულრიფშს, ოჩამჩირეს, გალს? ფიზიკურად არ არიან ამდენი მათი ძალები. აი, რუსებმა გვითხრეს, რომ ჩვენ ჩავდგებით და მერე მოვაგვარებთ. ხომ ვჭამეთ თავის დროზე? ასე გაფორმდა გაგრის ხელშეკრულება, სოჭის ხელშეკრულება... ყოველთვის, როდესაც ისინი შემოდიან და ვითომ ნეიტრალურს თამაშობენ, ეს ყოველთვის ცუდად მთავრდება. საერთაშორისო მექანიზმების შემოტანაა საჭირო, რომელიც საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს დაიცავს. ამ გზიდან გადახვევა საქართველოს გრძელვადიანად დააზიანებს“, — განაცხადა სააკაშვილმა.

პირველი

# ანზორ აბრალავა: „სააკაშვილის გუნდი ეკონომიკურ საბოტაჟს ეწევა“

შორენა კოწოწაშვილი

**არის თუ არა ფინანსური კრიზისი და საბოტაჟის ნიშნები წინა ხელისუფლების მხრიდან? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორ, პოლიტიკურ მოძრაობა „სოლიდარობის“ თავმჯდომარე ანზორ აბრალავასთან.**



***— ბატონო ანზორ, სააკაშვილი და მისი გუნდი ამტკიცებს, რომ ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისია, რომ ივანიშვილის გუნდი ქვეყნის მართვას თავს ვერ ართმევს. აქედან გამომდინარე, პრეზიდენტი ეკონომიკური ამნისტიის ინიციატივით გამოვიდა. აუცილებელია ამ ვითარებაში ეკონომიკური ამნისტია?***

— რაზეც სააკაშვილი საუბრობს, ეს ეკონომიკური ამნისტია კი არ იქნება, არამედ პოლიტიკური ამნისტია. სააკაშვილი და მისი გუნდი უმთავრესად სწორედ ეკონომიკურ სუბიექტებს ეხებოდნენ. მათ ძალიან ბევრი დანაშაული აქვთ ჩადენილი; ძალიან დიდი რაოდენობით ფული დაგროვილი; ადამიანების საკუთრება, ქონებაა მათ მიერ ხელყოფილი, ძალადობრივად გადაფორმებული. პრეზიდენტმა ამას მისცა პოლიტიკური საბურველი და გამოვიდა ინიციატივით, რომ გამოაცხადოს ეკონომიკური ამნისტია. დანაშაულზე უნდა იყოს სასჯელი. ეს არის პრეზიდენტის მხრიდან საკუთარი გუნდის გადარჩენისთვის გადადგმული ნაბიჯი, მაგრამ ამას არანაირი რეაგირება არ მოყვება. სააკაშვილის ნათქვამს ახლა არანაირი ფასი არ აქვს, მას უკვე აღარაფერი უშველის. ეს არის მისი უკანასკნელი მონოლოგები. რაც შეეხება ეკონომიკურ კრიზისს, მსოფლიოშია კრიზისი. ხედავთ, რა ამბებია ევროპაში, აზიაში. დეფოლტის წინაშე დგას აშშ, ვალები დაუგროვდა. საგანგებო ეკონომიკურ სტრატეგიას სთავაზობენ ქვეყანას. არა მგონია, საქართველოში იმაზე უარესი მდგომარეობა იყოს, რაც ადრე იყო. სააკაშვილი ფიქრობს, რომ მის დროს ყველაფერი იყო კარგად, თორემ ახლა ხალხს ჰკითხოს. მიმაჩნია, რომ ძალიან მნიშვნელოვანია დღეს კახეთის დაზარალებული მოსახლეობისთვის კომპენსაციის გაცემა. ვფიქრობ, ლაპარაკი სოფლის მეურნეობის დახმარებაზე, ფუჭი არ იქნება. მთავარი ის არის, რომ შედარებით ლიბერალური ეკონომიკური ვითარებაა ქვეყანაში შექმნილი. ყოველ შემთხვევაში, იდეოლოგია ასეთია. მე მგონი, შედარებით ნორმალური კონკურენცია უნდა იყოს. ეკონომიკური სუბიექტები უნდა იყოს ჩართული. თითოეულმა ადამიანმა თუ არ იგრძნო თავის ჯიბეზე, რომ მდგომარეობა უკეთესი ხდება, ზოგადი პარამეტრებით მსჯელობა სწორი არ იქნება.

***— საბიუჯეტო კრიზისი იკვეთება? ფინანსთა მინისტრმაც აღიარა, რომ შემოსავლებმა იკლო და მან ეს იანვრისთვის დამახასიათებლად მიიჩნია.***

— წლის ბიუჯეტი წლის დასაწყისში არ ივსება. სააკაშვილი ყველაფერს მუქ ფერებში ხატავს. მას უნდა ისე წარმოაჩინოს, რომ მის დროს საქართველო ბრწყინავდა. მე, მაგალითად, დაუკმაყოფილებლობის გრძნობა გამიჩნდა, როდესაც პასუხი გაეცა კითხვაზე, რომ კრიმინოგენული ვითარება გაუარესდა საპატიმროებიდან ხალხის გამოსვლით. კრიმინოგენული ვითარება, პირიქით, გაუმჯობესდა იმიტომ, რომ ხალხს მოაშორეს ყველაზე მთავარი კრიმინალები. წინა ხელისუფლების პოლიტიკა იყო კრიმინალური. დღეს ადამიანებს ქონებას არ ართმევენ; არ არის ძალით გადაფორმებები; არ არის დაშინება და ჯიბეში ხელის ჩაყოფა. ასეთი ფაქტები რომ იყოს, უფლებადამცველი ორგანიზაციები იყვირებდნენ. ახლა წკავ-წკავს ის ხალხი დაიწყებს, ვინც სხვას წაართვეს ქონება. ნუ ჰგონია სააკაშვილს, რომ ქვეყანა გაძარცვეს და ეს შერჩებათ.

***— შესაძლებელია, რომ წინა ხელისუფლების წარმომადგენლებმა, რომლებიც მთელ ბიზნესს აკონტროლებდნენ ქვეყანაში და დღესაც მათ ხელთაა, საბოტაჟი მოაწყონ? ექსპერტებმა იგივე ეროვნული ბანკის ქმედებაში დაინახეს საბოტაჟის ნიშნები...***

— ამ წუთას კონკრეტული ფაქტები არ გამაჩნია, მაგრამ გარეგნული ნიშნებით თუ შევაფასებთ, სააკაშვილის გუნდი ახლაც ეწევა როგორც ეკონომიკურ, ისე პოლიტიკურ საბოტაჟს. პოლიტიკური საბოტაჟია და პოლიტიკური თავდასხმაა ის, რაც სააკაშვილმა გააკეთა სტრასბურგში. ფარულად ესენი რას აკეთებენ, არ ვიცით, რაც ჩანს, ეს არის. ასე არ გამოვა. ბიძინა ივანიშვილი თავისი წარმატებული მართვის მეთოდებს შეაჩვევს ხელისუფლებასაც. ვფიქრობ, ისინი უკეთესად წარმართავენ პროცესს. ყოველ შემთხვევაში, ის რაც სააკაშვილის დროს იყო, იმას არაფერი ერქვა. ეს იყო ძალადობა. მართალია, რაღაცები შენდებოდა, რაზეც ვიღაცები აპელირებენ, მაგრამ ეს სააკაშვილის დამსახურება არ არის. სააკაშვილი ნუ გვამადლის. ნუ ავიწყდება, რომ ხელისუფლებაში რომ ხარ, საქმე უნდა აკეთო. თუ ჩვენ კარგად შევისწავლით და საჯარო გახდება, რა ფულები თეთრდებოდა, ჩვენ მივიღებთ ძალიან დიდ კორუფციულ სქემას. რა ხდებოდა ბიზნესში, რა სახის მონოპოლიები იყო, ვის შემოჰქონდა ნავთობი, შაქარი, სიგარეტი. ვის ხელშია ეს საცოდავი ხალხი, რომელიც მაყურებლის როლშია, ნაცვლად იმისა, რომ პროცესებში მონაწილეობდეს. ჩვენ ეს ხომ კარგად არ ვიცით და ჩვენი საზოგადოება თავის ეკონომიკურ საქმიანობას გამოკვეთილად ვერ ხედავს ამ საზოგადოებაში, ჩამოყალიბებული არ არის. საზოგადოებამ კარგად უნდა იცოდეს, რა უნდა. ეკონომიკური პროცესის მონაწილედ უნდა იქცეს. ჩვენ გვინდა ეკონომიკურად აქტიური საზოგადოება. აი, აქეთკენ თუ არ იქნა მიმართული, სხვანაირად დამდგარი შედეგი საინტერესოც არ იქნება.

***— ბატონო ანზორ, ცნობილი 100 დღის ფარგლებში ყველა თავს იკავებს ახალი ხელისუფლების კრიტიკისგან. სუსტად გამოიყურება ახალი მთავრობა? ბევრი საუბრობს, რომ ამ მთავრობისგან უფრო მეტს ელოდა...***

— ჯერ ხელისუფლებას უნდა ვაცადოთ. ჩვენ არ უნდა ვიქცეთ საზოგადოების იმ ნაწილად, რომელიც ბოღმას და ღვარძლს ანთხევს, როგორც ნაციონალური მოძრაობა. ნაციონალური მოძრაობა არის საქართველოს სხეულზე ავთვისებიანი სიმსივნე უკვე შორს წასული მეტასტაზებით. ჯანსაღი კრიტიკა აუცილებელია, ოღონდ თავის დროზე. მე ვფიქრობ, იუსტიციის მინისტრი არის ძალიან მტკიცე ნებისყოფის ადამიანი და ვისურვებდი ასე გააგრძელოს. მე მისი გულშემატკივარი ვარ. ძალიან მომწონს აკადემიური, პროფესიული და თავშეკავებული გამოსვლა მთავარი პროკურორის. ხალხი მოელის სამართლიანობას და ამ სფეროების ხელმძღვანელებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვთ. სამართლიანობა უნდა აღდგეს, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში საფუძვლიანად, უფრო მკაცრად უნდა იქნეს საკითხი დასმული იმიტომ, რომ ამის საფუძველი საზოგადოებაში არსებობს. სააკაშვილი რომ იძახის ეკონომიკურ ამნისტიას, ეს შირმაა, მას საერთო ამნისტიისკენ აქვს გეზი აღებული. თვითონ მოდიოდა ნულოვანი ტოლერანტობით. ციხეები გაივსო ხალხით, დაინგრა ოჯახები, შეურაცხყოფილია ხალხი. საზოგადოების ერთი ნაწილი გამოაცხადეს ზედმეტ ნაწილად ასაკობრივი, პოლიტიკური, მსოფლმხედველობრივი ნიშნით. ამიტომ ამ ხელისუფლებას მოუწევს ამ რთულ გზაზე ძალიან დაფიქრებით სიარული. შეცდომები რომ არ იქნეს დაშვებული, ამიტომ მთავრობას მეტი ყურადღება მართებს. ჯერ ერთი, ფული არის ძალიან მაცდუნებელი. ივანიშვილმა მთავრობის წევრებს შესთავაზა, თქვენ თუ რამე დაგჭირდათ, ბიუჯეტისკენ ნუ გაიხედავთ, მომმართეთ მე. ანუ მან მეგობრული მხარდაჭერა შესთავაზა მთავრობის შემადგენლობას, ოღონდ პატიოსნად იმუშაონ. ცალკეულ მინისტრებს მართებთ ამ მიმართულებით პატიოსნად იმუშაონ და საზოგადოება არ გააღიზიანონ. მინისტრს თუ პარლამენტის წევრს მაღალი ხელფასი უნდა ჰქონდეს, რომ ის კორუფციაში არ გაერიოს. რა ქნას იმ მოქალაქემ, რომელსაც საარსებო მინიმუმზე აქვს გათვლა. ე.ი. მან უნდა მოიპაროს?! არ შეიძლება ასე საკითხის დასმა. იგივე ავიღოთ ტარიფებთან დაკავშირებით. ეს ყბადაღებულ თემად იქცა. სხვათა შორის, ივანიშვილმა სწორად თქვა, შეცდომაში შემიყვანეს გარკვეულად ტარიფებთან მიმართებაშიო. იმიტომ, რომ არ იყო დასაბუთებული სათანადოდ ტარიფებთან დაკავშირებით კონცეფცია, მაგრამ ვიღაცამ ხომ შეიმუშავა ეს? ტარიფების საკითხი მარტო საქართველოს გადასაწყვეტი არ არის. აქ საერთაშორისო კომპანიები არის ჩართული, სხვა სახელმწიფოები. რთული გასაანგარიშებელი ფორმულაა. ამიტომ, აქცენტი უნდა იყოს აღებული არა ტარიფებზე, არამედ უმთავრესი აქცენტი უნდა იქნეს აღებული შემოსავლების ზრდაზე. ჩვენ მეტი შემოსავლების მიღების ატმოსფერო უნდა შევქმნათ. უნდა შეიქმნას კონკურენტული გარემო, რომელიც ჯერჯერობით არ არის საქართველოში. მთავრობის და ეკონომიკური გუნდის შეცდომა ის არის, ეკონომიკური კონცეფცია უფრო გამოკვეთილი უნდა იყოს; უფრო მკაფიო და უფრო დეტალიზებული. წარმოდგენილი კონცეფცია მთლიანად გასაგები არ არის. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ისეთი პრობლემების წინაშე დგას დღევანდელი ხელისუფლება, რომ ყველა საკითხის მოგვარება ერთდროულად ვერ მოხერხდება. ხომ ხედავთ, ნაწილი საკითხებისა საკანონმდებლო დონეზე რა რთული მოსაგვარებელია: უფლებამოსილებათა გადანაწილება ხელისუფლების შტოებს შორის; პრეზიდენტსა და მთავრობას შორის. ამას ყველაფერს მოგვარება უნდა. ჩვენ ვერ წავალთ რევოლუციური და ძალადობრივი გზით. ყველაფერი კონსტიტუციურ ჩარჩოში უნდა მოგვარდეს. სხვათა შორის, ხალხიც ამას გაგებით და მოთმინებით ხვდება. 100 დღეს არის ოპტიმალური ვადა, რომლის შემდგომ სრულიად ბუნებრივად დაიწყება კრიტიკული დამოკიდებულება, უფრო მეტად კრიტიკული, ვიდრე დღეს არის. ხალხს უფრო მეტი პრეტენზია გაუჩნდება და ეს სრულიად ბუნებრივია. პრეტენზიები ყოველთვის იარსებებს დაპირებების მიმართ, რომელიც იყო. მე ვთვლი, რომ გარკვეული კორექტივები უნდა იქნეს შეტანილი მთავრობის მუშაობაში, თვით საკადრო პოლიტიკის თვალსაზრისით. ძალიან დიდი სიმპათიით ვარ გამსჭვალული პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის, ქალბატონ მანანა კობახიძის მიმართ. ძალიან მომწონს მისი აკადემიური, კვალიფიციური, პროფესიული და პოლიტიკურად გაწონასწორებული განცხადებები. ამას აქვს მნიშვნელობა, პარლამენტში გარკვეულ ტენდენციას ამტკიცებს.

***— ბატონო ანზორ, რადგან საკადრო პოლიტიკა ახსენეთ, შეიძლება, რომ სწორედ საკადრო დანიშვნებმა გააჩინოს ბევრი კითხვა ხელისუფლების მიმართ?***

— საკადრო პრობლემა ყოველთვის იარსებებს.

***— გასაგებია, მაგრამ საზოგადოებას აღიზიანებს ძველი, დისკრედიტებული სახეების საჯარო სამსახურებში დატოვება.***

— იმ ადამიანებს, ვინც აქტიურად ახორციელებდა ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკას; ვინც წარმოადგენდა ნაცმოძრაობის აგრესიულ ქმედებას და სახეს, ამ ადამიანებს სხვა საქმე უნდა მიეცეთ. აუცილებელი არ არის, ისინი მუდმივად ხელისუფლებაში იყვნენ. რაც მალე გაიწევენ ეს ადამიანები განზე, მით უკეთესი. თვითონ სააკაშვილსაც აქვს აკვიატებული „ძველი სახეები“. ზუსტად ძველი სახეა თავად სააკაშვილი. ის შევარდნაძის დროიდან მოდის და რატომ არის თვითონ ყოველთვის ახალი სახე, ვერ გავიგე. მიშა არის დაობებული, დახავსებული, საქართველოს გუშინწინდელი დღე, რომელიც ცარიელი კასრივით რახრახებს.

# პატრიარქის მოსკოვში ვიზიტი უკვე წარმატებულია

**ეროვნული მოძრაობის წევრი მამუკა გიორგაძე ხელისუფლებას ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებით საკმაოდ ფრთხილი და სახელმწიფოებრივი ინტერესებით განპირობებული ნაბიჯებისკენ მოუწოდებს. ამასთან, გიორგაძე ივანიშვილის მთავრობას ურჩევს, იმავე „სამხრეთ ოსეთთან“ მიმართებით დააკვირდეს, პატრიარქის ტერმინოლოგია როგორია და მიბაძოს ოფიციალურ ლიტვას. გთავაზობთ ინტერვიუს „სახალხო პარტიის“ ლიდერ მამუკა გიორგაძესთან.**



შორენა კოწოწაშვილი

***— ბატონო მამუკა, თქვენი აზრით, სწორი აქცენტები გააკეთა ხელისუფლებამ მეზობელ ქვეყნებთან, იმავე რუსეთთან მიმართებით? ფაქტია, საკმაოდ მნიშვნელოვანია პატრიარქის რუსეთში ვიზიტი.***

— მისი უწმინდესობის ქმედებები მუდმივად არის თანმიმდევრული, მიზანმიმართული და კონკრეტულ შედეგზე ორიენტირებული. პატრიარქი არასოდეს არავის აძლევს საბაბს, რომ მისი რომელიმე განცხადება ან ქმედება გამოყენებულ იქნეს ქართული ეკლესიის ან ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ; პატრიარქი მაქსიმალურად ცდილობს, მოწინააღმდეგე მხარესთან ან თუნდაც, ყველაზე უკეთეს შემთხვევაში, მეგობარ მხარესთან, პარტნიორთან უპირატესობა მუდმივად ჰქონდეს. მთელი ამ ხნის განმავლობაში მისმა თანმიმდევრულმა, პრინციპულმა, ერთი მხრივ, პოზიციების დაცვასთან დაკავშირებით და, მეორე მხრივ, ადამიანურმა სითბომ განაპირობა ის გარემოება, რომ დღეს საქართველოს ეკლესია ძალიან მნიშვნელოვან სტრუქტურად იქცა ქართული სახელმწიფოს ინტერესების დაცვაში. პატრიარქის პირადი ავტორიტეტი უმნიშვნელოვანესია პარტნიორებთან ურთიერთობაში, ზუსტად ასეთივე — თანმიმდევრული, პრინციპული, მაგრამ ძალიან თბილია ის ჩვენს ყველა მეზობელთან, მათ შორის ისეთ გართულებული ურთიერთობის მქონე მეზობელთან, როგორიც არის რუსეთი და მისი ეკლესია. მტკიცე პოზიციით იცავს მისი უწმინდესობა საქართველოს ინტერესებს და ძალიან ხშირად აღწევს კიდეც შედეგს; არბილებს რუსეთის მხარის შესაძლო მოქმედებების შედეგებს საქართველოსთან მიმართებით. თუნდაც პერევის მაგალითი შეგვიძლია გავიხსენოთ, ანდა 2008 წლის აგვისტოში დაღუპულთა გადმოსვენების თემა. თუნდაც ის გარემოება, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის საეკლესიო სტატუსი ხელშეუხებელია. მისი უწმინდესობა, შეიძლება ითქვას, ხმალამოღებული იბრძვის ამ სტატუსის და საქართველოს ერთიანი საეკლესიო სივრცის შესანარჩუნებლად. სამაგალითოა მისი მოქმედებები არა მხოლოდ როგორც სასულიერო პირისა, არამედ, როგორც საერო მოღვაწისა. თუნდაც მისი დამოკიდებულება ავიღოთ აზერბაიჯანთან ან საკმაოდ პრინციპული დამოკიდებულება სომხეთის ეკლესიასთან. ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ საქართველოს ჰყავს პატრონი. ჩვენ დღეს კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ასეთი პატრონის ქვეშ ქართველი ხალხი ძალიან ბედნიერია, რასაც ვერ ვიტყვით ხელისუფლებასთან მიმართებით. სამწუხაროდ, ვერც სააკაშვილის პერიოდში და ვერც დღეს ასეთი პრინციპული, მტკიცე პოზიციები გამოკვეთილი არ არის. შესაბამისად, ძალიან დიდი შესაძლებლობები გააჩნიათ ამის გამო საზღვრებს გარეთ არსებულ ჩვენს ოპონენტებს თავიანთი მიზნების რეალიზებისათვის. სამწუხაროდ, ხდება არათანმიმდევრული პოლიტიკა. განცხადებები და რეალური ქმედებები ხშირად ერთმანეთს არ შეესაბამება და ეს მორალური სიმტკიცის დეფიციტი გარკვეულ უპირატესობას აძლევს სხვებს.

***— ექსპერტი რამაზ საყვარელიძე ეჭვობს, რომ პატრიარქის რუსეთში ვიზიტს რაიმე პოლიტიკური შედეგი შეიძლება მოჰყვეს. რა შედეგს გამოიღებს ეს ვიზიტი და რამდენად ჩანს, რომ რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მოგვარება იტვირთა პატრიარქმა?***

— კონფლიქტის მოგვარება, სამწუხაროდ, სცდება მისი უწმინდესობის უფლებამოსილებას. აქედან გამომდინარე, კონკრეტულ შედეგებს, ბუნებრივია, ეს ვიზიტი ვერ მოიტანს. მაგრამ მას მოაქვს ძალიან მნიშვნელოვანი შედეგი, თუნდაც ის, რომ ქართველი ერის ხედვას და პოზიციას მისი უწმინდესობა გამოხატავს პრინციპულად და მტკიცედ. ეს წაადგება საქართველოს ინტერესებს და კიდევ ერთხელ დაუდასტურებს მთელ მსოფლიოს და რუსულ მხარეს, რომ მარტივი არ არის, ქართველ ხალხს ხელი აალებინოს თავის უფლებებზე და ტერიტორიული მთლიანობის დაცვაზე.

გაგრძელება მე-7 გვერდზე

# საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობისთვის გამბიის მოქალაქე დააკავეს

სასაზღვრო პოლიციის №1 სამმართველოს ტერიტორიაზე, №1 სასაზღვრო სექტორის დასაცავ მონაკვეთზე, სასაზღვრო განწესმა, გატარებული ღონისძიებების შედეგად, საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობის ფაქტზე, გამბიის რესპუბლიკის მოქალაქე იბრაიმა სიდიბას ძე სისოჰო დააკავა. სასაზღვრო პოლიციის პრესსამსახურის ინფორმაციით, დაკავებული, სასაზღვრო– საკონტროლო გამტარ პუნქტის გვერდის ავლით, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთას ცდილობდა.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,344-ე მუხლის I ნაწილით მიმდინარეობს. გამოძიებას სასაზღვრო პოლიციის საგამოძიებო-ოპერატიული მთავარი სამმართველო აწარმოებს.

**ნიუსპრესი**

# გახდება თუ არა საქართველო საპარლამენტო რესპუბლიკა

ნათია ხურცილავა

საპარლამენტო რესპუბლიკა თუ საპრეზიდენტო მმართველობა – ეს საკითხი შეიძლება დიდი დავის საგანი აღმოჩნდეს. როგორც ცნობილია, კოალიციაში აღნიშნულ საკითხზე შეჯერებული პოზიცია არ აქვთ. ჩვენი კითხვის საპასუხოდ, პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძემ განაცხადა, რომ გამოხატული პოზიცია საპრეზიდენტო რესპუბლიკასთან დაკავშირებით „თავისუფალ დემოკრატებს“ აქვთ.



ვახტანგ ხმალაძე იქვე მიანიშნებს „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო პროგრამაზე.

– ჩვენ პროგრამაში გვიწერია, რომ პოლიტიკური სუბიექტების უმრავლესობა საპარლამენტო მმართველობის მომხრეა, – ამბობს ხმალაძე.

– რაც შეეხება არსებულ საკონსტიტუციო მოდელის ფუნდამენტურ ცვლილებასა და საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელზე გადასვლის საკითხს, თანაპარტიელები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საპარლამენტო რესპუბლიკას მხარს არა მხოლოდ „რესპუბლიკელები“, არამედ კოალიციაში შემავალი სხვა პოლიტიკური სუბიექტებიც უჭერენ, – აცხადებს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე.

ხმალაძის აზრით, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კოალიცია უახლოეს მომავალში მიიღებს გადაწყვეტილებას.

– მკაფიოდ გამოხატული პოზიცია საპრეზიდენტო რესპუბლიკის მოდელთან დაკავშირებით, „თავისუფალ დემოკრატებს“ აქვთ. სხვებს არაერთხელ უთქვამთ, რომ ისინი მომხრე არიან საპარლამენტო რესპუბლიკისა. ალბათ, კოალიცია მოკლე ხანში ამასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს. მე მინდა, იმედი ვიქონიო, რომ ეს საერთო გადაწყვეტილება იქნება და არა ისეთი, რომ ნაწილი ერთს უჭერდეს მხარს, ნაწილი – მეორეს, – ამბობს ვახტანგ ხმალაძემ.

კიდევ ერთი დავის საგანი შეიძლება გახდეს პრეზიდენტის არჩევის წესთან დაკავშირებული საკითხი.

პრეზიდენტი პირდაპირი გზით – არჩევნებით უნდა აირჩიონ საქართველოს მოქალაქეებმა თუ ირიბი გზით, პარლამენტის მიერ უნდა იქნეს არჩეული. ამ საკითხთან დაკავშირებითაც კოალიციაში ერთიანი პოზიცია არ არსებობს. როგორც კოალიციის წარმომადგენლები აცხადებენ, პოზიციის შესაჯერებლად მათ დრო აქვთ, რადგან საპრეზიდენტო არჩევნები კონსტიტუციით ოქტომბერშია განსაზღვრული.

გახდება თუ არა აღნიშნული საკითხი ახალი სკანდალის მიზეზი, ჯერ უცნობია, თუმცა ფაქტია, რომ კოალიციაში პოზიციები ჭრელია.

როგორც პარალმენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი აცხადებს, პრეზიდენტის არჩევის წესთან დაკავშირებით პარლამენტში, სავარაუდოდ, საკონსტიტუციო კომისია შეიქმნება. უსუფაშვილის განცხადებით, საკითხზე ნაკლებად მოსალოდნელია რეფერენდუმის ჩატარება.

– რეფერენდუმის გზაც არსებობს, მაგრამ ეს, არა მგონია, მოხდეს. ვფიქრობთ, სწრაფად უნდა შეიქმნას საკონსტიტუციო კომისია, რომელიც არა მხოლოდ ამ საკითხს განიხილავს, არამედ კონსტიტუციაში სხვა ბევრ მნიშვნელოვან დებულებას განმარტავს. კონსტიტუციაში ფუნდამენტური ცვლილებები მომზადდება გაზაფხულის განმავლობაში, პარლამენტი მასზე იმსჯელებს ზაფხულში და შემოდგომას უკვე გამართული კონსტიტუციით შევხვდებით, – აღნიშნა უსუფაშვილმა.

დავით უსუფაშვილის თქმით, პრეზიდენტის არჩევის წესი უნდა გადაწყდეს არა მარტო კოალიციის შიგნით, არამედ პარტიების, არასამთავრობო სექტორისა და საზოგადოების აქტიური ჩართულობით. ამ შემთხვევაში გაუგებარია, რატომ გამორიცხავს პარლამენტის თავმჯდომარე რეფერენდუმსა თუ პლებისციტს.

# არასერიოზული სტატია სერიოზულ საკითხებზე

## რატომ ვერ დათმობს გოგა ხაჩიძე ქუთაისს

როლანდ ხოჯანაშვილი

*„ახალი თაობის“ იმერეთის ბიურო*

**თბილისიდან პარლამენტის გადატანამ ქუთაისს ბევრი არაფერი მოუტანა, მაგრამ მაინც ,,ნაციონალური მოძრაობა" ჯიუტად ამტკიცებს, რომ ამ ქალაქისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს პარლამენტის ,,ბატონის ხიდთან" არსებობას.**

თუ ელექსირია პარლამენტი, რა დააშავა სხვა ქალაქებმა? სხვას არ უნდა არსებობა? ამიტომ ნოვაციურ (ოღონდ არასერიოზულს) წინადადებას ვთავაზობ საქართველოს ხელისუფლებასა და სამოქალაქო სექტორს!

მაჟორიტარი დეპუტატებისათვის მუნიციპალიტეტის ცენტრებში გაიხსნას მინიპარლამენტები, სადაც ონლაინრეჟიმით ერთიან სისტემაში ჩაერთვებიან და იქნება ,,დაკა დოლი, გაწელე გარმონი“. რაც შეეხება ქუთაისის პარლამენტის შენობას, იქ დარჩნენ ,,ნაციონალური მოძრაობის“ წევრები, ხოლო თბილისზე შეყვარებული ,,მეოცნებეები“ რუსთაველის პროსპექტზე გადავიყვანოთ! რამდენად მომგებიანი იქნება ეს ყველაფერი ახლავე ავხსნი: მაჟორიტარები სულ სახლში იქნებიან და მეუღლეები გაუკონტროლებენ, პორნოსაიტებზე დაძვრებიან თუ არა. მგზავრობის ხარჯების შემცირება ბიუჯეტისთვის ამოსუნთქება იქნება.

კაკო ბობოხიძეს ასეთი ვარიანტის დროს ზედმიწევნით გაუმართლებს: არ მოუწევს ხელის აწევა ოპონენტებზე და პოლიტიკურ ხულიგანსაც არავინ დაუძახებს. ისე, კარგა ხნის წინ წავიკითხე, რომ ბრიტანეთში ყოფილა გვარი ხულიგანი, რომლის წარმომადგენელბიც აყალმაყალით გამოირჩეოდნენ და მინდა ვიკითხო, ქართველი პოლიტიკოსების უმეტესობა ამ გვართან გენეტიკურ კავშირში ხომ არ არიან?!

კიდევ ისიც გამართლებაა, რომ პარტიული ნიშნით გადანაწილებული დეპუტატები კვერცხებს არ დაუშენენ ერთმანეთს და თუ დაუშენენ, ქუთაისიდან თბილისამდე ვინ მიაწვდენს ქათმის კვერცხს? ამბობენ, რომ ბუს კვერცხი დეფიციტური შეიქმნა მის შემდეგ, რაც ბუნების დაცვა გადააბარეს ხაჩიძიდან გოგალაძის ქალს. არადა ბუს კვერცხების მტვრევაა ქართული პოლიტიკის ძირითადი ატრიბუტი.

შაშიაშვილს მიაწერენ ანეკდოტურ თქმას: ქუთაისში ისეთ ადგილას ააშენეს პარლამენტი, ხეს არ აჩერებს ქარი და პარლამენტარებს იქ რა გააჩერებსო. თან ვინ იცის, რამდენ დეპუტატს (განსაკუთრებით– მაჟორიტარებს) აწყობდათ თბილისში სახელმწიფო ხარჯზე ცხოვრება! ზოგს შვილების უმაღლესი განათლება ადარდებს, ზოგსაც–ლაღიძის წყლის თუ არა, შუშხუნა წყლის დალევა! არავინ მითხრას ახლა, ქუთაისშიც არის უნივერსიტეტი და იქ ასწავლონო! ახლა მოდაში ,,თავისუფალი უნივერსიტეტი“ და ,,ჯიპაა“, ვის რად უნდა აკაკი წერეთლის უნივერსიტეტი? ეგ კი არა, ის 14 მიმართულებაც, უფასო რომ უნდა გახადონ სწავლა, ბანძობა ყოფილა.

გოგა ხაჩიძე საერთოდ ვერ დათმობს ქუთაისს! ქუთაისური იუმორი ხომ ყველაზე ,,კაჩისწვინიი“ არის და უხარისხოს ხომ არაფერს მოიშველიებს ოპონირებისას ჩვენი ბუნების დაცვაზე თავგადაკლული ნამინისტრალი? კიდევ იუმორის გარდა ქუთაისი მზების ქალაქია. ,,მიშა მაგარია“ რომ დაწერა, ამაზე ხომ არ გაჩერდება კომპოზიტორი პოლიტიკოსი? რამდენად გაუწევს კონკურენციას ბალანჩივაძეებისა და ლაღიძის მუსიკალურ ინტელექტს, გეტყვით მაგასაც! ლაღიძე და ბალანჩივაძე როდის წერდნენ მუსიკას? 2003 წლის 23 ნოემბრამდე! ანუ რევოლუციამდე! მიშამ რამდენჯერ უნდა თქვას, რომ ყველაფერი იწყება ,,ვარდების რევოლუციით?!“ მოკლედ, გოგას მუსიკალურ-სახუმარო-საესტრადო პერსპექტივა აქვს ქუთაისში და დავტოვოთ გოგას პარტიელებისათვის ქუთაისში პარლამენტი!

მე მგონია, კაკოსაც ლოკალურობის გამო ერთობ აწყობს ქუთაისში პარლამენტი. გამოვა ვინმე და იტყვის: რად უნდა ამხელა შენობა საპარლამენტო უმცირესობასო. არ შეიძლება არ დავეთანხმო, ასაშენებელ-დასამშვენებელის მეტი რა გვქონდა, მაგრამ ასე ინება საქართველოს პრეზიდენტმა ერთ დღეს და ,,იქმნა ქალაქი!“

თან არავის დაავიწყდეს, ერთმა ნიუსპორტალმა გამოაქვეყნა ინფორმაცია, ფეისბუქზე 2 მილიონი მხარდამჭერი ჰყავს ,,ნაციონალურ მოძრაობასო“, ამდენი მხარდამჭერი რომ გეყოლება, საქათმისოდენაში ხომ არ დააბანაკებ დროებით დაჩაგრულ პოლიტიკურ ძალას? ასაკიდან გამომდინარე შემიძლია ვთქვა, რომ ზუსტად გავიგონე ვანო მერაბიშვილის ნათქვამი ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებით: ,,ჩვენ, ,,ნაციონალური მოძრაობის“ ექსპერტები...“ ვადასტურებთ ქართული ეკონომიკის ჩამომხობასო! ჯერ საკითხავი ისაა, რომელი ექსპერტია ,,ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივანი და კიდევ, 2 მილიონი ზომაზე მეტი არ არის? ვიცით, ბატონო, ფეისბუქზე თითო პერსონას ზოგჯერ რამდენიმე ანგარიში აქვს გახსნილი და უსირცხვილოდ ,,ალაიქებს“, მაგრამ საკითხავი ისაა, ამდენ ნიკნეიმსა და პაროლს რით იმახსოვრებენ?



ერთი კითხვა მაწუხებს: საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტს თუ აქვს მონაცემები, რამდენი კომპიუტერია ჩართული ინტერნეტში? დავიჯერო, რომ ყოველი მეორე ჩვენს გაღლეტილ ქვეყანაში უზრუნველყოფილია ინტერნეტით?

რახან ქუთაისს შევეხეთ, ახალი ამბავიც დავამატოთ ბაგრატის ტაძართან დაკავშირებით. თუ საქართველოს პრეზიდენტს დავუჯერებთ, 1003 წელს ბაგრატ მესამეს უბრძანებია მწვანე სახურავით გადაეხურათ ქუთაისის სიონი და იმდროინდელი სახურავის ნაშთებიც ვიპოვეთ, მწვანეფრისანიო. არიქა, თუ ვინმემ იცით იმ სახურავის ნაშთის ადგილმდებარეობა, მიმასწავლეთ! რამდენიმე ისტორიკოსსა და ისტორიულ წყაროს მივაკითხე, იქნებ იქ ეწეროს ბაგრატის ტაძრის გადახურვის დეტალებზე და გავარკვიო რამემეთქი. სამწუხაროდ, ყველა ისტორიკოსი და ისტორიული წყარო რევოლუციამდელი იყო და მათი ნდობა ნაკლებად შეიძლება!

თუ ვინმეს აინტერესებს ჩემი სუბიექტური აზრი, მაინც ქუთაისში მირჩევნია პარლამენტი. არა თბილის განსატვირთავად (თბილისს არაფერი ეტყობა განტვირთვის და ქუთაისს–დატვირთვის), ეს ისე, რაღაცაში ხომ უნდა შევეწინააღმდეგო ,,ქართულ ოცნებას?!“

ბოლოს, ამერიკული ყველაფერი მოგვწონს და ამერიკული გამოცდილება გამოვიყენოთ:

ამერიკა კრიზისიდან იუმორით გამოვიდა!

# პატრიარქის მოსკოვში ვიზიტი უკვე წარმატებულია

დასაწყისი მე-6 გვერდზე

მისი უწმინდესობის მხრიდან განცხადებული ნებისმიერი სიტყვა არის აწონილი. შეიძლება, მისი უწმინდესობა იმ ლექსიკით არ საუბრობს, როგორც დღეს არის მიჩვეული ქართველი საზოგადოება, მაგრამ მისი შინაგანი სიმტკიცე ყველას ეუბნება, რომ ჩვენ უარს არ ვიტყვით ჩვენი ქვეყნის ინტერესების დაცვაზე. თუნდაც ერთ ფაქტს გამოვყოფ: არსად არასოდეს მის უწმინდესობას არ უხსენებია სიტყვათა წყობა – „სამხრეთ ოსეთი“, მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის ეფერება ოსებს და განსაკუთრებული სითბოთი მოიხსენიებს. ის ხაზგასმას უკეთებს მისი და მისი ოჯახის თბილ დამოკიდებულებას ოსურ ეთნოსთან. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ვლადიკავკაზში გაიზარდა, იქ სწავლობდა და მისი ოჯახი თავის დროზე ძალიან დიდი პატივისცემით სარგებლობდა ოსეთში და ამას ყოველდღიურად გამოხატავს, არც ერთხელ არ უხსენებია „სამხრეთ ოსეთი“. ეს კარგი მაგალითია ყველა ჩვენგანისთვის, როგორ შეიძლება, დაიცვა საქართველოს ინტერესები ისე, რომ მეორე მხარეს მხოლოდ სითბო აგრძნობინო. ვიმეორებ, პატრიარქს „სამხრეთ ოსეთი“ არც ერთხელ არ უხსენებია, მაშინ როდესაც გინდა ძველი, გინდა ახალი პოლიტიკური პარტიები ყოველთვის „სამხრეთ ოსეთს“ მოიხსენიებენ. ჩვენ ლიტვამ მოგვცა ამის მაგალითი და თავის ტერიტორიაზე „სამხრეთ ოსეთის“ ხმარება აკრძალა, ანუ ლიტვამ კანონით აკრძალა ამ ტერმინის ხმარება, ხოლო საქართველოში ეს ყოველდღიურობად იქცა. მივბაძოთ მის უწმინდესობას და გამოვიჩინოთ საღი აზრი. ისე შეიძლება ოსი ეროვნების ადამიანებთან და სითბოს გაცემა, რომ შენი პოზიციები არ იქნეს შებღალული. მაგალითი სწორედ მისი უწმინდესობისაგან უნდა ავიღოთ ასევე აფხაზეთთან მიმართებით – მასაც ძალიან თბილად მოიხსენიებს. 11 წელი იყო მისი უწმინდესობა ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მმართველი და დღესაც თავის თავზე აიღო ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მმართველობა. ამით კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს მის უაღრესად თბილ დამოკიდებულებას აფხაზეთთან მიმართებით, მაგრამ, ამავე დროს, ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა იქნეს დაცული და გარანტირებული. ამით იმის თქმა მინდა, რომ შესაძლებელია, ისეთი პოლიტიკა განხორციელდეს, რომ პრინციპული და მტკიცე პოზიციებიც დავიცვათ და, ამავე დროს, თუნდაც მოწინააღმდეგე მხარესთან, თუნდაც იმ ადამიანებთან, რომლებიც დღესდღეობით ჩვენ მტრად გვთვლიან, ან თუნდაც იმ ადამიანებთან, რომელსაც არ სჯერათ ჩვენი ან არ სურთ დაიჯერონ იმის შესაძლებლობა, რომ ჩვენ ერთად ცხოვრება შეგვიძლია, იმ ადამიანების მიმართ ასეთ სითბოს გამოხატავს მისი უწმინდესობა. ეს პრინციპულად იქნა გაჟღერებული მოსკოვში რუსეთის პატრიარქთან. დარწმუნებული ვარ, ასეთივე პრინციპული პოზიცია იქნება რუსეთის ხელისუფლებასთანაც გაჟღერებული. მისი ასეთი გაწონასწორებული, სწორი და პრინციპული პოზიცია, ბუნებრივია, შესაბამისად იქნება შეფასებული, იმიტომ რომ მისი უწმინდესობის პიროვნებას სხვანაირ მოპყრობას ვერ გაუბედავენ. არის კიდევ ლოკალური საქმეები, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია ქართული მხარისათვის. მისი უწმინდესობაც დარწმუნებულია და ჩვენც, რომ ეს ვიზიტი იქნება წარმატებული; კიდევ ერთი წარმატებული ნაბიჯი საქართველოს სტრატეგიული ინტერესების დაცვისა. სასურველია, ამ კუთხით ხელისუფლებამ აუბას მხარი და, თუ ჩვენ ასეთი სწორი პოზიციით წარვდგებით, როგორც მსოფლიო თანამეგობრობაში, ასევე რუსეთთან ურთიერთობაში, შედეგები ნამდვილად იქნება. არ არის აუცილებელი, რომ თავიდანვე ჩვენ დამარცხებულის ფსიქოლოგიით და „პარაჟენცული“ მომენტებით წარვდგეთ მოწინააღმდეგე მხარესთან. ჩვენ ჩვენი პრინციპული პოზიცია უნდა დავიკავოთ, შევეცადოთ ამ პრინციპული პოლიციის დაცვას და ამ პოზიციის დაცვით პატივისცემასაც დავიმსახურებთ.

***– პრინციპულობა აკლია ახალ ხელისუფლებას? მოდით, ვისაუბროთ „სამხრეთ ოსეთთან“ დაკავშირებით. ჩანს, რომ ამ გუნდის მიერ ადრე გაკრიტიკებულ სანაკოევის პროექტს დღეს დაფინანსებაც გაეზარდა. მიდგომები იცვლება?***

– არაფერი არ იცვლება. თანმიმდევრულად ხდება ამ ნაწილში სააკაშვილის პოლიტიკის გაგრძელება. პოლიტიკურ ნაწილში ხდება იმავე სტრატეგიის გაგრძელება. პრაქტიკულად, მივიღეთ სურათი, რომ ძველი და ახალი ხელისუფლება ერთმანეთთან თანხმდება იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არსებობდეს და სამართლებრივად გაფორმდეს კიდევ ერთი სუბიექტი „სამხრეთ ოსეთის“ სახით და მთელ მსოფლიოს არასწორი ინფორმაცია მივაწოდოთ და დავარწმუნოთ იმაში, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ეთნიკური ოსების მხრიდან პოლიტიკური ერთეულის შექმნა – ეს არის სწორი და სამართლიანი ნაბიჯი. მინდა, ყველას შევახსენო. რომ ხელისუფლება, მათ შორის, რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლები, ტაშის გრიალით შეხვდნენ სანაკოევის მოსვლას საქართველოს პარლამენტში და ერთმანეთს ასწრებდნენ, ქურთაში ჩაეკითხათ და ეღიარებინათ სააკაშვილის ერთადერთ წარმატებად „სამხრეთ ოსეთის“ ადმინისტრაციის აღდგენა. რა თქმა უნდა, იყო გამონაკლისებიც, მაგრამ ძირითადად მაშინდელი პოლიტიკური სპექტრი, მათ შორის ისინიც, ვინც დღეს უმრავლესობაში არიან წარმოდგენილი, ყველანაირად მიესალმებოდნენ ამ ფაქტს. დღესაც პრაქტიკულად იგივე პოლიტიკა გრძელდება. ამ ნაწილში ძალიან თანმიმდევრული პოლიტიკა აქვთ ძველ და ახალ ხელისუფლებას, რაც, ჩემი აზრით, შემაშფოთებელია.

***– დანაშაულებრივია დღეს სანაკოევის ადმინისტრაციისთვის დაფინანსების გაზრდა?***

– რა თქმა უნდა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, არსებობს კანონი „ოკუპაციის შესახებ“, რომელიც არავის გაუუქმებია და ეს ტერიტორია საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიადაა გამოცხადებული. მაშინ ჩვენ, აქედან გამომდინარე, უნდა შევქმნათ ოკუპირებული ტერიტორიების ადმინისტრაციული მმართველი ორგანო. სანაკოევი „სამხრეთ ოსეთის“ პრეზიდენტია. აქედან გამომდინარე, ჯერ ვაღიაროთ, რომ „სამხრეთ ოსეთის“ – ასეთი სამართლებრივი ერთეულის არსებობა საქართველოს ტერიტორიაზე ჩვენთვის მიუღებელია. გარკვეული პასუხისმგებლობაც გვაქვს იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენი გმირი წინაპრების სისხლით მორწყული მიწა ასე ჰარი-ჰარალედ არ გავასხვისოდ; არ შევქმნათ სამართლებრივი და პოლიტიკური მექანიზმი იმისათვის, რომ ადრე თუ გვიან ეს მიწა საერთოდ ჩამოსცილდეს ქართულ სახელმწიფოს. სწორედ ასე იკარგებოდა დვალეთი, სხვა ქართული მიწები. ეს ძალიან შემაშფოთებელი ფაქტია და მოვუწოდებ დღევანდელ ხელისუფლებას, რომ თითქოს არაფერი არ მოსწონთ სააკაშვილის და რაღა ამ ნაწილში აგრძელებენ მის პოლიტიკურ ხაზს. მოვუწოდებ, შეწყვიტონ ამ ხაზის გაგრძელება.

***– დაბოლოს, სულ უფრო ბევრი ამბობს დღეს, რომ ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლით ბევრი არც არაფერი შეცვლილა. ასეა?***

– შეიცვალა რიტორიკა, მაგრამ, შეიცვალა თუ არა რეალური პოლიტიკა, ამაში უახლოეს მომავალში დავრწმუნდებით. თუმცა, გარკვეულწილად, მთელ რიგ საკითხებში რეალურ ქმედებებში ცვლილებებს ვერ ვხედავთ. სასურველია, უფრო ქმედითი ყოფილიყო ეს ცვლილებები და განსხვავებები. ვერც წინა ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხში ვხედავთ ცვლილებას და ვერც წინა ხელისუფლების გადაწყვეტილებების რევიზიაში. ჩვენ ამის ობიექტური მიზეზებიც ვიცით, ძალიან რთულია ნაბიჯების გადადგმა ასეთი მძიმე მემკვიდრეობის პირობებში, მაგრამ ეს ნაბიჯები აუცილებლად გადასადგმელია.

# ორჰან ფამუქის მეორე რომანი ქართულად ითარგმნა

ეკა ირემაშვილი

ცნობილი თურქი მწერლის ორჰან ფამუქის მეორე რომანი ქართულად ითარგმნა. 25 იანვარს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“ გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმის საგამოფენო დარბაზში წარმოადგენს ცნობილი ნობელის

პრემიის ლაურეატის რიგით მეორე რომანის „მდუმარე სახლის“ თარგმანის პრეზენტაციას. „მდუმარე სახლის“ მთარგმნელია ლია ჩლაიძე. მასვე ეკუთვნის „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ მიერ გამოცემული ორჰან ფამუქის „მე მქვია წითელის“ თარგმანიც, რომლისთვისაც 2010 წლის ლიტერატურული პრემია „გალა“ დაიმსახურა.

– „მდუმარე სახლი“ 1980-1983 წლებშია დაწერილი და ორჰან ფამუქის სხვა ნაწარმოებების მსგავსად, თურქეთს გარეთაც ძალზე პოპულარულია და არაერთი ლიტერატურული პრემიითაც არის გამორჩეული. გაუცხოება გარემოსა და გარშემომყოფთაგან – ეს არის ის საკითხი, რომელსაც მსოფლიო ლიტერატურა ხშირად ეხმიანება, თუმცა, ორჰან ფამუქი აღნიშნულ რომანში კაცობრიობისთვის ხშირად აქტუალურ ამ პრობლემას განსაკუთრებულ სიმძაფრეს სძენს. საინტერესოა ისიც, რომ ამ ერთ-ერთ პირველ რომანში უკვე ისახება ავტორისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი თემა – აღმოსავლეთისა და დასავლეთის შედარება – ამოცანა, რომელიც ორჰან ფამუქის შემდეგ რომანებში უფრო ვრცლად და მრავალმხრივად არის განხილული. „მდუმარე სახლის“ გმირი ხვდება, რატომ არის აღმოსავლეთი აღმოსავლეთი და დასავლეთი დასავლეთი და აქვეა ავტორისეული განაჩენიც – აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ზღვრის მოშლის მცდელობა განწირულია, – აცხადებს ლონისძიების კურატორი სოფიო კილასონია.

„მდუმარე სახლის“ თარგმანის პრეზენტაციაზე შედგება დისკუსია მთარგმნელთან. რომანზე, თარგმანსა და ზოგადად ორჰან ფამუქის ლიტერატურაზე კი დათო ტურაშვილი, ლაშა ბუღაძე და „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ სხვა ავტორები ისაუბრებენ.

– მწერალი და რომანისტი ფერით ორჰან ფამუქი პოსტმოდერნიზმის ჟანრში წერს. როგორც თავად აღნიშნავს, მასზე გავლენა მოახდინეს მწერლებმა თომას მანი, ხორხე ლუის ბორხესი, მარსელ პრუსტი, უილიამ ფოლკნერი, ლევ ტოლსტოი, თედორე დოსტოევსკი, ოღუზ ატაი, ვალტერ ბენიამინი. მისი დებიუტი შედგა ნაწარმოებით „წყვდიადი და სინათლე“. ის თურქული პოსტმოდერნისტული ლიტერატურის წამყვანი მწერალი-რომანისტია. საკუთარ სამშობლოში უზომოდ პოპულარული მწერლის მკითხველთა რიცხვი დღითიდღე იზრდება მთელ მსოფლიოში. მისი, როგორც ევრაზიის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი თანამედროვე რომანისტის ნამუშევრები თარგმნილია 40-ზე მეტ ენაზე. მიღებული აქვს წამყვანი თურქული და საერთაშორისო ლიტერატურული ჯილდოები. 2006 წლის 12 ოქტომბერს ნობელის პრემიის ლაურეატი გახდა ლიტერატურის დარგში – თურქეთის პირველი მოქალაქე, რომელიც ნობელის პრემიას იღებს. მან ცხოვრების თანამგზავრად ეილინ ტურეგენი აირჩია, რომელთანაც ქალიშვილი რუია ჰყავს.



მწერალი ასწავლიდა ნიუ იორკის კოლუმბიის უნივერსიტეტში, სადაც მისი მეუღლე სწავლობდა. წყვილი უკვე 12 წელია, ერთად აღარ ცხოვრობს. მათ განქორწინების გადაწყვეტილება მიიღეს. ამავე პერიოდში ფამუქი იყო მიწვეული წევრი აიოვას უნივერსიტეტში. მოგვიანებით მწერალი სტამბოლში დაბრუნდა, სადაც დღემდე ცხოვრობს. ორჰანი კვლავ კოლუმბიის უნივერსიტეტში მიიწვიეს პროფესორის თანამდებობაზე. ამჟამად, თანამშრომლობს უნივერსიტეტის კომიტეტთან გლობალურ საკითხებში და ატარებს შეხვედრებს ახლო აღმოსავლეთისა და აზიის ენებისა და კულტურის განყოფილებაზე, ასევე კოლუმბიის უნივერსიტეტის ხელოვნებათა სკოლაში. რაც შეეხება მის შემოქმედებას, მისმა პირველმა რომანმა „წყვდიადი და სინათლე“ მილიეთ პრესის ნოველის კონკურსში გამარჯვება გაიყო მეორე ფინალისტ მწერალ მეჰმეთ ეროლლისთან. ამავე ნოველამ, რომელიც გამოიცა სათაურით „ბატონი ჯევდეთი და მისი ვაჟები“, ორჰან ქემალის ლიტერატურული ჯილდო დაიმსახურა. რომანში მოცემულია ერთი შეძლებული ოჯახის სამი თაობის ცხოვრება სტამბოლის ნიშანთასის უბანში, სადაც ფამუქი გაიზარდა. ფამუქს ადრინდელი ნამუშევრებისთვის კრიტიკოსთა რამდენიმე ჯილდო აქვს მიღებული, მათ შორის მადარალის ლიტერატურული ჯილდო მეორე ნოველისთვის „ჩუმი სახლი“ და ჯილდო მისი ნოველის ფრანგული თარგმანისთვის. მისმა ისტორიულმა ნოველამ „თეთრმა კოშკმა“ მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებელი ჯილდო საუკეთესო საზღვარგარეთული რომანისთვის, რამაც საზღვარგარეთ მისი რეპუტაცია კიდევ უფრო გაზარდა. ადრინდელი ნატურალისტური ნამუშევრებისგან განსხვავებით, ფამუქმა პოსტმოდერნიზმით დაიწყო ექსპერიმენტები. საერთო აღიარება შედარებით გვიან მოვიდა. მისი რომანი „შავი წიგნი“ თურქული ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური და გაყიდვადი წიგნი გახდა სიუჟეტის კომპლექსურობისა და მდიდარი ლექსიკის წყალობით. მასვე ეკუთვნის ტექსტი კინოფილმისთვის „ფარული სახე“ „შავი წიგნის“ ნაწარმოების მიხედვით, რომელიც დაიდგა თურქი რეჟისორი ომერ კავურის მიერ. ფამუქის მეოთხე რომანმა „ახალმა ცხოვრებამ“ თურქეთში სენსაცია მოახდინა და თურქეთის ისტორიაში ყველაზე სწრაფად გაყიდვადი წიგნი გახდა. ამ დროისთვის ფამუქი უკვე ცნობილი პიროვნება იყო ქურთთა პოლიტიკური უფლებების დაცვის წყალობით. ამავე წელს მწერალი სხვა ავტორთა ჯგუფთან ერთად მიცემულ იქნა სამართალში თურქეთის მთავრობის მიერ ქურთი მოსახლეობის დისკრიმინაციისთვის კრიტიკის გამო. ფამუქის საერთაშორისო რეპუტაცია 2000 წელს მისი შემდგომი რომანის „მე მქვია წითელი“ გამოცემის შემდეგ გაიზარდა. რომანში ერთმანეთში გადახლართულია მისტერია, სიყვარული და ფილოსოფიური გამოცანები XVI საუკუნის სტამბოლის გარემოში. მასში აღწერილია 1591 წლის ცხრა თოვლიანი დღე სულთან მურათ III-ის მმართველობის დროს, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის არსებული მწვავე დაპირისპირების ფონზე. რომანი „მე მქვია წითელი“ თარგმნილია 24 ენაზე და 2003 წელს დაიმსახურა საერთაშორისო ლიტერატურის ყველაზე პრესტიჟული პრიზი – დუბლინის „იმპაკ“ ჯილდო. თურქი მწერლის ბოლო ნამუშევარია „თოვლი“, რომელშიც თანამედროვე თურქეთში ისლამიზმისა და ვესტერნიზმის კონფლიქტია წარმოსახული. „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ ეს რომანი 2004 წლის ათ საუკეთესო წიგნთა შორის დაასახელა. მწერლის წიგნებისთვის დამახასიათებელია ეროვნული თვითგამორკვევის კრიზისი გამოწვეული ევროპულ და ისლამურ ღირებულებათა შორის კონფლიქტის გამო. თემა თანამედროვე მკითხველისთვის შეიძლება ერთგვარად გამაღიზიანებელიც კი იყოს, მაგრამ ფამუქისეული მოვლენების კომპლექსურ განვითარებას, დამაინტრიგებელ სიუჟეტებსა და ხასიათთა სიღრმეს აღტაცებაში მოვყავართ ხოლმე. მწერლის ცხოვრებიდან და მოღვაწეობიდან საინტერესო მოვლენები კი ის არის, რომ ოჰრან ფამუქი სამშობლოში თავისი შეხედულების გამო სომხების გენოციდთან მიმართებით წინააღმდეგობით აღსავსე ფიგურაა, ასევე მისთვის ნობელის პრემიის გადაცემის დღეს საფრანგეთის პარლამენტმა მიიღო კანონი, რომელიც სისხლის სამართლის დანაშაულად აცხადებს სომხების გენოციდის უარყოფას, მსგავსად ჰოლოკოსტის უარყოფისა, – ამბობს ღონისძიების კურატორი.

პრეზენტაციაზე მოსულ სტუმრებს გამომცემლობა თურქული ჩაითა და ტკბილეულით გაუმასპინძლდება.

# ფიროსმანზე საჯარო ლექციები იწყება

ეკა ირემაშვილი

ნიკო ფიროსმანაშვილის დაბადებიდან 150 წლის იუბილესთან დაკავშირებით საჯარო ლექციების კურსი იწყება, რომლის ინიციატორიც საქართველოს ეროვნული მუზეუმია. 29 იანვრიდან 3 თებერვლის ჩათვლით საჯარო ლექციები საქართველოს ეროვნული მუზეუმის დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში გაიმართება.



– ნიკო ფიროსმანის საიუბილეო გამოფენის ფარგლებში ტარდება საჯარო ლექციების კურსი „ფიროსმანი-150“. 29 იანვარს დიმიტრი თუმანიშვილი ისაუბრებს თემაზე „ფიროსმანის ნამუშევრების ქრონოლოგიის საკითხზედ“, 30 იანვარს საჯარო ლექციას თეო ხატიაშვილი ჩაატარებს თემაზე „გაცოცხლებული სურათების სტატიკური დინამიკა“, 31 იანვარს, პირველ თებერვალსა და ორ თებერვალს გოგი ხოშტარია წაიკითხავს ლექციებს თემებზე „უახლესი დროის მხატვრობის ძირითადი მახასიათებლები“ (მოდერნიზმი), ლექცია პირველი, „უახლესი დროის მხატვრობის ძირითადი მახასიათებლები“ (მოდერნიზმი), ლექცია მეორე და „ქართული მხატვრული რეალობა მოდერნიზმის ეპოქაში“. საჯარო ლექციების კურსს დაასრულებს გიორგი პაპაშვილის საჯარო ლექციები თემებზე „ფიროსმანი – მედიუმი“ და „ფიროსმანი და მისი ეპოქა“, – განაცხადა ეროვნული მუზეუმის წარმომადგენელმა ანა ვერულაშვილმა.

ქართველი პრიმიტივისტი მხატვრის ნიკო ფიროსმანაშვილის 150 წლის იუბილეს სრულიად საქართველო აღნიშნავს. მის მშობლიურ სოფელ მირზაანში ნიკალას დაბადებიდან 150 წელი უკვე იზეიმეს სახალხო დღესასწაულით „ფიროსმანობა“. ამჟამად მხატვრის იუბილეს საქართველოს ეროვნული მუზეუმის დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა ზეიმობს. ეროვნული მუზეუმის დირექტორის დავით ლორთქიფანიძის თქმით, ეს გამოფენა არის იმის ცდა, რომ ფიროსმანაშვილის შემოქმედება სრულყოფილად იყოს წარმოდგენილი.

– ეს არის ყველაზე მასშტაბური გამოფენა ფიროსმანის ნამუშევრებისა, რაც კი აქამდე ჩატარებულა საქართველოში. თან ეს ყველაფერი გამოფენილია ეროვნული გალერეის განახლებულ დარბაზებში. ეს მხოლოდ გამოფენა არ არის. ეს არის ძალიან დიდი მოვლენა და იმის საშუალება, რომ ფიროსმანის ეპოქა შეძლებისდაგვარად სრულად წარმოვადგინოთ. ჩვენ მიერ დაიგეგმა სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო პროგრამები, რათა მომავალმა თაობამ ამ დიდი ხელოვანის შესახებ მეტი შეიტყოს. მიმაჩნია, რომ ნიკო ფიროსმანი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი წამყვანი ელჩია, – ასე აფასებს ფიროსმანის შემოქმედებას ეროვნული მუზეუმის ხელმძღვანელი.

გასული საუკუნის 70-იანი წლების შემდეგ „ფიროსმანი 150“ ყველაზე ფართომასშტაბიანი გამოფენაა საქართველოს ეროვნულ მუზეუმში არსებული მხატვრის ნამუშევრების კოლექციისა. ექსპოზიციაზე წარმოდგენილია საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის ფონდებში დაცული ნიკო ფიროსმანის 108 ნამუშევარი. მათთან ერთად დამთვალიერებელი ეცნობა უნიკალურ ფოტომასალას, სადაც ნაჩვენებია ფიროსმანის თანამედროვე თბილისი, ქუჩები, სადაც მხატვარი ხშირად დადიოდა და სცენები, რომლებსაც ის ხატავდა. ასევე გამოფენილია საინფორმაციო და საპრეზენტაციო ხასიათის ვიდეომასალა. ფიროსმანთან ერთად გამოფენა მასპინძლობს იმ თაობის ქართველი მხატვრების ნამუშევრებს, რომელთაც, ფიროსმანის მსგავსად, საკუთარი შემოქმედებით ევროპული მოდერნიზმის პრობლემატიკის გააზრება დაიწყეს. მათ შორის არიან დავით კაკაბაძე, ლადო გუდიაშვილი, დიმიტრი შევარდნაძე, ელენე ახვლედიანი, ქეთევან მაღალაშვილი, შალვა ქიქოძე და კირილე ზდანევიჩი. გამოფენის მსვლელობისას სხვადასხვა ასაკის აუდიტორიისთვის მრავალფეროვანი საგანმანათლებლო პროგრამები ჩატარდება, რომელთა ფარგლებში უკვე დაიგეგმა ეროვნულ გალერეაში ხელოვნებათმცოდნე გოგი ხოშტარიასა და სხვა ქართველი მეცნიერების საჯარო ლექციები ფიროსმანის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გაიმართება შეხვედრა რეჟისორ გიორგი შენგელაიასთან, რომელმაც გადაიღო მხატვრული ფილმი ფიროსმანზე და მთავარ როლში მხატვარი ავთო ვარაზი დააკავა.

– აღსანიშნავია, რომ ნიკო ფიროსმანის შემოქმედების ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის გათვალისწინებით, იუნესკოს გენერალური კონფერენციის 36-ე სესიაზე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, ნიკო ფიროსმანის დაბადებიდან 150 წლის იუბილე შეტანილია იმ ღონისძიებათა ნუსხაში, რომლის აღნიშვნაშიც 2012-13 წლებში იუნესკო მიიღებს მონაწილეობას, – ამბობს ეროვნული მუზეუმის

გაგრძელება მე-10 გვერდზე

**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის.**
**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.**




**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი ილუმენია ანა (მუსელიანი)

## განცხადებები

● ქირავდება ვაკის პარკთან მე-3(5) სართულზე,3-ოთახიანი გარემონტებული ბინა, მოწესრიგებული სადარბაზო, საკაბელო, ინტერნეტი, 2 ტელეფონი, 2 კარმა, იტალიური სანტექნიკით, სარეცხი მანქანით, ბოშის დიდი მაცივრით გადიდებულ სამზარეულოში, კონდენციონერით, 2 აივნით, ლოჯიით, 115 კვ.მ. თამარაშვილის 5, გამოდგება საოფისედაც. ფასი 680 დოლარი, ტელ: 577-402-407.

● ძლიერ დაქვეითებული სმენის, ოტიტის, პროსტატიტის, ცისტიტის, ხშირი შარდვის, საკვერცხეების ანთების, მასტიტის, წითელი ქარის, შეუხორცებელი ჭრილობების, მოტეხილობის და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, ასაკის მიუხედავად, არასკეპტიკოსებისთვის. მიღება შეზღუდულია წინასწარი ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-978-546; 551-254-535.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 234-02-38; 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

# ლევან კობიაშვილი: „ტკივილით ვიხსენებ იმ დღეებს, როდესაც საქართველოში საომარი მოქმედებები მიმდინარეობდა“

ბერლინის „ჰერტას“ ქართველ ფეხბურთელ ლევან კობიაშვილის ინტერვიუ რუსულ გაზეთ „სოვეტსკი სპორტში“ გამოქვეყნდა, სადაც მან კიდევ ერთხელ გაიხსენა დისკვალიფიკაციის ამბავი.

ბოლოს 35 წლის ლევან კობიაშვილი მოედანზე გასული წლის 15 მაისს გამოვიდა. „ფორტუნასთან“ საპასუხო მატჩი, რომელიც ბუნდესლიგაში თამაშის უფლებას იძლეოდა, სკანდალური აღმოჩნდა.

შეხვედრის დასრულებამდე რამდენიმე წუთით ადრე მოედანზე დიუსელდორფელი გულშემატკივრები შეცვივდნენ. მთავარმა არბიტრმა ვოლფგანგ შტარკმა თამაშის დასრულების გადაწყვეტილება მიიღო.

„ჰერტას“ მოთამაშეები (ბერლინურ გუნდს ანგარიში 2:2 ხელს არ აძლევდა), რომლებიც არ ეთანხმებოდნენ მსაჯის ამ გადაწყვეტილებას, თამაშის გაგრძელებას ითხოვდნენ. იყო ყვირილი, მუქარა...

რეფერისთან კობიაშვილის ურთიერთობა ამ უკანასკნელისთვის ერთწლიანი დისკვალიფიკაციით დასრულდა (სარეკორდო გერმანიის ჩემპიონატების ისტორიაში), რისი ფორმულირებაც იყო „ფიზიკური ანგარიშსწორება“.

პრესაში ათას რამეს წერდნენ — კობიაშვილმა შტარკს ზურგში ხელი ჰკრა, თავში ჩასცხო. საბოლოოდ გერმანიის საფეხბურთო კავშირმა ლევანს დისკვალიფიკაციის ვადა 2012 წლის 31 დეკემბრამდე შეუმცირა, თანაც იმისთვის, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა თავიდან აეცილებინა, კობიაშვილი 60.000 ევროს ოდენობის ჯარიმის გადახდას დათანხმდა.

მომხდარზე თავისი აზრი აქვს კობიაშვილს...

— არავინ არავის შეხებია! დიახაც, აღვშფოთდით, მაგრამ სულ ეს იყო. გერმანიის საფეხბურთო კავშირს არ სურდა მატჩის გადათამაშება. ევროპის ჩემპიონატი იწყებოდა, ფეხბურთელებიდან ზოგი შვებულებაში იყო, ზოგიც — ნაკრებში. დიუსელდორფში ბუნდესლიგაში დაბრუნებას ზეიმიც მიუძღვნეს. ფედერაციისთვის საუკეთესო გამოსავალი ყველაფრის „ჰერტასთვის“ გადაბრალება იყო. მათ, უბრალოდ, აიღეს გუნდის სიაში პირველივე შემხვედრი ოთხი ფეხბურთელის გვარი და განტევების ვაცები გამოგვიყვანეს. ვიღაცას ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს, ვიღაცას — შვიდმატჩიანი... მე კი თამაში მთელი პირველი წრის განმავლობაში ამიკრძალეს.

***— ანუ შტარკთან მხოლოდ კამათობდით?***

— ბიჭები აღშფოთებულნი ეკითხებოდნენ, რატომ დაასრულა თამაში ვადაზე ადრე. მათ შორის არც ვყოფილვარ... ყველაფერი მართლა რომ ისე ყოფილიყო, როგორც შტარკი ჰყვება, ნახევარწლიან დისკვალიფიკაციას არ მაკმარებდნენ. ეს ხომ მინიმალური სასჯელია მსაჯთან ფიზიკურად გასწორებისთვის. შტარკის ნაამბობის თანახმად, მას დავედევნე და ისე ჩავარტყი, რომ დაგორდა და ფეხი კინაღამ მოიტეხა. ასე რომ ყოფილიყო, ორწლიანი სასჯელი მეკუთვნოდა, მაგრამ ფედერაციაში ხვდებოდნენ, რაშიც იყო საქმე და ამიტომ ნახევარი წელი მომისაჯეს.

***— და კიდევ 60 ათასი ევროთი დაგაჯარიმეს.***

— თანხა ჯერ დაზუსტებული არაა, ამას ადვოკატები არკვევენ. შესაძლოა, ცოტა მეტი ან ნაკლები იყოს. კიდევ კარგი, სისხლის სამართლის საქმე არ აღიძრა. ამის საშიშროებაც იყო.

***— როგორია, როცა საღსალამათი და საჭირო ფეხბურთელი ნახევარი წელი თამაშს გვერდიდან უცქერს?***

— ვცდილობდი, ამაზე ბევრი არ მეფიქრა. სეზონის დაწყებამდე კიდევ არა უშავდა, სხვებთან ერთად ვვარჯიშობდი, მაგრამ თამაშები რომ დაიწყო, უკვე გამიჭირდა. გასული წელი ჩემს კარიერაში ყველაზე ცუდი იყო. ერთადერთი დადებითი კლუბის მხარდაჭერა იყო. დისკვალიფიკაციის გადაწყვეტილების გამოქვეყნებისთანავე „ჰერტა“ ღირსეულად მოიქცა — კონტრაქტი ერთი წლით გამიხანგრძლივა.

***— იმ ავადმოსაგონარი მატჩის შემდეგ შტარკს აღარ შეხვედრიხართ?***

— არა, არ მინახავს, თუმცა მტრად გადაკიდებული არ ვარ. დიახ, ის არაა მართალი, როცა ასეთი განცხადებები გააკეთა, მაგრამ მის მდგომარეობაშიც შევდივარ. ვფიქრობ, მან ეს ფედერაციის წნეხის გამო გააკეთა.

***— რას გულისხმობთ?***

— „ჰერტა“ გადათამაშებას ითხოვდა. „ფორტუნას“ გულშემატკივრები მოედანზე თამაშის დასრულებამდე რამდენიმე წუთით ადრე გამოცვივდნენ. ჩვენ კიდევ გვქონდა შანსი გამარჯვების გოლის გასატანად, მაგრამ ქომაგის საქციელმა ეს მოგვისპო. მინდორზე გასვლის გვეშინოდა — იქ ისეთი ამბავი იყო ფედერაციამ კი ყველაფერი თავდაყირა დააყენა — თითქოს „ჰერტას“ ფეხბურთელები იქცეოდნენ აგრესიულად მსაჯის მიმართ — ლანძღავდნენ და სცემდნენ —კარგით, გვეყოფა ამაზე. არ მინდა, ახალი წელი ცუდზე საუბრით დავიწყო. ოჯახთან ერთად თბილისში ვიყავი ჩასული და კარგადაც დავისვენე. ახლა სავსე ვარ ენერგიითა და თამაშის წყურვილით. ყველაფერი კარგადაა.

***— რუსეთში თქვენ ვლადიკავკაზის „ალანიადან“ ახსოვხართ. 1997 წელს საუკეთესო დებიუტანტად, საუკეთესო უცხოელად და ჩემპიონატის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად დაგასახელეს.***

— ის სეზონი ალბათ ყველაზე თვალსაჩინო იყო ჩემს კარიერაში. საქართველოდან სულ ახალგაზრდა აღმოვჩნდი ძლიერ ჩემპიონატში და უმალ ყველაფერი გამომივიდა. მაღალი კლასის გუნდი, ბრწყინვალე მწვრთნელი... საშინაო მატჩი მოსკოვის „სპარტაკთან“ ისე მახსოვს, თითქოს გუშინ იყო. მეტოქის ღირსებას ვარსკვლავები იცავდნენ — ციმბალარი, ტიხონოვი... მაგრამ ჩვენ გავიმარჯვეთ — 2:0, მე კი რუსეთში პირველი გოლი მივითვალე. ქალაქში ნამდვილი ზეიმი იყო! იმ დროს სიამოვნებით ვიხსენებ. ვლადიკავკაზი ქართველებისთვის კარგად ნაცნობი ქალაქია. ჩვენს ხალხებს შორის ბევრია საერთო. არაერთი ოსი საუბრობს ქართულად. იქვე, ნახევარი საათის სავალზეა ყაზბეგი...

***— რატომ არ დარჩით?***

— ტრავმის გამო. ბოლო ორთვე-ნახევარი არ მითამაშია. გაზაევს ჩემი დატოვება სურდა, მაგრამ მე თბილისში დაბრუნება გადავწყვიტე, რათა ევროპიდან წინადადებას დავლოდებოდი (ალანიაში კობიაშვილი იჯარით თამაშობდა).

***— გაზაევთან მუშაობა როგორ დაგამახსოვრდათ?***

— მის მიმართ ძალიან კარგი დამოკიდებულება მაქვს, მან ჩემთვის ბევრი გააკეთა. გაზაევი საქართველოს ნაკრების თამაშებზე ხშირად დადიოდა. მე ინგლისთან მატჩში მაკვირდებოდა. მაშინ 18 წლის ვიყავი... ორი წლის წინ გაზაევს მოსკოვში შევხვდი, როდესაც „დინამოსთან“ მოლაპარაკებებზე ვიყავი ჩასული. იმედი მაქვს, მას თურქულ შეკრებაზეც ვნახავ.

***— გაზაევი ჯარიმებითაა განთქმული...***

— მე ეს არ მეხებოდა, რადგან არაფერი დამიშავებია. ვცხოვრობდი ბაზაზე და მხოლოდ ერთზე ვფიქრობდი — კარიერაში ნაბიჯი წინ გადამედგა. არც ბინა მქონდა, არც მანქანა. ახლა სხვა დროა. კონტრაქტის მოწერისას უმალ იმას განიხილავენ, სად იცხოვრებენ, რა მანქანით ივლიან მე „ალანიაში“ ასეთი პრობლემები არ მქონია, ჩემს თანამემამულეებს დავყავდი. მხოლოდ თამაშზე ვფიქრობდი და გაზაევი სულაც არ მეჩვენებოდა დიქტატორად. საერთოდ, მწვრთნელებში მიმართლებდა ხოლმე. საქართველოში ყიფიანის ხელში ვთამაშობდი. ის ფეხბურთელიც ბრწყინვალე იყო არა მხოლოდ სსრკ-ის, ევროპის მასშტაბით და მწვრთნელიც. შემდეგ იყო ჩივაძე, გაზაევი, რეჰაგელი, ჰაინკესი, მაგათი, ჩემი პირველი მწვრთნელი ბუნდესლიგაში — ფინკე... პრობლემა არავისთან მქონია! მინდა, რომ კარიერის დასრულების შემდეგ არ არსებობდეს ისეთი ადამიანი, რომელთან შეხვედრის დროსაც თვალის არიდება მომიხდება. ასეთია ჩემი ცხოვრებისეული პრინციპი — ნებისმიერი საკითხის მოგვარება შეიძლება და აუცილებელიცაა. ფეხბურთი თამაშია, რომელსაც პროფესიულ დონეზე 12-15 წელიწადს უთმობ, შემდეგ კი სხვა ცხოვრებას იწყებ — ფეხბურთის შემდგომ ცხოვრებას. და სულაც არ მინდა, მტრები მყავდეს მათ შორის, ვისთან ერთადაც მიმუშავია.

***— გერმანიაში გადაბარგებულს, იქაურობასთან შეგუება გაგიძნელდათ?***

— რა თქმა უნდა, გერმანიაში ყოფა განსხვავებულია, მაგრამ რაღაცეები იქაც ხდება. აი, მაგალითად, ერთხელ მანქანით გავიარე იქ, სადაც ეს არ შეიძლებოდა. გამაჩერა პოლიციელმა, რომელიც „ჰერტას“ გულშემატკივარი აღმოჩნდა. უპრობლემოდ გამიშვა. დიახ, დიახ, ასეთი რამ გერმანიაშიც ხდება! ყველაზე მეტად ნაგვის დასახარისხებელი ტომრების არსებობამ გამაოცა. შუშა ერთ პაკეტში იყრება, ქაღალდი — მეორეში და ა.შ. იყო შემთხვევა, მეუღლეს ავტომობილში ვუცდიდი და ძრავა არ გამოვრთე. მომიახლოვდა გერმანელი და მითხრა — „ჩააქრეთ ძრავა, გარემოს ნუ აბინძურებთ“. შოკში ჩავვარდი! როგორი ამბავია? წადი რა, შენს საქმეს მიხედე! მაგრამ დროთა განმავლობაში ხვდები, რომ დისციპლინა არცთუ ისე ცუდია. გერმანიამ ამ მხრივ ძალიან ბევრი მასწავლა.



***— მხოლოდ გერმანიაში მივხვდი, რომ რუსეთში მეგობრები მყავდა, აქ კი — კოლეგები, — თქვა პაველ პოგრებნიაკმა მას შემდეგ, რაც „შტუტგარტში“ ითამაშა.***

— ეს გასაგებია — პაველი მისთვის სრულიად უცნობ ქვეყანაში აღმოჩნდა და ნორმალური ურთიერთობა არავისთან ჰქონდა. მე სხვა სიტუაცია მქონდა. როცა „ფრაიბურგში“ გადავედი, გუნდში ქართველები — ჩემი უახლოესი მეგობრები უკვე იყვნენ. მე არ დამჭირვებია მეგობრების გერმანელთა შორის ძებნა. შეიძლება, ამის გამოც იყო, რომ გერმანული ენის შესწავლა გამიძნელდა. ვარჯიშზე მხოლოდ ჩემიანებს ველაპარაკებოდი. დამეთანხმებით, სიბრიყვე იქნებოდა, ქართველებთან გერმანულად მესაუბრა! როდესაც „შალკეში“ გადავედი, იძულებული გავხდი, ენა მესწავლა...

***— „ფრაიბურგში“ ვლადიმირ ბუტთან ერთად ყოფნა მოგიწიათ. რატომ ვერ გამოავლინა მან თავი?***

— როგორ თუ ვერ გამოავლინა? „ბორუსიასთან“ ერთად ჩემპიონთა ლიგა მოიგო! მან ერთი წელი „ფრაიბურგშიც“ კარგად ჩაატარა — ბევრს იტანდა, პასს აკეთებდა მერე კი გუნდიდან წავიდა.

***— გერმანიაში მიაჩნიათ, რომ ბუტის მთავარი პრობლემა ალკოჰოლი იყო.***

— ყველაფერი შეიძლება ყოფილიყო, მაგრამ ამის განსჯა პრესაში ჩემი საქმე არაა.

***— სახელებს ნუ ვიტყვით, ბევრი იცით ფეხბურთელი, რომელიც სასმელმა დაღუპა?***

— ეს უფრო ახალგაზრდების პრობლემაა. იოლი ჩვენთვისაც არ იყო — რუსეთში, საქართველოში გამომწყვდეულები ვიყავით. იქ კი ევროპაა — ყველაფერი სხვაგვარადაა. ყველაფერი ღიაა და ხელმისაწვდომი. თავისუფლებაა! შეგიძლია, მთელი ღამე გაერთო. თუკი ახალგაზრდა კლუბურ ცხოვრებაში გადაეშვება, თავის დაღწევა გაუჭირდება. ამიტომაც მნიშვნელოვანია, რომ გამოუცდელ ყმაწვილს გვერდით ჰყავდეს ვინმე ჭკუის დამრიგებელი. ეჰ, რამდენმა ნიჭიერმა დაიღუპა კარიერა. ასეთი ძალიან ბევრი იყო.

***— თქვენ ბუნდესლიგის რეკორდის თანაავტორი ხართ, უცხოელთა მიერ ჩატარებული მატჩების რაოდენობით — 336 თამაში. ამდენივე აქვს ბრაზილიელ ზე რობერტოს. მნიშვნელოვანია თქვენთვის ერთპიროვნულ რეკორდსმენად გახდომა?***

— ასე გეტყვით: ეს მაჩვენებელი საამაყოა, მაგრამ მიღწეულით დაკმაყოფილებას არ ვაპირებ. ახლა „ჰერტა“ კარგად გამოდის მეორე ბუნდესლიგაში და ამიტომ მჯერა, რომ საკუთარ სტატისტიკას გავაუმჯობესებ.

***— როდესაც ამ ინტერვიუს ჩასაწერად ვემზადებოდი, ოთხი წლის წინანდელ სათაურს გადავაწყდი — კობიაშვილმა „ატლეტიკოს“ წინააღმდეგ მატჩში „გაზპრომის“ მაისურით გასვლაზე უარი თქვა.***

— იყო ასეთი შემთხვევა...

***— „შალკეს“ ხელმძღვანელობა დემარშს როგორ შეხვდა?***

— ტკივილით ვიხსენებ იმ დღეებს, როდესაც საქართველოში საომარი მოქმედებები მიმდინარეობდა. ოჯახი სამშობლოში ისვენებდა. 2008 წლის 8 აგვისტო — ეს თარიღი გონებიდან არასდროს წაიშლება. ბუნებრივია, მაშინ „ატლეტიკოსთან“ თამაშისთვის არ მცხელოდა. ეს არ იყო საპროტესტო აქცია. უბრალოდ, არ ვიყავი მზად მოედანზე გასასვლელად, თანაც მაისურით, რომელსაც მკერდზე „გაზპრომი“ ეწერა. უკიდურესად რთული ვითარება იყო, რომლის დავიწყებაც მსურს, მაგრამ ალბათ ვერ შევძლებ... პოლიტიკა უსიამოვნო თემაა, რომლისაც ბევრი არაფერი გამეგება და ვცდილობ, მას არ შევეხო.

***— ხინჯად დაგრჩათ?***

— რუსეთთან მიმართებით? არა, არა. რუსეთში ბევრი მეგობარი მყავს, რომელთა ნახვა ყოველთვის გამიხარდება. ქართველები ცხოვრობენ თქვენთან, რუსები კი ჩვენთან დასასვენებლად ჩამოდიან. პოლიტიკა გვერდზე გადავდოთ.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# საქართველომ ხასიათი გამოიკვეთა

**ბელარუსი — საქართველო 0:2**

0:1 კერძევაძე (20), 0:2 ზარანდია (75)

26 წუთზე მალანიამ ვერ გამოიყენა თერთმეტმეტრიანი (ააცილა)

ბელარუსი: შერბიცკი, კოსტიუშკინი, ლეშკო, პავლოვეცი, შიბუნი, ვალინეცი, ბურალკინი (კიიკო 55), კოსტიუჩიკი (ტარაკანოვი 78), დედოვეცი (ბოგუში 13), სოროკინი, შევჩენკო

საქართველო: გოშაძე, გელაშვილი, მარგველაშვილი, ტაბიძე (გოროზია 71), თევზაძე, მალანია, ხარაიშვილი, კერძევაძე, რუხაძე (ჩაბრაძე 55), ზარანდია, კანდელაკი (რ.ჭანტურია 47)

საქართველოს 17-წლამდე ნაკრებმა მინსკის საერთაშორისო ტურნირზე ჯგუფური ეტაპის მეორე მატჩი გამართა და ბელარუსი თანატოლები დამაჯერებლად — 2:0 დაამარცხა.

ზედიზედ მეორე წელია, საქართველოს ასაკობრივ ნაკრებებს მასპინძელი ბელარუსები ვერაფერს უხერხებენ და მოედანს დამარცხებულები ტოვებენ. ასე მოხდა ამჯერადაც.

თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს მატჩი ჩვენმა გუნდმა გაცილებით უკეთ ჩაატარა და თითქმის ყველა კომპონენტში დაჩაგრა თავისი მეტოქე. უპირატესობა, უპირველესად, ბურთის ფლობაში გამოიხატა, რითაც ჩვენმა ნაკრებმა ბელარუსებს საკუთარი თამაში მოახვია თავს. როგორც სასტარტო შემადგენლობაში, ისე ტაქტიკური თვალსაზრისით, გიორგი დევდარიანმა რამდენიმე გადაადგილება მოახდინა, რამაც, საბოლოოდ, ჩვენების თამაშზე აშკარად დადებითი გავლენა იქონია. საყრდენის პოზიციაზე მშვენივრად გამოიყურებოდა კერძევაძე, რომელიც მთელი მატჩის განმავლობაში თავდაუზოგავად იბრძოდა ყველა ბურთისთვის და მოედნის ცენტრში მეტოქეს ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდა. მარჯვენა მცველის ფუნქციების შესრულება მოუწია გიორგი თევზაძეს, რომელიც, ტრადიციულად, სტაბილური და მებრძოლი იყო. ლუკა ზარანდიაზე კი, ქართველ გულშემატკივარს კარგად მოეხსენება, რომ ეს ახალგაზრდა შემტევი მეტოქის მცველების მუდმივი თავის ტკივილია, ჩვენი ტანმაღალი ცენტრალური მცველების — ტაბიძე-მარგველაშვილის შეთანხმებული დუეტი კი აშკარად უფრო და უფრო კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს.

რეალურად რომ ვიმსჯელოთ, მთელი მატჩის განმავლობაში ბელარუსებს ერთზე მეტი ასპროცენტიანი საგოლე მომენტი არ ჰქონიათ. ასე რომ, წინა მატჩისგან განსხვავებით, მეკარე ოთო გოშაძეს ბევრი საქმე არ ჰქონდა, მეორე გოლი კი ლუკა ზარანდიამ სწორედ ჩვენი გოლკიპერის გააზრებული, შორეული გადაცემით გაიტანა, როცა მეურვეს ბურთისთვის ბრძოლა მოუგო, საჯარიმოში შეიჭრა და ბელარუს მეკარეს მახვილი კუთხიდან აუღებელი დაურტყა.

რაც შეეხება პირველ გოლს, მე-20 წუთზე მეტოქის საჯარიმოში დიდი არეულობა შეიქმნა. ბურთისთვის ერთბაშად რამდენიმე ფეხბურთელი იბრძოდა. კარში დარტყმა კი ილია კერძევაძემ შეძლო და ანგარიშიც ასე გაიხსნა. გოლიდან ხუთიოდ წუთში შეტევაში მყოფი ზარანდია მცველმა ხელით დაიჭირა და მსაჯმაც თერთმეტმეტრიანის ნიშნულისკენ მიუთითა. სამწუხაროდ, მალანიას დარტყმული კარს ასცდა...

აუცილებლად უნდა ვთქვათ შეცვლაზე შესულ ფეხბურთელებზეც. განსაკუთრებით კარგად გამოიყურებოდა რომან ჭანტურია, რომელიც ფიზიკურად ძალიან ძლიერია და თან სასურველ ფორმაშიც შედის. „ემპოლის“ ახალგაზრდა ფეხბურთელი ძალიან აქტიური იყო, კარგად იბრძოდა ართმევაზე და მცველებსაც აშკარად ჩაგრავდა.

მოკლედ, მატჩმა იმედები აშკარად გაამართლა. გიორგი დევდარიანის თქმით, რამდენიმე პრობლემურ პოზიციაზე მან ახალი ფეხბურთელი აღმოაჩინა. მსგავსი ტურნირების მიზანიც ხომ ესაა და იმედია, მარტში გასამართი ელიტრაუნდისთვის, საქართველოს 17-წლამდე ნაკრები უკვე კარგად გამართული და დაკომპლექტებული გუნდი იქნება.

დაბოლოს, სხვა შეხვედრებზეც ვთქვათ. დღის პირველ შეხვედრაში, უკრაინამ 3:1 მოუგო ლატვიას. რუსებმა მოლდოველები დაიბრიყვეს — 6:0. ბელგიამ კი, მინიმალური ანგარიშით — 1:0 სძლია ლიტვის ნაკრებს. ამრიგად, ჩვენი ჯგუფის ლიდერი 6 ქულით ბელგიაა. სამ-სამი ქულა გვაქვს ჩვენ და ბელარუსებს. ლიტვას კი, ჯერ ქულა არ მოუპოვებია. გადამწყვეტი იქნება ბოლო ტურის მატჩები. 24 იანვარს, საქართველო ლიტვას შეხვდება, ბელგია კი ბელარუსთან გაარკვევს ურთიერთობას. ბელგიელთა მარცხის შემთხვევაში, საქართველოს ნაკრები თუ ლიტვას მოუგებს, შანსი გვრჩება, ტურნირის ფინალში მოვხვდეთ და ჩემპიონობისთვის ვიბრძოლოთ.

# შედეგები

**ფეხბურთი**

**აფრიკის ერთა თასი**

| | |
|---|---|
| კოტ დივუარი-ტოგო | 2:1 |
| ტუნისი-ალჟირი | 1:0 |

**ცენტრალური ამერიკის თასი**

| | |
|---|---|
| ნიკარაგუა-ბელიზი | 1:2 |
| პანამა-ჰონდურასი | 1:1 |
| კოსტა რიკა-გვატემალა | 1:1 |

**ინგლისი. ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| ასტონ ვილა-ბრედფორდი | 2:1 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

| | |
|---|---|
| ბლექბერნი-ბრაიტონი | 1:1 |

**იტალია. თასი**

| | |
|---|---|
| იუვენტუსი-ლაციო | 1:1 |

**იტალია. სერია ბ**

| | |
|---|---|
| ვარეზე-ბრეშა | 3:2 |

**კალათბურთი**

**ნბა. რეგულარული სეზონი**

| | |
|---|---|
| კლივლენდი-ბოსტონი | 95:90 |
| დეტროიტი-ორლანდო | 105:90 |
| მილუოკი-ფილადელფია | 110:102 |
| კლიპერსი-ოკლაჰომა | 97:109 |

**ჩოგბურთი**

**ავსტრალიის ღია პირველობა**

**კაცები**

| | |
|---|---|
| მიურეი-ჩარდი | 6:4;6:1;6:2 |

**ქალები**

| | |
|---|---|
| აზარენკა-კუზნეცოვა | 7:5;6:1 |
| უილიამსი!ს.-სტივენსი | 6:3;5:7;4:6 |

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

## ფიროსმანზე საჯარო ლექციები იწყება

დასაწყისი მე-8 გვერდზე

წარმომადგენელი ანა ვერულაშვილი.

ნიკო ფიროსმანის დაბადებიდან 150 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამართულ საიუბილეო გამოფენას თან ერთვის კატალოგიც.

– წელს დიდი ქართველი მხატვრის ნიკო ფიროსმანის დაბადებიდან 150 წელი შესრულდა. ამ მოვლენასთან დაკავშირებით საქართველოს ეროვნული მუზეუმის დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში გაიხსნა გამოფენა „ფიროსმანი 150“. პირველად ნიკო ფიროსმანის ნამუშევრებს ფართო საზოგადოება 1913 წელს მოსკოვში გამართულ ავანგარდისტების გამოფენაზე გაეცნო. დღეს ფიროსმანი საქვეყნოდ ცნობილი მხატვარია. მისი სახელი დიდი ხანია გასცდა საქართველოს საზღვრებს. გასული საუკუნის დასაწყისიდან ფიროსმანის შემოქმედება არაერთხელ იყო წარმოდგენილი ევროპისა და აზიის ქვეყნებში, მათ შორის უკრაინის, პოლონეთის, რუსეთის, უნგრეთის, ლიტვის, ბელორუსიის, საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის, იაპონიის, ჰოლანდიის, ინგლისის, ესპანეთის, თურქეთისა და სხვა ქვეყნების დედაქალაქების საგამოფენო სივრცეებში. გამოფენა „ფიროსმანი 150“ დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში, სავარაუდოდ, მარტამდე გაგრძელდება, – აღნიშნა ეროვნული მუზეუმის წარმომადგენელმა ანა ვერულაშვილმა.

## ირაკლი ფირცხალავას ახალი კლიპი აქვს

*ეკა ირემაშვილი*



რუსეთში მოღვაწე ქართველ მომღერალს ირაკლი ფირცხალავას ახალი კლიპი აქვს. „ვსიო ბუდეტ ოკეი!“ (ყველაფერი კარგად იქნება) – ასე ეწოდება სიმღერას, რომლის კლიპისთვის მომღერალმა იმიჯი რადიკალურად შეიცვალა. გადაღებები მომღერალმა უკვე დაასრულა და როგორც მიკრობლოგ „ტვიტერზე“ თავად დაწერა, ახლა მონტაჟის დაწყებას ელოდება:

– ვიდეო სიმღერისთვის „ვსიო ბუდეტ ოკეი!“ არის გადაღებული! დილის 8-ზე დავასრულეთ. ახლა ველოდები მონტაჟს! – ამბობს მომღერალი.

კლიპში ირაკლი ფირცხალავამ კაბა ჩაიცვა და გადაღებები მოსკოვში დანიშნა. მუშაობას შემოქმედებითი ჯგუფი მთელი ღამის განმავლობაში ფოტოსტუდიაში ეწეოდა. ვიდეოში მომღერალთან ერთად მონაწილეობა მისმა მეგობრებმაც მიიღეს. მომღერალმა მიკრობლოგზე კლიპის გადასაღები მოედნიდან ფოტოც გამოაქვეყნა, რომელზეც ირაკლი კლიპისთვის განკუთვნილ სამოსშია გამოწყობილი.

როგორც რუსული გამოცემა „7 დეის რუ“ იუწყება, ირაკლი ფირცხალავას ახალი ვიდეოს პრემიერა თებერვლის დასაწყისშია დაგეგმილი.

ამ კლიპის გადაღებამდე ირაკლი ფირცხალავამ სიმღერაზე „მხოლოდ შენ“ კლიპი გადაიღო, რომელშიც მთავარი როლი მომღერლის მეუღლემ სოფია გრებენშიკოვამ შეასრულა. წყვილს ორი ვაჟი ჰყავს, მომღერალი ცოლს, რომელიც პროფესიით მსახიობია, აღმერთებს და თავის კლიპებშიც აკავებს. ირაკლიმ ახალი სიმღერით ცოლს სიყვარული აუხსნა – სამწუთიანი ვიდეორგოლის სიუჟეტით ორი ადამიანი სხვადასხვა პიროვნების პორტრეტებს ხატავს. ოცნების ქალის როლი სოფია გრებენშიკოვას შეხვდა, ხოლო მამაკაცი, როგორც მოსალოდნელი იყო, ირაკლიმ განასახიერა. სიმღერის რადიოჩატვებში დატრიალებისთანავე ირაკლის ტექსტის შეაცვლევინეს. ამისი მიზეზი კი მსოფლიოში არსებული დემოგრაფიული მდგომარეობა გახდა. სიმღერის პირველ ვარიანტში ირაკლი მღეროდა, „ექვსი მილიარდი ადამიანიდან შენ ერთადერთი ხარ“, მაგრამ რადგან მალევე ცნობილი გახდა, რომ ჩვენ, დედამიწელები უკვე 6 მილიარდზე მეტით გავზრდილვართ, მომღერალს ტექსტის შეცვლა მოუწია.

– შეუძლებელია მუდამ სამყაროს დემოგრაფიულ ზრდას ვადევნო თვალყური. როცა სიმღერა იწერებოდა, პლანეტაზე ადამიანების რიცხვი სწორედ 6 მილიარდი იყო. გპირდებით, რომ თუ უახლოეს პერიოდში ჩვენ 8 მილიარდამდე გავიზრდებით, სიმღერას აღარ გადავწერ, – ასე იმართლა თავი ირაკლი ფირცხალავამ.

ამჯერად ის თავის გულშემატკივრებს ახალ კლიპს უმზადებს და მისი ნახვის საშუალება ყველას თებერვალში შეეძლება.

## პრინცმა ჰარიმ ავღანეთის ომი კომპიუტერულ თამაშს შეადარა



პრინცი ჰარის ინტერვიუმ მოძრაობა „თალიბანიც“ კი გააოცა. ჰარიმ ავღანეთში სამხედრო სამსახური გაიარა, სადაც „თალიბანის“ ერთ-ერთი საველე მეთაურიც კი გაანადგურა. პრინცის მსჯელობა „თალიბებმა“ „სულიერ აშლილობად“ შეაფასეს, – წერს „ტელეგრაფი“.

ოთხთვიანი მივლინების დასრულების შემდეგ, პრინცმა ჰარიმ განაცხადა, რომ ყველაზე მეტად შემტევი ვერტმფრენის „აპაჩის“ მართვა მოეწონა, რომლიდანაც მან რაკეტით ექსტრემისტების ერთ-ერთი ლიდერი მოკლა. „განსაკუთრებულად შევაფასე ის მომენტი, როდესაც უშუალოდ შტურვალთან ვიჯექი და სამხედრო ოპერაციებს ვხელმძღვანელობდი. ეს ჩემთვის სიამოვნებაა, რადგან იცით, მე იმ ბიჭებიდან ვარ, რომელსაც მსგავსი სცენარის კომპიუტერული თამაშები უყვარს. ამიტომ მირჩევნია, რომ ჩემი თითები საქმით იყოს დაკავებული“, – განაცხადა დედოფალ ელისაბედ მეორის შვილიშვილმა.

ამას გარდა, ადრე მან მეტაფორულად აღნიშნა, რომ „თალიბანის“ ლიდერის მოკვლით ის „თამაშიდან გაიყვანა“, ხოლო მისი თამაშის მთავარი წესი იყო – „ისროლო, როცა საჭიროა და სიცოცხლე წაართვა, რათა ამით სხვა სიცოცხლე გადაარჩინო“.

დიდი ბრიტანეთის შეიარაღებული ძალების წარმომადგენელმა ჯიმ მერფიმ, პრინცი ჰარი მოსალოდნელი თავდასხმებისგან დაიცვა. „არ მსურს ვიმსჯელო, რა თქვა მან და რა არ უნდა ეთქვა. ის ახალგაზრდა, გაბედული მამაკაცია და ის გულწრფელია. შესაძლოა, ზედმეტადაც გულწრფელია, ვიდრე ეს სამეფო ოჯახს შეიძლება სურდეს“, – განაცხადა მერფიმ. თუმცა მოძრაობა „თალიბანზე“ ამ გულწრფელობას გავლენა არ მოუხდენია.

ექსტრემისტების წარმომადგენელმა ზაბიულა მოჯაჰედმა პრინცის ნათქვამს შეურაცხმყოფელი უწოდა. „ომის თამაშთან შედარება მიუღებელია როგორც უბრალო ჯარისკაცისთვის, მით უმეტეს, პრინცისთვის, რომელიც თავისი ქვეყნისთვის მორალურ მაგალითს უნდა წარმოადგენდეს“, – განაცხადა მოჯაჰედმა. ამასთან აღნიშნა, რომ „თალიბები“ მოწინააღმდეგეების სიტყვებს სერიოზულად არ მიუდგნენ. „ჩვენ ბევრი გვსმენია, რომ ავღანეთში მომსახურე უცხოელები სახლში გაუწონასწორებელი ფსიქიკით ბრუნდებიან. სავარაუდოა, რომ პრინცი ჰარიც ამისგან დაზარალდა“, – განმარტა ბოევიკმა.

## ელდარ შენგელაია 80 წლისაა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

მისი პირველი ნამუშევარი კინოში არის „ლეგენდა ყინულის გულზე“, რომელსაც დაემატნენ „თოვლის ზღაპარი“, „თეთრი ქარავანი“, „მიქელა“ (ნოველა კინოალმანახზე „წარსულის ფურცლები“), „არაჩვეულებრივი გამოფენა“, „შერეკილები“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „ცისფერი მთები, ანუ დაუჯერებელი ამბავი“, „ექსპრეს-ინფორმაცია“, „დოგ როუზ“. მის კინოკარიერაზე გავლენა მშობლებმა – რეჟისორმა ნიკოლოზ შენგელაიამ და მსახიობმა ნატო ვაჩნაძემ იქონიეს. ბავშვობიდან გადასაღებ მოედანზე გაზრდილმა ძმებმა ელდარ და გიორგი შენგელაიებმა კინოსამყაროში მუშაობა განიზრახეს და არაერთი დაუვიწყარი ფილმიც შექმნეს. თუკი ელდარ შენგელაია მხოლოდ რეჟისორობით შემოიფარგლა, გიორგი შენგელაიამ, რეჟისორობასთან ერთად, სამსახიობო კარიერაშიც მოსინჯა საკუთარი ძალები.

უკვე მეშვიდე წელია, ელდარ შენგელაია კინოს აღარ გაჰკარებია. ამის მიზეზი მისი პირადი ტრაგედიაა – 2006 წელს კინორეჟისორს ქალიშვილი, ელენე, ავტოკატასტროფაში დაეღუპა. ამ ტრაგედიამ რეჟისორი რადიკალურად შეცვალა, უფრო ეკლესიური გახადა და კინოზეც უარი თქვა. ორიოდე წლის წინ გაჟღერდა ინფორმაცია, რომ ელდარ შენგელაია კინოს უბრუნდება და ამის ინიციატორი მომღერალი და მსახიობი ბუბა კიკაბიძეა. განხორციელდება თუ არა ელდარ შენგელაიასა და ბუბა კიკაბიძის ერთობლივი პროექტი, ამას მომავალი გვიჩვენებს.

– უნიჭიერესი რეჟისორის, ელდარ შენგელაიას იუბილე ასე ორიგინალურად პირველად აღინიშნება. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ისეთი ცნობილი კინოსცენარების ორიგინალები, როგორებიცაა „ცისფერი მთები“ და „შერეკილები“. გამოფენა ქართული რეალობისთვის უჩვეულო იქნება. ხელოვნების სასახლის ისტორიული ნაწილის 6 დარბაზი სწორედ რეჟისორის შემოქმედებას დაეთმობა და მთლიანად სასახლე ქართული კინოფილმების სტილში უნიკალურად გაფორმდება. საგამოფენო სივრცეში არა მარტო კოსტიუმები, ხელნაწერები და სცენარები იქნება ექსპონირებული, არამედ ნაჩვენები იქნება ელდარ შენგელაიას ყველაზე პოპულარული ფილმების – „ცისფერი მთები“, „შერეკილები“, „არაჩვეულებრივი გამოფენა“, „სამანიშვილის დედინაცვალი“ – ყველაზე ცნობილი მომენტები. საგამოფენო დარბაზებში რეჟისორის კინოფილმებიდან საუკეთესო ფოტოარქივი გამოიფინება. ასევე სასახლის ერთ-ერთ დარბაზში ფილმის გმირების პროტოტიპები დაიდგმება, რომელთანაც დამთვალიერებელს სურათის გადაღების საშუალება ექნება. სასახლის ისტორიულ ნაწილში მუსიკითა და სპეციალური ეფექტებით მაქსიმალურად იქნება შექმნილი ელდარ შენგელაიას ფილმებში არსებული სიტუაცია. სპეციალურად ამ უნიკალური გამოფენისთვის კინოფილმ „შერეკილებში“ გამოყენებული საფრენი საშუალება დამზადდება. საქართველოს თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის თანამედროვე საგამოფენო სივრცეში კი, პარალელურად, ელდარ შენგელაიას, გიორგი შენგელაიას, ნატო ვაჩნაძისა და ნიკოლოზ შენგელაიას პირადი ნივთები გამოიფინება, რომლებიც ჩვენი მუზეუმის ფონდებშია დაცული, – ნათქვამია ხელოვნების სასახლის განცხადებაში.

ელდარ შენგელაიას 80 წლის იუბილემდე ხელოვნების სასახლემ რეზო ჩხეიძის 86 წლის იუბილესაც უმასპინძლა, გასულ კვირას კი გიორგი ერისთავის 200 წლის იუბილე და ქართული თეატრის დღე ერთობლივად აღნიშნა. საიუბილეო ღონისძიება პირველი კლასიკური გიმნაზიის სააქტო დარბაზში გაიმართა, სწორედ იქ, სადაც პირველი ქართული სპექტაკლი, „გაყრა“, გაითამაშეს. ამ მნიშვნელოვან დღესთან დაკავშირებით მუზეუმმა უნიკალური ექსპონატების გამოფენა მოაწყო. ამავე ღონისძიებაზე შედგა ილუსტრირებული ალბომის პრეზენტაცია, რომელიც თბილისის მერიის კულტურის სამსახურის მიერ დაფინანსდა. კრებულში შევიდა ისეთი საარქივო დოკუმენტები და უნიკალური ფოტოები, რომლებიც პირველად გამოქვეყნდა. მათ შორისაა სრულიად საქართველოს სათეატრო მოღვაწეთა პირველი ყრილობის მონაწილეთა ფოტო, რომელიც 1914 წელს გაიმართა და მას აკაკი წერეთელი თავმჯდომარეობდა, ასევე პირველი ქართული პიესის, „გაყრის“ ხელნაწერისა და იტალიური გრავიურების რეპრინტული ასლები, დღეს უკვე გამქრალი პირველი ქართული თეატრალური ნაგებობების, ქარვასლის, მანეჟის, არწრუნისა და სათავადაზნაურო თეატრების უნიკალური ფოტოები. კრებულის პრეზენტაციის გარდა, შედგა გამოფენა, სადაც მიწვეულმა სტუმრებმა დაათვალიერეს პირველი ქართული თეატრის ფარდის ესკიზი, დრამატული საზოგადოების XIX საუკუნეში შედგენილი გენეალოგიური ხე და გიორგი ერისთავის უნიკალური პორტრეტი. ღონისძიებას კულტურის სამინისტროსა და დედაქალაქის მერიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

*ეკა ირემაშვილი*

## „ნასას“ განცხადებით, „ბრიზ-ემის“ აფეთქების ფრაგმენტები სახიფათოა

2012 წლის 16 ოქტომბერს, ბლოკ „ბრიზ-ემის“ აფეთქების შედეგად მიღებული ფრაგმენტები, დაბალი ორბიტის კოსმოსური აპარატებისთვის, მათ შორის, მსოფლიო კოსმოსური სადგურისთვის, სახიფათოა. ამ დასკვნას ამერიკის კოსმოსური სააგენტო ყოველწლიურ მოხსენებაში აკეთებს.

სპეციალისტების თქმით, ხიფათი მდგომარეობს იმაში, რომ აფეთქებული ბლოკის ფრაგმენტები ატმოსფეროში უნდა შემოვიდეს წლის განმავლობაში. ამერიკელმა ექსპერტებმა, რომლებიც კოსმოსურ სამყაროს აკვირდებიან, განაცხადეს, რომ აღმოჩენილია „ბრიზის“ 700 მსხვილი ფრაგმენტი, რომელთაგანაც 111-მა უკვე სპეციალური ნომერიც მიიღო.

„ბრიზ-ემი“, წარუმატებელი გაშვების შედეგად, იმ ორბიტაზე მოხვდა, სადაც მისი გაშვება არ იგეგმებოდა. 2007 წელს „ბრიზების“ სამი ავარიული გაშვება განხორციელდა, რომელთაგანაც უკანასკნელი 2012 წლის 8 დეკემბერს მოხდა. „ნასა“ აერონავტიკის და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოა აშშ-ში. დაარსდა 1958 წლის 29 ივლისს.

არსებობის 54 წლის მანძილზე, „ნასას“ ბევრი დამარცხება და ბევრად უფრო მეტი გამარჯვება ხვდა წილად. ის იყო ამერიკის შეერთებული შტატების მთავარი იარაღი და ფლაგმანი კოსმოსურ რბოლაში საბჭოთა კავშირთან. კოსმოსის კვლევისა და ათვისების საკითხებში საბჭოეთის პიონერობა და წარმატებები აღმოჩნდა ის კატალიზატორი ამერიკისთვის, რომელმაც სათავე დაუდო დღეისათვის ისეთ ძლიერ სამეცნიერო-კვლევით ცენტრს, როგორიცაა „ნასა“, რომელსაც თავისი მასშტაბურობითა და პროექტების გრანდიოზულობით ვერ შეედრება ვერც ერთი ევრაზიული კოსმოსური ცენტრი.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

## ლევან კობიაშვილი: „ტკივილით ვიხსენებ იმ დღეებს, როდესაც საქართველოში საომარი მოქმედებები მიმდინარეობდა“

დასაწყისი მე-9 გვერდზე

***– „სპარტაკის“ ნახევარმცველ ჯანო ანანიძეს შეეძლო რუსეთის მოქალაქეობის მიღება. ასე რომ გაეკეთებინა, საქართველოში გაუგებდნენ?***

– გაუგებდნენ, მაგრამ გულის სიღრმეში ალბათ ეწყინებოდათ. ჯანო ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი მოთამაშეა და ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს სახელით თამაშობდეს. ისეც – ადამიანურადაც... მას ხომ ოჯახი საქართველოში ჰყავს, იქ დაიბადა. როგორღა შეხედავდნენ მერე მას ადამიანები? კარგია, რომ ეს ბიჭი პატარაობიდანვე ისეთ გუნდში ვარჯიშობს, როგორიც „სპარტაკია“, მაგრამ ეს არაა მოქალაქეობის შეცვლისთვის საკმარისი მიზეზი.

***– ჯანოსთან ერთად ნაკრებში გითამაშიათ. როგორ ფიქრობთ, რა აკლია მას „სპარტაკის“ ძირითადში დასამკვიდრებლად?***

– მასზე უკვე ოთხი წელია, ამბობენ, რომ „ტალანტია“. არის მაგალითები, როდესაც 26-27 წლისებზეც ამბობენ, პერსპექტიული და ნიჭიერიაო. ჯანო 20 წლისაა და დროა, ნაბიჯი წინ გადადგას და „სპარტაკის“ ლიდერი გახდეს. ახალგაზრდები მწვრთნელის უნდობლობის გამო ხშირად სასოწარკვეთილებაში ვარდებიან. ამას სჯობს, საკუთარ თავს ჰკითხონ, ყველაფერს სწორად აკეთებენ თუ არა. შესაძლოა, ჯობდეს კიდეც, ანანიძე რომელიმე უფრო მოკრძალებულ გუნდში იჯარით გადავიდეს. თვეში ერთხელ თამაში კარგს არაფერს მოუტანს.

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ტრაგედია „ჰამლეტის“ პერსონაჟი; 2. საოლქო ცენტრი უკრაინაში; 3. ქიმიური ელემენტი, ძნელადდნობადი ლითონი; 4. დაქირავებული კავალერი; 5. საქართველოს ეროვნული გმირი; 6. აეროპორტი რომში; 11. პოპულარული ტანსაცმელი; 13. გერმანული ელექტროტექნიკური კომპანია; 14. ოქროს ან ვერცხლისგან დამზადებული საოქრომჭედლო ნაკეთობა; 15. წერილობითი ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს მონაწილე მხარეების ვალდებულებებს; 17. ქართული სათვისტომოს მამული პარიზის მახლობლად; 18. მთიანეთი ევროპაში; 19. ქართული ნაციონალური ტანსაცმელი.

**თარაზულად:** 7. ქართველი მსახიობი მამაკაცი, სტალინური პრემიის ხუთგზის ლაურეატი; 8. მრავალი ფერის გამოყენება არქიტექტურასა და სახვით ხელოვნებაში; 9. მინერალური წყალი ბორჯომის ხეობაში; 10. სიყვარულისა და სილამაზის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 12. ექიმთა თათბირი დაავადების გამოსაკვლევად და მკურნალობის მეთოდების დასადგენად; 14. სრული მარცხი, კრახი; 16. მარკ ტვენის ნამდვილი გვარი; 18. იტალიური კომედიის ტრადიციული პერსონაჟი; 20. დამარილებული ღორის ქონი; 21. ტბა კანადა-აშშ-ის საზღვარზე; 22. გულის მოქმედების ერთ-ერთი ფაზა – მოშვება; 23. კამეჩის ნაშიერი; 24. ქართველი ბალეტმეისტერი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. ფეიხოა; 2. ღვინიო; 3. პამფლეტი; 4. ყინული; 6. პაპარაცი; 8. პრაიდი; 11. სინაგოგა; 12. ვაკუუმი; 16. ფანზა; 17. ჰიჯრა; 18. არაყი.

**თარაზულად**: 1. ფარღული; 5. ტემპი; 7. ფაჩულია; 9. ხილნარი; 10. ლუტეცია; 13. დენტინი; 14. კიბუცი; 15. დალი; 19. გულიაში; 20. რისლინგი; 21. დელტაპლანი; 21. ტატამი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. ბაბაჭუა; 2. კიურე; 3. მაჩაბელი; 4. მეტისი; 5. სტატიკა; 6. თაკვერი; 11. შველი; 13. იანვარი; 14. კრაისლერი; 15. ჩერვონეცი; 17. პარანა; 18. კოპოლა; 19. ფიგუ.

**თარაზულად**: 7. კარტიე; 8. კაზუისტიკა; 9. ტაბორი; 10. გაბარიტი; 12. ხარისთვალა; 14. კრაუჩი; 16. სპანიელი; 18. კლაკიორი; 20. ეპოსი; 21. ბოი; 22. ბაჰრეინი; 23. იდეა; 24. კურცხაარი.

# სამგლოვიარო განცხადებები



## გამოსათხოვარი

გარდაიცვალა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ქართული ინტელიგენციის ერთ-ერთი შესანიშნავი წარმომადგენელი, ქართული ენის გამოცდილი მკვლევარი, ჩინებული პედაგოგი, არაერთი თაობის აღმზრდელი, პროფესორი

**ელენე ბაბუნაშვილი**

ქალბატონმა ელენემ 1949 წელს დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტი; ეროვნულ უნივერსიტეტში მან მიიღო კლასიკური ფილოლოგიური განათლება, ხოლო ენათმეცნიერების მიმართულებით აკად. ვ. თოფურიას ხელმძღვანელობით გაიარა ასპირანტურის კურსი; 1952 წლიდან დაიწყო მუშაობა ახალი ქართული ენის კათედრაზე და ამ დროიდან მისი ბიოგრაფია განუყოფლად დაუკავშირდა ამ კათედრის ისტორიას, აქ ჩაისახა მისი პირველი სამეცნიერო ინტერესები და აქ შეესხა ხორცი მის თითქმის ყველა კვლევითსა თუ აკადემიურ გეგმასა და ჩანაფიქრს.

ფართო იყო ქალბატონი ელენეს სამეცნიერო-პედაგოგიური ინტერესები; იგი იკვლევდა ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხებს, ძველი და ახალი ქართულის გრამატიკულ სტრუქტურებს, სინტაქსურ წყობას, ლექსიკასა და სტილისტიკას.

პროფ. ე. ბაბუნაშვილის გამორჩეული მეცნიერული ინტერესის საგანი აღმოჩნდა ქართული გრამატიკული აზრის ისტორია. ამ სფეროში მას არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი აქვს შესრულებული; მაგრამ განსაკუთრებული წვლილი მაინც ანტონ კათალიკოსის ენათმეცნიერული შეხედულებებისა და გრამატიკული მემკვიდრეობის შესწავლაში შეიტანა. ქართული გრამატიკული აზრის კვლევაში უაღრესად მნიშვნელოვანია ე. ბაბუნაშვილის მიერ მომზადებული აკადემიური გამოცემა ანტონის „ქართული ღრამმატიკისა", ხოლო მის მონოგრაფიულ გამოკვლევებს – „ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები" (1970) და „ანტონ პირველის „ქართული ღრამმატიკა" და მისი ეროვნულ-ისტორიული მნიშვნელობა" (1991 წ., პროფ. თ. უთურგაიძის თანაავტორობით) – ვერც ერთი ქართველოლოგი ვერ აუვლის გვერდს.

დიდია მეცნიერის დამსახურება უცხოელთათვის ქართული ენის სწავლების საქმეში; მისი ხელმძღვანელობითა და კონსულტაციით დაეუფლა ქართულს არაერთი უცხოელი ასპირანტი თუ სტაჟიორი; 25 წლის განმავლობაში მიჰყავდა მას ქართული ენის სატელევიზიო კურსი რუსულენოვანი აუდიტორიისათვის; მისი თანაავტორობით გამოვიდა მნიშვნელოვანი სასწავლო ლიტერატურა: ქართული ენის სახელმძღვანელო გერმანულად (1974 წ., ნ. ნადარეიშვილთან ერთად) და „ქართულ-რუსულ-გერმანული სასაუბრო" (1987 წ., თანაავტორები – ნ. ნადარეიშვილი და ჰ. ფენრიხი).

გამორჩეული იყო ქალბატონი ელენეს პედაგოგიური შესაძლებლობები; თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში კითხულობდა იგი ახალი ქართული ენის ძირითად კურსს, ხელმძღვანელობდა სტუდენტთა, ასპირანტთა და მაძიებელთა სამეცნიერო მუშაობას; წლების განმავლობაში ასწავლიდა უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტზე. აღსანიშნავია მისი სომხური ენის სასწავლო კურსი, რომელსაც იგი ყოველწლიურად უკითხავდა ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებს.

1984 წლიდან 2006 წლამდე, ფაქტობრივ დახურვამდე, ხელმძღვანელობდა ქალბატონი ელენე ახალი ქართული ენის კათედრას. უმძიმეს პერიოდში მოუხდა უკვე ღვაწლმოსილ პროფესორს კათედრის გამგეობა და მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ თავისი ცოდნითა და ტაქტით შეძლო მან ფაქტობრივ უდანაკარგოდ შეენარჩუნებინა ამ კათედრის პოტენციალი და არ გაეწყვიტა ღირსეული აკადემიური მემკვიდრეობა; თავისი უნიკალური მეხსიერების წყალობით ზედმიწევნით იცოდა კათედრის ოთხ ათეულამდე თანამშრომლის პირადი თუ პროფესიული მონაცემები და არავის არ ტოვებდა ყურადღების გარეშე... კათედრა იყო მისი ძირითადი ცხოვრება, მისი სიხარული და ტკივილი და უნივერსიტეტში აკადემიური მემკვიდრეობის დამანგრეველი პროცესების დაწყების შემდეგაც იმას კი არ ჩიოდა, რომ დამსახურებული პროფესურა ღვაწლის დაუფასებლად და ფაქტობრივ უსახსროდ გაისტუმრეს მშობლიური უნივერსიტეტიდან, არამედ ისევ ამ უმთავრესი კათედრის ბედს მისტიროდა, მისი აღდგენის შესაძლებლობაზე ფიქრობდა...

მთელი კათედრა, აწ უკვე არა ფორმალური სტატუსის, არამედ მხოლოდ პერსონალური შემადგენლობის სახით, სამუდამოდ ეთხოვება ამაგდარ მასწავლებელს, ძვირფას კოლეგასა და ხელმძღვანელს, ქალბატონ ელენე ბაბუნაშვილს.

**ივ. ჯავახიშვილის სახელობის**
**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის**
**ახალი ქართული ენის კათედრა**

---

აფხაზეთის პედაგოგიური საზოგადოება და ქ.სოხუმის მე-13 საშუალო სკოლის პედაგოგები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამავე სკოლის მასწავლებელი

**ტატიანა ბიგვავა-შარანგია**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ჩრდილოეთ კორეამ გაერო-ს რეზოლუცია გააკრიტიკა



ჩრდილოეთ კორეამ მკვეთრად გააკრიტიკა გაერო-ს რეზოლუცია, რომელიც სანქციებს უწესებს მას ბირთვული რაკეტის გაშვებაზე.

„ბიბისის" ინფორმაციით, ჩრდილოეთ კორეამ ასევე უარყო მოლაპარაკების გამართვის რაიმე შესაძლებლობა ბირთვული პროგრამის თაობაზე.

გაერო-მ მკაცრი სანქციები ფხენიანს მას შემდეგ დაუწესა, რაც დეკემბერში ჩრდილოეთ კორეამ შორეულ რადიუსზე რაკეტის საცდელი გაშვება მოახდინა მიუხედავად რეზოლუციისა, რომელიც მსგავსი ცდების ჩატარებას კრძალავს.

„ჩვენ მივიღებთ ჩვენი სამხედრო ძალის გაზრდისა და გაძლიერების ზომებს, რომელიც ასევე გულისხმობს ბირთვულ იარაღს", – ნათქვამია ჩრდილოეთ კორეის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში, რომელიც გაერო-ს უსაფრთხოების საბჭოს რეზოლუციას მოჰყვა.

„ბიბისის" განცხადებით, თავის მხრივ, ჩრდილოეთ კორეა ასევე გააღიზიანა რეზოლუციისთვის პეკინის მხარდაჭერამ.

შეგახსენებთ, რომ გასულ წელს შეცვლილ კონსტიტუციაში ჩრდილოეთ კორეა საკუთარ თავს „ბირთვულ სახელმწიფოდ" მოიხსენიებს.

კიმ ჩენ ინმა „ჩრდილოეთ კორეა ბირთვულ, დაუმარცხებელ ქვეყნად აქცია, რომელსაც ძლიერი პოლიტიკური სტრატეგია და უძლეველი სამხედრო ძალა აქვს", - სამხრეთ კორეული საააგენტო იმ ვებგვერდზე დაყრდნობით წერდა, სადაც ჩრდილოეთ კორეის განახლებული კონსტიტუცია გამოქვეყნდა.

ჩრდილოეთ კორეა, მისი ბირთვული შესაძლებლობების შესახებ ადრე სამთავრობო მედიასაშუალებებითაც აცხადებდა, თუმცა „კონსტიტუციაში დაფიქსირებით აღნიშნულის ხაზგასმა მოხდა. ეს ყველაფერი ამერიკისა და სხვა ქვეყნებისთვის არის განკუთვნილი", – აღნიშნავს იონსეის უნივერსიტეტის პროფესორი ჩო იონ კუნი „სი-ენ-ენთან" საუბრისას.

ჩრდილოეთ კორეამ ორი ცდა 2006 და 2009 წლებში ჩაატარა. ცოტა ხნის წინ ფხენიანმა განაცხადა, რომ ამერიკის მტრული დამოკიდებულების გამო, იგი „იძულებულია" ბირთვული პროგრამის განვითარებაზე იფიქროს.

# ბენიამინ ნეთანიაჰუმ საპარლამენტო არჩევნებში საკუთარი კოალიციის გამარჯვების შესახებ განაცხადა



ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ საპარლამენტო არჩევნებში საკუთარი კოალიციის გამარჯვების შესახებ განაცხადა.

ხმის მიცემის დასრულების შემდეგ ნეთანიაჰუმ აღნიშნა, რომ მისი ხელისუფლების მთავარი პრიორიტეტი ირანის ბირთვული პროგრამა იქნება.

მისივე თქმით, „ახალი ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს, რათა ირანს ბირთვულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების შესაძლებლობა არ მისცეს".

არჩევნების წინასწარი შედეგების მიხედვით, მმართველი მემარჯვენე ალიანსი, რომელსაც სათავეში ბენიამინ ნეთანიაჰუ უდგას, ქნესეთში (პარლამენტი) უმრავლესობას ინარჩუნებს, მაგრამ ნაკლებად გავლენიანი იქნება.

ნეთანიაჰუს ბლოკი ქნესეთში 42-ის ნაცვლად, 31 მანდატს მიიღებს. მემარცხენე ცენტრისტული „ეშ ატიდი" („არის მომავალი") მეორე ადგილზე გავიდა, ხოლო მესამეზე შრომის პარტიაა.

ანალიტიკოსები ფიქრობენ, რომ ახალი მთავრობის ფორმირებისთვის საკმაოდ რთული მოლაპარაკებები გაიმართება. არჩევნებში სულ 32 პარტია მონაწილეობდა. 120-ადგილიან ქნესეთში ის პოლიტიკური სუბიექტები მოხვდებიან, რომლებმაც 2%-იანი ბარიერი გადალახეს.

არჩევნების ოფიციალური შედეგები 30 იანვარს გამოქვეყნდება.

ბინიამინ „ბიბი" ნეთანიაჰუ ისრაელის პრემიერ-მინისტრი იყო 1996-1999 წწ. და ამავე თანამდებობაზეა 2009 წლიდან. ის არის პირველი და დღემდე ერთადერთი ისრაელის პრემიერ-მინისტრი, რომელიც ისრაელის სახელმწიფოს დაფუძნების შემდეგ დაიბადა. იყო ფინანსთა მინისტრი 2003-დან 2005 წლის 9 აგვისტომდე, როდესაც ის არიელ შარონის ღაზადან გამოსვლის გეგმის პროტესტის ნიშნად გადადგა. 2006-2009 წლებში ქნესეთში ოპოზიციის ოფიციალური ლიდერია. 2007 წლის აგვისტოში პარტიის არჩევნებში მოშე ფეიგლინის დამარცხებით, პარტიის ხელმძღვანელის პოსტი შეინარჩუნა.

# ირანს მორიგი ბირთვული მოლაპარაკებების გამართვა კაიროში სურს



ირანმა მორიგი ბირთვული მოლაპარაკების გამართვის ადგილად, სადაც მონაწილეობას ირანი და ე.წ „ექვსეული" იღებს, კაირო დაასახელა. აღნიშნულის შესახებ ირანული სააგენტო „ირნა" იუწყება.

„როდესაც ეგვიპტეში ვიყავი, შემომთავაზეს, რომ მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი ეგვიპტეში ჩატარდეს", -განაცხადა დღეს ეგვიპტის საგარეო საქმეთა მინისტრმა ალი აკბარ სალეჰმა.

შეგახსენებთ, რომ ირანსა და „ექვსეულს" შორის უკანასკნელად მოლაპარაკებები 2012 წლის ივნისში, მოსკოვში გაიმართა.

ამ ფონზე, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა ისრაელი და დასავლეთი ირანზე სამხედრო დარტყმის წინააღმდეგ გააფრთხილა. ამასთან, აღნიშნა, რომ თეირანმა სწრაფად უნდა დაიწყოს თანამშრომლობა მისი ბირთვული ქარხნების შემოწმებასთან დაკავშირებით.

„ირანის ბირთვულ ქარხნებსა და ქვეყნის ინფრასტრუქტურაზე თავდასხმა ძალიან საშიშია იდეაა. იმედი გვაქვს, რომ ეს იდეა არ განხორციელდება", -აღნიშნა ლავროვმა.

შეგახსენებთ, რომ ისრაელი, რომელიც დარწმუნებულია, რომ ქვეყანა ბირთვული იარაღის შექმნაზე მუშაობს, ირანის ბირთვულ ობიექტებზე იერიშის მიტანას არ გამორიცხავს. წინასაარჩევნო გამოსვლებისას, ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ აღნიშნავდა, რომ ირანისათვის ბირთვული იარაღის ფლობაში ხელის შეშლა ისრაელის ახალი მთავრობის უმთავრესი გამოწვევა იქნება.

# ბრიტანეთის ევროკავშირში წევრობა კამერონმა, შესაძლოა, რეფერენდუმზე გაიტანოს




თუ მომდევნო არჩევნებში კონსერვატორები გაიმარჯვებენ, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი დევიდ კამერონი ევროკავშირში დიდი ბრიტანეთის წევრობასთან დაკავშირებით რეფერენდუმის ჩატარებას გეგმავს.

თუმცა, რეფერენდუმამდეც კონსერვატორების ლიდერი ევროკავშირისა და დიდი ბრიტანეთის ურთიერთობის გადახედვას გეგმავს. „ბი-ბი-სის" ცნობით, ამ თემების შესახებ კამერონმა დაუნინგ-სტრიტზე მდებარე რეზიდენციაში ისაუბრა. აღნიშნულის შესახებ განცხადება კამერონს გასულ კვირას უნდა გაეკეთებინა, თუმცა ამაში ხელი ალჟირში განვითარებულმა მოვლენებმა შეუშალა.

ლეიბორისტების ლიდერმა ედ მილიბენდმა უკვე განაცხადა, რომ მისმა გამოსვლამ კამერონი სუსტ პოლიტიკოსად წარმოაჩინა, რომელიც პარტიულ ინტერესებს უფრო ითვალისწინება, ვიდრე - ეროვნულს.

შეგახსენებთ, რომ დიდი ბრიტანეთის პრემიერი ქვეყნის ევროკავშირიდან გასვლას არ გამორიცხავს. ამის შესახებ საუბარია იმ პროგრამული გამოსვლის ტექსტში, რომელიც დევიდ კემერონს ამსტერდამში უნდა წარმოეთქვა.

დიდი ბრიტანეთის პრემიერმა ვიზიტი ალჟირში განვითარებული მოვლენების გამო გადადო, თუმცა გამოსვლის ტექსტი მისმა პრესსამსახურმა გამოაქვეყნა.

მასალაში აღნიშნულია, რომ გამორიცხული არაა დიდმა ბრიტანეთმა ევროკავშირი დატოვოს, თუკი ბრიუსელი სამეფოს კავშირში წევრობის პირობების შეცვლას არ დათანხმდება.

კემერონი აღნიშნავს, რომ ევროკავშირის მთავარი პრობლემა ეკონომიკური კრიზისი, არასაკმარისი კონკურენტუნარიანობა და ფედერალური ევროპის იდეის არასაკმარისი მხარდაჭერაა.

პრემიერმა აღნიშნა, რომ ამ პრობლემების იგნორირება ბრიტანელებს კავშირიდან გამოსვლისკენ უბიძგებს.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**

# TV პროგრამა

## ხუთშაბათი 24 იანვარი

06.30 „მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა" 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.10 „მოამბე" 10.30 „დილის საუბარი" 11.00 „სამოთხის ვაშლები" 12.45 „პირადი ექიმი" — მარი მალაზონია 13.30 „დღეს ორის ნახევარზე" 15.00 ტ/სერ „როსელა" (U) 17.00 „ჩვენი ფერმა" 18.00 „პეპე და მეგობრები" 19.05 ტ/სერ „სისხლი და ვარდი" (U) 21.00 ტ/სერ „კიარა და ფრანჩესკო" (U) 22.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან" 23.00 თოქ-შოუ: „არენა" 00.00 მხ/ფ „ჩრდილოეთის ქვეყანა" (შ.ტერონი ) (15) 02.30 ტ/სერ „შინაგანი უსაფრთხოება"

08.00 „მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო" 11.00 დ/ფ „მეცნიერება ფილმებში" 14.00 დ/ფ „ოთხგანზომილებიანი ატლასი" მე-2 ნაწილი 16.00 დ/ფ „მცენარეთა საიდუმლოებები" მე-3 ნაწილი 19.00 ტ/სერ „საიდუმლო აგენტები" 1 სერ. 22.00 „თავისუფალი ტრიბუნა" (პ/ე) 00.00 „მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე)

07.30, 09.10 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 10.00 სერ. „იღბლიანი მოახლე" 11.30 სერ. „უკვდავი ამბავი" 12.30 ფორტ ბოიარი 13.00 სერ. „გაქცევა– 4" 3 სერ. 14.45 სერ. „24 – 4" 15.45 სერ. „დამალული სიმართლე" 17.40 სერ. „თილისმა" 18.50 სერ. „სახიფათო ვნება" 21.00 სერ. „მარტოსული" 22.00 ქ.სერ. „შუა ქალაქში" (გ/ჩ) 23.00 სერ. „ღვინის გზა" 00.15 მხ/ფ. „განდგომილები" (ჯ.ნიკოლსონი) 02.45 მხ/ფ. „ფინალური თამაში" (კ.გუდინგ უმცროსი) 04.20 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია" 11.00 სერ. „იდუმალი ქალი" 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე" 15.30 კომედი შოუ (გ/ჩ) 17.00 სერ. „ვნების უფსკრული" 18.45 სერ. „მგზნებარე გული" 19.50, 20.05 სერ. „ღირსება და ამბიცია" 22.00 პროფილი 23.30 ტოპ გოგო 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.30 დოკ/ფ „ველური ბუნება" 06.55 მხ/ფ „ხსოვნა" I ნაწილი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი" 10.00, 18.05, 21.10 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.05 ლექსით ქებათა ქება 10.40 დოკ/ფ „სხვა რამ არ მწამდა სამშობლოზე წმინდათა წმინდა" ირაკლი აბაშიძე 11.20 ჩვენი ტრაპეზი 11.30 გზა, რომლითაც ვიარე 12.05 ამინდი 12.15 მხ/ფ „გაზაფხული გადის" 13.20 კონცერტი-ქალაქური მელოდიები 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება" 16.00 მხ/ფ „განძი" 18.10 ტელეზღაპარი 18.20, 23.15 ფოტოგალერეა 18.25 ერთი წვეთი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ „ვინ არის მეოთხე" 20.40 ძილი ნებისა 21.00 პატრიარქის ქადაგება 22.20 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები 23.00 საღამოს ლოცვა 23.20 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები (გაგრძელება) 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ „ხსოვნა" II

მაესტრო 7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 7.30, 8.20, 9.15, 10.30, 12.30, 13.30, 15.30, 16.30, 17.10, 18.40, 1.35, 2.35, 3.35, 4.35, 5.35, 6.35 უცხოეთის ამბები 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00 ახალი ამბები 11.30 ყოველდღიური აბები (გამ) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 14.05 მაესტროს პრესკლუბი 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 22.20 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი" 20.05, 0.30 თოქ-შოუ „არგუმენტები" 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.15 ყოველდღიური აბები 0.00 ახალი ამბები (ღამის გამოშვება)

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

24 იანვარი


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,6582 |
| ევრო | 2,1994 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2,6870 |
| რუსული რუბლი | 0,0548 |

**ამინდის პროგნოზი 24 იანვრისთვის**





## „ახალ თაობასთან“ ერთად
# მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები
## ტომი 1 ამერიკული ზღაპრები






## მალე, მალე, მალე „ახალ თაობასთან“ ერთად
# ილია II ოქროს ხანა
სამტომეულის მე-2 ტომი


## ოლიმპი ოლიმპზე

ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას მემორიალის გამარჯვებული „ოლიმპი“ გახდა. გია კაზანჯიანის გაწვრთნილმა გუნდმა ფინალში „რუსთავი“ დაამარცხა – 80:67.

„ოლიმპისთვის“, რომელსაც მხოლოდ ორწლიანი ისტორია აქვს, ეს პირველი ტიტულია. სუპერლიგის გასული სეზონის ფინალისტმა ალმავლობით ჩაატარა მემორიალი, ყველა მატჩი დამაჯერებლად მოიგო და ფინალშიც თავისი კლასი დაამტკიცა. პირველ მეოთხედში შედარებით თანაბარი ბრძოლა მიმდინარეობდა, გუნდები ძირითადად შორი ტყორცნებით ხეირობდნენ,




რაშიც უფრო ზუსტები ოლიმპელები აღმოჩნდნენ და ათწუთეული 23:16 მოიგეს.

რუსთაველებმა ყველაზე შედეგიანად მეორე მეოთხედში ითამაშეს, რომელიც 21:18 მოიგეს და დიდი შესვენებისთვის ჩამორჩენა ოთხ ქულამდე შეამცირეს. მეორე ტაიმში ოლიმპელებმა ტემპს და სიზუსტეს უმატეს და უპირატესობა 10 ქულამდე გაზარდეს. შეუჩერებელი იყო სერბი ლეგიონერი სტეფან მილოშევიჩი, რომელმაც 17 ქულასთან ერთად ტურნირზე უმეტესი 20 მოხსნა მოაგროვა. გადამწყვეტ მომენტში მნიშვნელოვანი ბურთები ჩააგდო მიხეილ ბერიშვილმა, რომელსაც უკანა ხაზიდან ზურგს სტენ სოკი და ლევან ფაცაცია უმაგრებდნენ.

ბოლო პერიოდში ოლიმპელთა ლიდერობა 6-10 ქულის ფარგლებში მერყეობდა, რაც არაა ბევრი, თუმცა კაზანჯიანის გუნდი სტაბილურად ინარჩუნებდა მოპოვებულ უპირატესობას და გამარჯვებამდეც ისე მივიდა, რუსთაველებს წარმატების შანსი არ მისცემიათ.

ტურნირზე დაწესებული იყო ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიასა სახელობის პრიზები საუკეთესო წინა და უკანა ხაზის მოთამაშეებისთვის. მემორიალის საუკეთესო მოთამაშეებს – მიხეილ ბერიშვილსა და სტეფან მილოშევიჩს სპეციალური პრიზები კალათბურთის ფედერაციის გამგეობის წევრებმა, ვეტერანმა კალათბურთელებმა გივი ბიჭიაშვილმა და ვალერი ლომაძემ გადასცეს. დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი ოლიმპელთა კაპიტან ბერიშვილისთვის თასის გადაცემითა და ფეიერვერკით დასრულდა. გამარჯვებულებს თასი ვეტერანმა კალათბურთელმა, კალათბურთის ფედერაციის გამგეობის წევრმა და მიხეილ ქორქიას ნათესავმა, ნოდარ ქორქიამ გადასცა.

## ასტროპროგნოზი 24 იანვრისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**
**ეს დღე მშვიდად გაატარეთ**

**ვერძი** — პოზიტიური დღეა, თამამად იმოქმედეთ. **კურო** — სიყვარულში გიმართლებთ. გელით საჩუქარი. **ტყუპები** — შემოქმედებითი დღეა. უფროსობა გწყალობთ. **კირჩხიბი** — გზიდან ფულს მიიღებთ. პრობლემები არ გაქვთ. **ლომი** — გაგიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა. მოსალოდნელია სხვა სიახლეც. **ქალწული** — სახლში სიახლეა. ძვირფას ნივთს შეიძენთ. **სასწორი** — დაისვენეთ და გაერთეთ. ეს დღე საკუთარ თავს დაუთმეთ. **ღრიანკალი** — შემოსავლის ახალ წყაროს იპოვით. პრობლემები არ გაქვთ. **მშვილდოსანი** — იმიჯის შეცვლა არ გაწყენთ. საღამო მშვენიერი იქნება. **თხის რქა** — რისკი არ არის გამართლებული. ეს დღე მშვიდად გაატარეთ. **მერწყული** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე. მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **თევზები** — მოერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციას. თქვენთვის მშვიდად იყავით.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## მედვედევი მაგნიტსკიზე: ის რუსეთში არაფერს იძიებდა და სიმართლისთვის მებრძოლი არ ყოფილა



შვეიცარიულ დავოსში მყოფმა პრემიერმა მედვედევმა ტელეკომპანია „ბლუმბერგს“ ინტერვიუ მისცა. ის რამდენიმე მნიშვნელოვან პოლიტიკურ და საზოგადოებრივ თემას შეეხო. ბოლო დროის ცნობილი მოვლენების კონტექსტში მისი ყველაზე ხმამაღალი განცხადება ის იყო, რომ ციხეში ტრაგიკულად დაღუპული სერგეი მაგნიტსკი „რუსეთში არაფერს იძიებდა“ და „სიმართლისთვის მებრძოლს არ წარმოადგენს“.

„ის კორპორატიული იურისტი თუ ბუღალტერი იყო, იცავდა იმ ადამიანების ინტერესებს, რომლებმაც დაიქირავეს. სიმართლისთვის მებრძოლი არ ყოფილა. მიუხედავად ამისა, ბუნებრივია, რომ ცოდვაა, რადგან ციხეში გარდაიცვალა“, – მედვედევის სიტყვებს „ინტერფაქსი“ ავრცელებს.

როგორც რუსეთის პრემიერი თვლის, პრაქტიკულად ყველაფერი მაგნიტსკის ისტორიაში – ეს არის „ცალკეული მოქალაქეების პოლიტიზებული გამონაგონი, რომელთა ნაწილი, მათ შორის დავოსშიც ტრიალებს. ყოველივე იმისთვის კეთდება, რომ რუსეთის ტერიტორიაზე საკუთარი კომერციული ოპერაციები გაამართლონ, – ამბობს მედვედევი.

პრემიერის ამ განცხადებაზე დასავლური წრეების მორიგ კრიტიკულ შეფასებებს ელიან.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ღვარძლიანი, გულღრძო ადამიანის ძველი ქართული სახელწოდება; 2. ბუნებრივი ნაკრძალი ქვემო ქართლში; 3. ფრანგი კინოვარსკვლავი მამაკაცი; 4. მოსანათლი ჭურჭელი ეკლესიაში; 6. გარკვეული ნიშნით შერჩეული საგანთა ნუსხა; 8. ნახევარკუნძული შუა ზღვაში; 11. უბანი თბილისში; 12. ძველი ირანული სალიტერატურო ენა; 16. კუთხე საქართველოში; 17. მსხვილი ფინანსური და სავაჭრო გარიგებების ადგილი; 18. პირველი ატომური რეაქტორის შემქმნელი იტალიელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

**თარაზულად:** 1. სახელგანთქმული ექიმის ძველებური სახელწოდება; 5. რაიონული ცენტრი ქვემო ქართლში; 7. მოხსენების, სტატიის მოკლე შინაარსი; 9. ქრისტიანული სამლოცველო, საყდარი; 10. მარცვლეულის, საქონლის, ხელსაქმის მფარველი ქალ-ღვთაება სვანურ მითოლოგიაში; 13. საცხოვრებელი მასივი თბილისში; 14. ამერიკული ავიაკოსმოსური კონცერნი; 15. ბებერი თხა; 19. ობობას ძველი ქართული სახელწოდება; 20. კომედიური ჟანრის მუსიკალურ-სცენური წარმოდგენა; 21. საქართველოში მოღვაწე გერმანელი მხატვარი, თბილისის სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი; 22. მოღრუბლული დილა.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## ელდარ შენგელაია 80 წლისაა



ცნობილი ქართველი კინორეჟისორი ელდარ შენგელაია 80 წლისაა. ის ამ იუბილეს 26 იანვარს საქართველოს თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში გახსნილი უჩვეულო გამოფენით აღნიშნავს. „არაჩვეულებრივი გამოფენა“ – ასე უწოდეს ექსპოზიციას მისმა ორგანიზატორებმა და ეს სიმბოლურიცაა, რადგან, როგორც ელდარ შენგელაიას შემოქმედების გულშემატკივრები აღნიშნავენ, მის მიერ გადაღებული ფილმი „არაჩვეულებრივი გამოფენა“ მართლაც რომ გამორჩეულია.

გამოფენას ხელოვნების სასახლესთან ერთად კომპანია „ბილაინი“ და ბანკი „კონსტანტა“ წარმოადგენენ.

ქართველი კინორეჟისორი ელდარ შენგელაია 80 წლის 26 იანვარს სრულდება. ის ავტორია გახმაურებული ქართულ ფილმებისა: „არაჩვეულებრივი გამოფენა“, „შერეკილები“, „სამანიშვილის დედინაცვალი“ და „ცისფერი მთები, ანუ დაუჯერებელი ამბავი“. სცენარის ავტორია ფილმებისა „ექსპრეს-ინფორმაცია“ და „მიქელა“, პროდიუსერია ფილმებისა „საშობაო საჩუქარი“, „ერთი ლეღვი გზაზე“ და „სკამი“. ის მუშაობდა კინოსტუდია „მოსფილმში“ კინორეჟისორად, ასევე კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ კინორეჟისორად, არის საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის თავმჯდომარე, ორი წლის განმავლობაში იყო საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი, ასევე სხვადასხვა წლებში საქართველოს პარლამენტის წევრი, კულტურის კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე. ამჟამად საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეა.


გაგრძელება მე-10 გვერდზე



ლურჯი ნითელი ყვითელი შავი